საქართველოს პარლამენტი

# საქართველოს მუნიციპალიტეტების 2024 წლის ბიუჯეტებისა და ავტონომიური რესპუბლიკების 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტების შესრულების

# მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2025
სექტემბერი

# სარჩევი


ძირითადი მაჩვენებლები ..... 4

1. საქართველოს მუნიციპალიტეტების 2024 წლის ბიუჯეტებისა და ავტონომიური რესპუბლიკების 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტების შესრულების ზოგადი მიმოხილვა ..... 5

2. საქართველოს მუნიციპალიტეტების 2024 წლის ბიუჯეტების შესრულების მიმოხილვა ..... 9

შემოსულობები ..... 9

შემოსავლები ..... 11

არაფინანსური აქტივების კლება ..... 14

ფინანსური აქტივების კლება ..... 14

ვალდებულებების ზრდა ..... 15

გადასახდელები ..... 16

ხარჯები ..... 17

არაფინანსური აქტივების ზრდა ..... 19

ვალდებულებების კლება ..... 19

გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ..... 20

ნაშთის ცვლილება ..... 20

2.1 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი ..... 21

შემოსულობები ..... 21

გადასახდელები ..... 24

ნაშთის ცვლილება ..... 26

2.2 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტები ..... 27

შემოსულობები ..... 27

გადასახდელები ..... 30

ნაშთის ცვლილება ..... 32

2.3 კახეთის მხარე ..... 33

შემოსულობები ..... 33

გადასახდელები ..... 36

ნაშთის ცვლილება ..... 38

2.4 იმერეთის მხარე ..... 39

შემოსულობები ..... 39

გადასახდელები ..... 42

ნაშთის ცვლილება ..... 44

2.5 სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარე ..... 45

შემოსულობები ..... 45

გადასახდელები ..... 48

ნაშთის ცვლილება ..... 50

2.6 შიდა ქართლის მხარე ..... 51

შემოსულობები ..... 51

გადასახდელები ..... 54

ნაშთის ცვლილება ..... 56

2.7 ქვემო ქართლის მხარე ..... 57

შემოსულობები ..... 57
გადასახდელები ..... 60
ნაშთის ცვლილება ..... 62
2.8 გურიის მხარე ..... 63
შემოსულობები ..... 63
გადასახდელები ..... 66
ნაშთის ცვლილება ..... 68
2.9 სამცხე - ჯავახეთის მხარე ..... 69
შემოსულობები ..... 69
გადასახდელები ..... 72
ნაშთის ცვლილება ..... 74
2.10 მცხეთა - მთიანეთის მხარე ..... 75
შემოსულობები ..... 75
გადასახდელები ..... 78
ნაშთის ცვლილება ..... 80
2.11 რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე ..... 81
შემოსულობები ..... 81
გადასახდელები ..... 84
ნაშთის ცვლილება ..... 86
2.12 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტი - აჟარის მუნიციპალიტეტი ..... 87
შემოსულობები ..... 87
გადასახდელები ..... 89
ნაშთის ცვლილება ..... 90
3. ავტონომიური რესპუბლიკების 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტების შესრულების მიმოხილვა ..... 91
3.1 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ..... 91
შემოსულობები ..... 91
გადასახდელები ..... 93
ნაშთის ცვლილება ..... 95
3.2 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა ..... 96
შემოსულობები ..... 96
გადასახდელები ..... 98
ნაშთის ცვლილება ..... 99
დანართი: საქართველოს მუნიციპალიტეტების 2024 წლის ბიუჯეტებისა და ავტონომიური რესპუბლიკების 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტების შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი) ..... 100

# ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

| | მუნიციპალიტეტები და ავტონომიური რესპუბლიკები | მ.შ. მუნიციპალიტეტები | მ.შ. ავტონომიური რესპუბლიკები |
|---|---|---|---|
| შემოსულობები | 5,863.7 მლნ ლარი | 5,182.0 მლნ ლარი | 681.7 მლნ ლარი |
| გადასახდელები | 5,853.7 მლნ ლარი | 5,159.4 მლნ ლარი | 694.3 მლნ ლარი |
| ნაშთის ცვლილება | 9.9 მლნ ლარი | 22.6 მლნ ლარი | -12.6 მლნ ლარი |






# 1. საქართველოს მუნიციპალიტეტების 2024 წლის ბიუჯეტებისა და ავტონომიური რესპუბლიკების 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტების შესრულების ზოგადი მიმოხილვა

2024 წელს საქართველოს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებისა და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების ჯამურმა შემოსულობებმა 5,863.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (5,018.9 მლნ ლარი) 844.8 მლნ ლარით (16.8%-ით) აღემატება. 2024 წლის შემოსულობებში ძირითადი წილი, 88.4%, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობებს უკავია (5,182.0 მლნ ლარის ოდენობით), ხოლო 11.6% - ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების შემოსულობებს (681.7 მლნ ლარი ოდენობით).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მუნიციპალიტეტებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების შემოსულობები, 2015-2024 წლებში.

დიაგრამა 1. მუნიციპალიტეტებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების შემოსულობები, 2015-2024 წლებში (მლნ ლარი)

2016-2019 წლებში, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და საქართველოს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ჯამური შემოსულობები მუდმივი ზრდის ტენდენციით ხასიათდება, 2020 წელს (კოვიდ-პანდემიის გავლენით), 2019 წელთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი 8.3%-ით შემცირებულია, 2021 წლიდან ზრდის ტენდენცია გრძელდება და 2024 წელს, წინა წელთან შეადრებით, ზრდა 16.8%-ს აღწევს (2016-2024 წლებში, შემოსულობების ზრდის ტემპის საშუალო მაჩვენებელი 12.2%-ს შეადგენს).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მუნიციპალიტეტებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების შემოსულობების მაჩვენებელთა %-ული ცვლილება წინა წელთან შედარებით, 2016-2024 წლებში.

დიაგრამა 2. მუნიციპალიტეტებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების შემოსულობების მაჩვენებელთა %-ული ცვლილება წინა წელთან შედარებით, 2016-2024 წლებში (%)



2023 წელთან შედარებით, შემოსულობების 16.8%-იანი (844.8 მლნ ლარით) ზრდა, ძირითადად, შემოსავლების მნიშვნელოვან, 810.0 მლნ ლარით, ზრდასთან არის დაკავშირებული. შემოსულობების დანარჩენი კომპონენტებიც, ასევე, მომატებულია: არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობები - 27.7 მლნ ლარით, ხოლო ვალდებულებების ზრდისა და ფინანსური აქტივების კლების მუხლებით შემოსულობები - შესაბამისად, 6.0 მლნ ლარით და 1.1 მლნ ლარით.

მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ჯამური შემოსულობები გაზრდილია 734.4 მლნ ლარით, მ.შ. შემოსულობების ყველა კომპონენტი მომატებულია, თუმცა აღნიშნული ზრდა, ძირითადად, შემოსავლების მნიშვნელოვან (685.3 მლნ ლარით) მატებას უკავშირდება.

რაც შეეხება, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებს, აღნიშნული ბიუჯეტების შემოსულობები, 2023 წელთან შედარებით, გაზრდილია 110.4 მლნ ლარით, ერთი მხრივ, შემოსავლების 124.8 მლნ ლარით ზრდისა და მეორე მხრივ, არაფინანსური აქტივების კლებით შემოსულობების 14.4 მლნ ლარით შემცირების გავლენით.

ცხრილი 1. საქართველოს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებისა და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების 2023-2024 წლების შემოსულობები, კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)

| დასახელება | 2023 წელი | მ.შ. მუნიციპალიტეტები | მ.შ. ავტონომიურები | 2024 წელი | მ.შ. მუნიციპალიტეტები | მ.შ. ავტონომიურები | ჯამური სხვაობა | მ.შ. მუნიციპალიტეტები | მ.შ. ავტონომიურები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსულობები** | **5,018.9** | **4,447.6** | **571.3** | **5,863.7** | **5,182.0** | **681.7** | **844.8** | **734.4** | **110.4** |
| შემოსავლები | 4,788.6 | 4,254.5 | 534.1 | 5,598.6 | 4,939.8 | 658.9 | 810.0 | 685.3 | 124.8 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 230.2 | 193.0 | 37.2 | 257.9 | 235.0 | 22.9 | 27.7 | 42.0 | -14.4 |
| ფინანსური აქტივების კლება | 0.1 | 0.1 | 0.0 | 1.2 | 1.2 | 0.0 | 1.1 | 1.1 | 0.0 |
| ვალდებულებების ზრდა | 0.02 | 0.02 | 0.0 | 6.0 | 6.0 | 0.0 | 6.0 | 6.0 | 0.0 |

2024 წელს, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებისა და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების ჯამურმა გადასახდელებმა 5,853.7 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 88.1% (5,159.4 მლნ ლარი) მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელებზე, ხოლო 11.9% (694.3 მლნ ლარი) - ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების გადასახდელებზე მოდის. 2024 წლის გადასახდელების ჯამური მაჩვენებელი, 2023 წლის მაჩვენებელთან (4,972.4 მლნ ლარი) შედარებით, 881.4 მლნ ლარით (17.7%-ით) გაზრდილია.

დიაგრამა 3. მუნიციპალიტეტებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების გადასახდელები, 2015-2024 წლებში (მლნ ლარი)



2016-2024 წლებში, საქართველოს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებისა და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების ჯამური გადასახდელები, წინა წელთან შედარებით, ყოველწლიური ზრდით ხასიათდება (2016 წლის გარდა). 2017-2024 წლებში, გადასახდელების ზრდის ტემპის საშუალო მაჩვენებელი 13.5%-ს შეადგენს, 2024 წელს კი ზრდა 17.7%-ს აღწევს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მუნიციპალიტეტებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების გადასახდელების მაჩვენებელთა პროცენტული ცვლილება წინა წელთან შედარებით, 2016-2024 წლებში

დიაგრამა 4. მუნიციპალიტეტებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების გადასახდელების მაჩვენებელთა %-ული ცვლილება წინა წელთან შედარებით, 2016-2024 წლებში (%)




2023 წელთან შედარებით, გადასახდელების ზრდა (881.4 მლნ ლარით) დაკავშირებულია ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების მნიშვნელოვან მატებასთან (შესაბამისად, 562.0 მლნ ლარით და 298.5 მლნ ლარით), აგრეთვე, ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელების (20.8 მლნ ლარით) მატებასთან. რაც შეეხება ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტს, აღნიშნული მუხლით გადასახდელების სახით, 2024 წელს, წინა წლის მსგავსად, თანხები არ გაცემულა.

<u>მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების</u> გადასახდელები 747.6 მლნ ლარით არის გაზრდილი, მისი ყველა კომპონენტის მატების გავლენით, კერძოდ: ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით გადასახდელები გაზრდილია, შესაბამისად, 425.3 მლნ ლარით და 312.4 მლნ ლარით, ხოლო ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები - 9.9 მლნ ლარით.

რაც შეეხება, <u>ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებს</u>, აღნიშნული ბიუჯეტების გადასახდელები, 2023 წელთან შედარებით, 133.8 მლნ ლარით არის გაზრდილი, ძირითადად, ხარჯების მნიშვნელოვანი, 136.7 მლნ ლარით, აგრეთვე, ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელების 10.9 მლნ ლარით მატების გავლენით, არაფინანსური აქტივების ზრდით გადასახდელები კი 13.9 მლნ ლარით შემცირებულია.

ცხრილი 2. საქართველოს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებისა და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების 2023-2024 წლების გადასახდელები, კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)

| დასახელება | 2023 წელი | მ.შ. მუნიციპალიტეტები | მ.შ. ავტონომიურები | 2024 წელი | მ.შ. მუნიციპალიტეტები | მ.შ. ავტონომიურები | ჯამური სხვაობა | მ.შ. მუნიციპალიტეტები | მ.შ. ავტონომიურები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გადასახდელები** | **4,972.4** | **4,411.8** | **560.6** | **5,853.7** | **5,159.4** | **694.3** | **881.4** | **747.6** | **133.8** |
| ხარჯები | 3,380.0 | 2,929.2 | 450.8 | 3,942.0 | 3,354.5 | 587.5 | 562.0 | 425.3 | 136.7 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 1,510.6 | 1,409.0 | 101.6 | 1,809.1 | 1,721.4 | 87.7 | 298.5 | 312.4 | -13.9 |
| ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალდებულებების კლება | 81.7 | 73.6 | 8.2 | 102.6 | 83.5 | 19.1 | 20.8 | 9.9 | 10.9 |

2024 წელს, საქართველოს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებისა და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების ჯამური შემოსულობებისა (5,863.7 მლნ ლარი) და ჯამური გადასახდელების (5,853.7 მლნ ლარი) გათვალისწინებით, ნაშთის ცვლილებამ (დაგროვებამ) 9.9 მლნ ლარი შეადგინა (მ.შ. მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში ნაშთის დაგროვება ვლინდება, 22.6 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებში - ნაშთის გამოყენება, 12.6 მლნ ლარის ოდენობით).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებისა და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების ნაშთის ცვლილების მაჩვენებლები, 2015-2024 წლებში.

დიაგრამა 5. მუნიციპალიტეტებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების ნაშთის ცვლილების მაჩვენებლები, 2015-2024 წლებში (მლნ ლარი)



# 2. საქართველოს მუნიციპალიტეტების 2024 წლის ბიუჯეტების შესრულების მიმოხილვა

2024 წელს საქართველოს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების:

- შემოსულობებმა, ჯამურად, 5,182.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც 734.4 მლნ ლარით (16.5%-ით) აღემატება 2023 წლის მაჩვენებელს (4,447.6 მლნ ლარი);
- გადასახდელებმა, ჯამურად, 5,159.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (4,411.8 მლნ ლარი) 747.6 მლნ ლარით, 16.9%-ით, აღემატება;
- მიღებული შემოსულობებისა და გაწეული გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის ცვლილება (დაგროვება) 22.6 მლნ ლარს შეადგენს.

## შემოსულობები

2024 წელს, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობებმა, ჯამურად 5,182.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც 734.4 მლნ ლარით (16.5%-ით) აღემატება 2023 წლის მაჩვენებელს. 2024 წელს მიღებული შემოსულობებიდან, ყველაზე დიდი წილი, 38.4%, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტზე მოდის, რაც 1,989.3 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო ყველაზე მცირე წილი (0.03%) - აფხაზეთის მხარეზე (მოიცავს მხოლოდ აჭარის მუნიციპალიტეტს), 1.5 მლნ ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობების სტრუქტურაში, ძირითადი წილი, 95.3%, 4,939.8 მლნ ლარის ოდენობით, შემოსავლებს უკავია, 4.5% (235.0 მლნ ლარი) - არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობებს, ხოლო ვალდებულებების ზრდისა და ფინანსური აქტივების კლების მუხლებით მცირედი თანხებია მიღებული, შესაბამისად, 6.0 მლნ ლარის და 1.2 მლნ ლარის ოდენობით

დიაგრამა 6. 2024 წელს, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობები, მხარეების მიხედვით, (მლნ ლარი).




დიაგრამა 7. საქართველოს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობები კომპონენტების მიხედვით, 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).

რაც შეეხება მხარეების მიხედვით, შემოსულობების ოდენობას[1], მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, 2024 წელს, 1 სულ მოსახლეზე შემოსულობების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, 3,703.0 ლარის ოდენობით, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი - ქვემო ქართლში - 918.2 ლარის ოდენობით.

დიაგრამა 8. შემოსულობები მოსახლეობის 1 სულზე გაანგარიშებით, მხარეების მიხედვით, 2024 წელს (ლარი).




„დეცენტრალიზაციის 2020–2025 წლების სტრატეგიისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის № 678 დადგენილებით დამტკიცებული დეცენტრალიზაციის 2020−2025 წლების სტრატეგიის მე-2 სტრატეგიული მიზნის - „ადგილობრივი თვითმმართველობის უზრუნველყოფა შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსებით“ – 2.1 ამოცანის - „ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი შემოსულობების თანმიმდევრული ზრდის ხელშეწყობა“ - მიხედვით: 2025 წლისათვის „კანონმდებლობით განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობების საერთო შემოსულობების წილი, რომელიც იქნება მთლიანი შიდა პროდუქტის არანაკლებ 7 პროცენტი.“

2024 წელს, საქართველოს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობების მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდების მაჩვენებელი, 2016-2023 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით მომატებულია და 5.6%-ს შეადგენს.

დიაგრამა 9. საქართველოს მუნიციპალიტეტების შემოსულობები მშპ-თან მიმართებით, 2015-2024 წლებში (%)




[1] წარმოდგენილ დოკუმენტში მოსახლეობის რაოდენობა აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის - „საქსტატის“ მონაცემების საფუძველზე, 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

## შემოსავლები

2024 წელს, საქართველოს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსავლებმა 4,939.8 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელზე 685.3 მლნ ლარით (16.1%-ით) მეტია. მსგავსად შემოსულობებისა, 2024 წელს მიღებული შემოსავლების ყველაზე დიდი წილი (38.1%), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტზე მოდის, ხოლო ყველაზე მცირე (0.03%) - აფხაზეთის მხარეზე.

2024 წელს მიღებული შემოსავლების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, 3,600.9 ლარი, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე დაბალი (837.5 ლარი) - ქვემო ქართლში (ისევე, როგორც შემოსულობების შემთხვევაში).

დიაგრამა 10. მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსავლები მხარეების მიხედვით, 2024 წელს (მლნ ლარი).




დიაგრამა 11. შემოსავლები მოსახლეობის 1 სულზე გაანგარიშებით, მხარეების მიხედვით, 2024 წელს (ლარი)




მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსავლების ზრდა, 2023 წელთან შედარებით, მისი ყველა კომპონენტის მატებას უკავშირდება. კერძოდ, საგადასახადო შემოსავლები გაზრდილია 228.8 მლნ ლარით, გრანტები - 343.7 მლნ ლარით, ხოლო სხვა შემოსავლები - 112.8 მლნ ლარით

დიაგრამა 12. მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსავლები კომპონენტების მიხედვით, 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).



2024 წელს, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლებმა 2,470.7 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 1,773.1 მლნ ლარი მიღებულია დღგ-დან, ხოლო 697.7 მლნ ლარი - ქონების გადასახადიდან (მ.შ. ძირითადი თანხები, 528.6 მლნ ლარის ოდენობით, შემოსულია საქართველოს საწარმოთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადიდან, აგრეთვე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადიდან, 71.4 მლნ ლარის ოდენობით (სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ქონების გადასახადი 29.0 მლნ ლარს შეადგენს).

დიაგრამა 13. მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლები კომპონენტების მიხედვით, 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).




რაც შეეხება გადასახადის სახეებიდან მიღებულ შემოსავლებს, მხარეების მიხედვით, დღგ-ის ყველაზე დიდი წილი (37.1%), 658.5 მლნ ლარის ოდენობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტზე მოდის, ხოლო ყველაზე მცირე (2.1%) - რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეზე, 36.7 მლნ ლარის ოდენობით.

(უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის მხარის ბიუჯეტში გადასახადები შემოსულია მხოლოდ ქონების გადასახადის სახით, საგადასახადო შემოსავლები სხვა სახის გადასახადებს არ მოიცავს).

დიაგრამა 14. 2024 წელს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში მიღებული დღგ, მხარეების მიხედვით (მლნ ლარი).




2024 წელს, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში ქონების გადასახადის სახით მობილიზებულია 697.7 მლნ ლარი, რომლის ყველაზე დიდი წილი, 46.3% (323.2 მლნ ლარის ოდენობით), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტშია მიღებული, ხოლო ყველაზე მცირე (0.5%, 3.4 მლნ ლარის ოდენობით) - რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტში.
(აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის მხარის ბიუჯეტში, ქონების გადასახადის სახით შემოსულია 62 ლარი).

დიაგრამა 15. 2024 წელს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში მიღებული ქონების გადასახადი, მხარეების მიხედვით (მლნ ლარი).



2024 წელს, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში გრანტების სახით მიღებულმა შემოსავლებმა 1,701.5 მლნ ლარი შეადგინა, მ.შ. 1,691.4 მლნ ლარი სახელმწიფო ერთეულებიდან არის შემოსული, 9.8 მლნ ლარი - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, ხოლო 0.3 მლნ ლარი - უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან.

სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტებიდან (1,691.4 მლნ ლარი), კაპიტალური ტრანსფერის სახით 744.7 მლნ ლარია ჩარიცხული, სპეციალურმა ტრანსფერმა 826.3 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მიზნობრივმა ტრანსფერმა - 59.3 მლნ ლარი, სხვა დანარჩენი გრანტები კი 61.2 მლნ ლარს გაუტოლდა.

დიაგრამა 16. სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები, 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




საგადასახადო შემოსავლებისა და გრანტების ანალიზისას, საინტერესოა, საბიუჯეტო და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსებში, 2018 წლის ბოლოს, განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 2019-2024 წლებში მიღებული შემოსავლების გასული წლების მაჩვენებლებთან შედარება. კერძოდ, აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, 2019 წლიდან გათანაბრებითი ტრანსფერისა და სხვადასხვა სახის შემოსავლიდან[2], საშემოსავლო გადასახადის ნაცვლად, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში მიიმართება მთლიანად მობილიზებული დღგ-ის 19% (საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფორმულის მიხედვით). 2015-2018 წლებში, გათანაბრებითი ტრანსფერიდან და საშემოსავლო გადასახადიდან, ჯამურად მიღებული შემოსავალი, 817.6 მლნ ლარიდან 844.7 მლნ ლარამდე მერყეობს და საშუალოდ, 829.5 მლნ ლარს შეადგენს. 2019-2024 წლებში, დღგ-დან მიღებული შემოსავალი კი, საშუალოდ, 1,307.1 მლნ ლარს შეადგენს (57.6%-ით გაზრდილია), 2020 წლის გარდა, ყოველწლიური მატებით ხასიათდება (დღგ-ის მოცულობის ზრდიდან გამომდინარე), 2019 წელს მიღებული 995.4 მლნ ლარიდან, 2024 წელს, 1,773.1 მლნ ლარს აღწევს.

დიაგრამა 17. 2020-2024 წლებში, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში მიღებული გათანაბრებითი ტრანსფერი, საშემოსავლო გადასახადი და დღგ (მლნ ლარი)




[2] მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან; არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადი (ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან); ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტიდან; ფიზიკური პირისათვის ქონების ჩუქებიდან; ფიზიკური პირის მიერ ქონების მემკვიდრეობით მიღებიდან; ფიზიკური პირის მიერ ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან. 2016-2018 წლებში ზემოაღნიშნული შემოსავლებიდან საშემოსავლო გადასახადი აღირიცხებოდა მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში.

2024 წელს, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში სხვა შემოსავლების სახით 767.5 მლნ ლარი ჩაირიცხა, 2023 წლის მონაცემზე 112.8 მლნ ლარით (17.2%-ით) მეტი. წინა წელთან შედარებით, სხვა შემოსავლების ყველა მუხლიდან მიღებული შემოსავალი გაზრდილია, გარდა დივიდენდისა (რომელიც 0.04 მლნ ლარით შემცირებულია), კერძოდ: შემოსავალი საკუთრებიდან, პროცენტებიდან და რენტიდან გაზრდილია შესაბამისად, 6.4 მლნ ლარით და 17.3 მლნ ლარით, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან - 40.6 მლნ ლარით, ჯარიმებიდან (სანქციებიდან, საურავებიდან) - 5.9 მლნ ლარით, ხოლო არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან - 42.8 მლნ ლარით.

დიაგრამა 18. 2020-2024 წლებში, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში მიღებული სხვა შემოსავლები (მლნ ლარი)




## არაფინანსური აქტივების კლება

მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში, 2024 წელს, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობა 235.0 მლნ ლარს შეადგენს, რაც 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 42.0 მლნ ლარით (21.8%-ით) აღემატება. 2024 წელს მიღებული შემოსულობების ძირითადი წილი (65.1%), 152.9 მლნ ლარის ოდენობით, შემოსულია არაწარმოებული აქტივების (მიწის) რეალიზაციიდან და აგრეთვე, ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან (34.5%, 81.0 მლნ ლარის ოდენობით), მატერიალური მარაგებისა და ფასეულობების რეალიზაციიდან მიღებული შემოსულობები მცირეა და შესაბამისად, 0.4 მლნ ლარს და 0.8 მლნ ლარს უტოლდება.

დიაგრამა 19. არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები, 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




## ფინანსური აქტივების კლება

მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში, 2024 წელს, ფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებული შემოსულობა 1.2 მლნ ლარს შეადგენს, მ.შ. გაცემული სესხების დაბრუნებიდან მიღებულია 1.0 მლნ ლარი, ხოლო აქციებიდან და სხვა კაპიტალიდან - 0.2 მლნ ლარი. წინა წელთან შედარებით, აღნიშნული შემოსულობები მნიშვნელოვნად, 1.1 მლნ ლარით გაზრდილია (2024 წელს, გაცემული სესხების დაბრუნებიდან ბიუჯეტში თანხების ჩარიცხვის გავლენით).

დიაგრამა 20. ფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები, 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)



## ვალდებულებების ზრდა

მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში, 2024 წელს, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობებმა 6.0 მლნ ლარი შეადგინა. მ.შ. ძირითადი ნაწილი, 5.96 მლნ ლარი, სესხის სახით მიღებული შემოსულობებია (სხვა კრედიტორული დავალიანებები 70.4 ათას ლარს შეადგენს, ხოლო აქციები და სხვა კაპიტალი - 500 ლარს). 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (0.02 მლნ ლარი) შედარებით, ვალდებულებების ზრდით შემოსულობები მნიშვნელოვნად გაზრდილია, რაც 2024 წელს მნიშვნელოვანი ოდენობით (ქვემო ქართლის მხარეში, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტისთვის) სესხის გამოყოფასთან არის დაკავშირებული.

დიაგრამა 21. ვალდებულებბეის ზრდის მუხლით შემოსულობები, 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)



## გადასახდელები

2024 წელს, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელებმა, ჯამურად, 5,159.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც 747.6 მლნ ლარით (16.9%-ით) აღემატება 2023 წლის მაჩვენებელს (4,411.8 მლნ ლარი). 2024 წელს გაწეული გადასახდელებიდან, ყველაზე დიდი წილი (37.3%) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტზე მოდის და 1,923.7 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო ყველაზე მცირე წილი (0.03%) - აფხაზეთის მხარეზე (მოიცავს მხოლოდ აჟარის მუნიციპალიტეტს) და 1.4 მლნ ლარს შეადგენს.

რაც შეეხება გადასახდელების კომპონენტებს, 2024 წელს, ხარჯებმა, რომელიც გადასახდელებში ძირითად წილს, 65%-ს, იკავებს, 3,354.5 მლნ ლარი შეადგინა, არაფინანსური აქტივების ზრდისა და ვალდებულებების კლების მუხლებით გადასახდელებმა - შესაბამისად, 1,721.4 მლნ ლარი და 83.5 მლნ ლარი (ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების სახით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2024 წელს, წინა წლის მსგავსად, თანხები არ გაცემულა).

დიაგრამა 22. მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები მხარეების მიხედვით, 2024 წელს (მლნ ლარი).




დიაგრამა 23. მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები კომპონენტების მიხედვით, 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).




როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები, 2015-2024 წლებში, მუდმივი ზრდის ტენდენციით ხასიათდება (გარდა 2016 წლისა), 2017-2024 წლებში გადასახდელების საშუალო ზრდის ტემპი 13.1%-ს შეადგენს, ხოლო 2024 წელს, წინა წელთან შედარებით, ზრდის მაჩვენებელი 16.9%-ს აღწევს.

რაც შეეხება გადასახდელების კომპონენტების წილობრივ მაჩვენებლებს მთლიან გადასახდელებში, ძირითადი წილი ხარჯებსა და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით გადასახდელებს უკავია. 2015-2024 წლებში, ხარჯების წილობრივი მაჩვენებელი გადასახდელებში 56.6%-დან 67.9%-მდე მერყეობს, საშუალოდ, 63.7%-ს შეადგენს, ხოლო 2024 წელს 65.0%-ს აღწევს. არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების წილი კი 26.7% - 39.4%-ის შუალედშია, საშუალოდ, 31.9%-ს შეადგენს და 2024 წელს 33.4%-ს აღწევს.

დიაგრამა 24. მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელების სტრუქტურა, 2015-2024 წლებში (%).




რაც შეეხება მხარეების მიხედვით, 2024 წელს გაწეული გადასახდელების ოდენობას მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, 1 სულ მოსახლეზე გადასახდელების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (ისევე, როგორც შემოსულობების შემთხვევაში), რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში დაფიქსირდა - 3,934.1 ლარის ოდენობით, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი - ქვემო ქართლში - 966.7 ლარის ოდენობით.

დიაგრამა 25. გადასახდელები მოსახლეობის 1 სულზე გაანგარიშებით, მხარეების მიხედვით, 2024 წელს (ლარი).




## ხარჯები

2024 წელს, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯებმა, ჯამურად, 3,354.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 425.3 მლნ ლარით (14.5%-ით) აღემატება. მსგავსად გადასახდელებისა, 2024 წელს გაწეული ხარჯებიდან, ყველაზე დიდი წილი (44.9%), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტზე მოდის, ხოლო ყველაზე მცირე (0.04%) - აფხაზეთის მხარეზე.

2024 წელს გაწეული ხარჯების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით (1,792.2 ლარი), რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ფიქსირდება, ხოლო ყველაზე დაბალი (557.2 ლარი) - შიდა ქართლში.

დიაგრამა 26. მუნიციპალიტეტების ბიუჯეტეტბის ხარჯები მხარეების მიხედვით, 2024 წელს (მლნ ლარი).



დიაგრამა 27. ხარჯები მოსახლეობის 1 სულზე გაანგარიშებით, მხარეების მიხედვით, 2024 წელს (ლარი).




რაც შეეხება მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯებს კომპონენტების მიხედვით, მთლიანი ხარჯების 40.7% სუბსიდიებზე მოდის, 1,366.0 მლნ ლარის ოდენობით, შრომის ანაზღაურებასა (ხარჯების 14.6%) და საქონელსა და მომსახურებაზე (ხარჯების 18.1%), შესაბამისად, 490.3 მლნ ლარი და 607.3 მლნ ლარი მიიმართა, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებმა 296.0 მლნ ლარი შეადგინა (ხარჯების 8.8%), ხოლო სხვა ხარჯებმა - 559.9 მლნ ლარი (ხარჯების 16.7%). რაც შეეხება პროცენტისა და გრანტების მუხლებს, აღნიშნული ხარჯები შედარებით დაბალი მაჩვენებლებით გამოირჩევა და შესაბამისად, 25.4 მლნ ლარს (0.8%) და 9.7 მლნ ლარს (0.3%) უტოლდება.

2024 წელს გაწეული ხარჯების მოცულობა 2023 წლის მაჩვენებელს (2,929.2 მლნ ლარს) 425.3 მლნ ლარით აღემატება, რაც ძირითადად, სუბსიდიებისა და სხვა ხარჯების მუხლებით გაწეული ხარჯების, შესაბამისად, 166.2 მლნ ლარით და 109.5 მლნ ლარით მატებას უკავშირდება.

ხარჯების ყველაზე დიდი კომპონენტი, სუბსიდიები, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე/ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებზე და სხვა სახელმწიფო არაფინანსურ საწარმოებზე გადაცემულ თანხებს წარმოადგენს და გადასახდელებთან და ხარჯებთან მიმართებით მაღალი წილობრივი მაჩვენებლით გამორჩევა: 2020-2024 წლებში, სუბსიდიების წილი მუნიციპალიტეტების ხარჯებში 36.7%-სა და 42.3%-ს შორის მერყეობს, ხოლო გადასახდელებში - 22.6%-სა და 28.7%-ს შორის.

დიაგრამა 28. მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).




დიაგრამა 29. სუბსიდიების წილი ხარჯებსა და გადასახდელებში, 2020-2024 წლებში (%).



## არაფინანსური აქტივების ზრდა

2024 წელს, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელებმა 1,721.4 მლნ ლარს შეადგენს, (რაც ბოლო 10 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალ მაჩვენებელს წარმოდგენს), წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს კი 312.4 მლნ ლარით (22.2%-ით) აღემატება. 2020-2022 წლებში, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების პროცენტული წილი მთლიან გადასახდელებში შემცირებულია (37.2%-დან 30.8%-მდე), თუმცა, 2022 წლიდან, აღნიშნული გადასახდელები ზრდის ტენდენციას იძენს, 2023 წლიდან, გადასახდელებში მისი წილობრივი მაჩვენებელიც იმატებს და 2024 წელს 33.4%-ს აღწევს.

რაც შეეხება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელებს მხარეების მიხედვით, აღნიშნული გადასახდელებიდან, ყველაზე დიდი წილი, 22.6% (389.7 მლნ ლარის ოდენობით), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტშია გაწეული, ხოლო ყველაზე მცირე - აფხაზეთის მხარის ბიუჯეტში (3.7 ათასი ლარის ოდენობით).

დიაგრამა 30. არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები და მისი წილი გადასახდელებში, 2020-2024 წლებში (მლნ ლარი, %).




დიაგრამა 31. არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები მხარეების მიხედვით, 2024 წელს (მლნ ლარი).




## ვალდებულებების კლება

2024 წელს, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელებმა 83.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 9.9 მლნ ლარით აღემატება. აღნიშნული გადასახდელები სრულად წარმოადგენს საშინაო სესხების დაფარვაზე გაწეულ სახსრებს.

დიაგრამა 32. ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები კომპონენტების მიხედვით, 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).



## გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

2024 წელს, საქართველოს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელებმა ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით 5,075.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 737.7 მლნ ლარით აღემატება.

2024 წელს, ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით მუნიციპალიტეტების ასიგნებებში, მოცულობის მიხედვით, 3 ყველაზე მსხვილი მიმართულება გამოიყოფა: ეკონომიკური საქმიანობა (1,618.1 მლნ ლარი), საბინაო-კომუნალური მეურნეობა (834.9 მლნ ლარი) და განათლება (654.9 მლნ ლარი). აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მიმართულებები 2017-2023 წლებშიც ძირითად მიმართულებებს წარმოადგენდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მუნიციპალიტეტების 2015-2024 წლების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით გადასახდელები, ფუნქციონალურ ჭრილში.

დიაგრამა 33. მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები, ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).




## ნაშთის ცვლილება

2024 წელს, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობებმა 5,182.0 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო გადასახდელებმა - 5,159.4 მლნ ლარი, შესაბამისად, ნაშთის ცვლილება (დაგროვება) 22.6 მლნ ლარს გაუტოლდა.

მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ნაშთის ცვლილება, 2020-2024 წლებში.

დიაგრამა 34. მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ნაშთის ცვლილება, 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).



## 2.1 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის:

- შემოსულობებმა 1,989.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (1,786.7 მლნ ლარი) 202.6 მლნ ლარით აღემატება;
- გადასახდელებმა 1,923.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (1,722.2 მლნ ლარი) 201.5 მლნ ლარით აღემატება;
- მიღებული შემოსულობებისა და გაწეული გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის ცვლილება (დაგროვება) 65.6 მლნ ლარს შეადგენს.

### შემოსულობები

2024 წელს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებმა 1,989.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (1,786.7 მლნ ლარი) 202.6 მლნ ლარით (11.3%-ით) აღემატება.

2024 წელს მიღებული შემოსულობის სტრუქტურაში, ძირითადი წილი, 94.5% (1,880.5 მლნ ლარის ოდენობით), შემოსავლებს უკავია, 5.5%-ს (108.8 მლნ ლარის ოდენობით) - არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობები შეადგენს, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები კი მცირეა და 6.5 ათასი ლარს აღწევს (ფინანსური აქტივების კლების კომპონენტს აღნიშნული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები არ მოიცავს). შემოსულობების სტრუქტურა 2015-2023 წლებშიც თითქმის ანალოგიურია, შემოსავლები ძირითადი კომპონენტია და აღნიშნულ პერიოდში, მისი წილი შემოსულობებში 89.8%-დან 95.0%-მდე მერყეობს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით, 2015-2024 წლებში.

დიაგრამა 35. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით, 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).




როგორც დიაგრამაზეა გამოსახული, 2017-2024 წლებში (გარდა 2020 წლისა), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები ზრდის ტენდენციით ხასიათდება, მისი ზრდის ტემპის საშუალო მაჩვენებელი 13.2%-ს შეადგენს, 2024 წელს კი 11.3%-ია.

## შემოსავლები

2024 წელს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებმა 1,880.5 მლნ ლარი შეადგინა. 2023 წელთან შედარებით, შემოსავლები 189.1 მლნ ლარით (11.2%-ით) გაზრდილია, მისი ყველა კომპონენტის მატების გავლენით: კერძოდ, საგადასახადო შემოსავლები გაზრდილია 61.5 მლნ ლარით, გრანტები - 75.3 მლნ ლარით და სხვა შემოსავლები - 52.4 მლნ ლარით

დიაგრამა 36. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები კომპონენტების მიხედვით, 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებმა, 2024 წელს, 981.8 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 658.5 მლნ ლარი დღგ-დან მიღებულ შემოსავალზე მოდის, ხოლო 323.2 მლნ ლარი - ქონების გადასახადზე. 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელი 61.5 მლნ ლარით აღემატება 2023 წლის ანალოგიურ მონაცემს, რაც დაკავშირებულია დღგ-დან 24.9 მლნ ლარით (3.9%-ით), ხოლო ქონების გადასახადიდან 36.6 მლნ ლარით (12.8%-ით) მეტი შემოსავლის მიღებასთან.

დიაგრამა 37. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები, 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




2024 წელს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გრანტების სახით მიღებულმა შემოსავლებმა 518.5 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 518.1 მლნ ლარი სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებულ გრანტებს წარმოადგენს, 0.4 მლნ ლარი შემოსულია საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, ხოლო 225 ლარი - უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან.
სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტებიდან (518.1 მლნ ლარი), ძირითადი ნაწილი, 96.5%, 500.0 მლნ ლარის ოდენობით, სპეციალური ტრანსფერის სახით ჩაირიცხა, კაპიტალურმა ტრანსფერმა 12.0 მლნ ლარი შეადგინა, მიზნობრივმა ტრანსფერმა - 0.4 მლნ ლარი, ხოლო სხვა დანარჩენმა გრანტებმა - 5.6 მლნ ლარი.

დიაგრამა 38. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები, 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)



2024 წელს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლებმა 380.2 მლნ ლარი შეადგინა. აქედან, თითქმის ნახევარი, 48.4%, 184.2 მლნ ლარის ოდენობით, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან შემოსავალზე მოდის, ხოლო 33.0% (125.6 მლნ ლარის ოდენობით) - ჯარიმებიდან (სანქციებიდან, საურავებიდან) მიღებულ შემოსავალზე. გარდა ამისა, არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან მიღებულია 37.5 მლნ ლარი, საკუთრებიდან შემოსვლები კი 33.0 მლნ ლარს უტოლდება, მ.შ. პროცენტისა და რენტის სახით, შესაბამისად, 25.0 მლნ ლარი და 8.0 მლნ ლარია შემოსული.

წინა წელთან შედარებით, სხვა შემოსავლები 52.4 მლნ ლარით (16.0%-ით) გაზრდილია, რაც ძირითადად, დაკავშირებულია საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან და არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან, შესაბამისად, 17.5 მლნ ლარით და 26.8 მლნ ლარით (3.5-ჯერ) მეტი შემოსავლის მიღებასთან, თუმცა ყველა დანარჩენი სახის შემოსავალი ასევე მომატებულია.

დიაგრამა 39. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები, 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




## არაფინანსური აქტივების კლება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობა, 2024 წელს, 108.8 მლნ ლარს შეადგენს, რომლის 50.2% ძირითადი აქტივების რეალიზაციიდანაა მიღებული, ხოლო 49.7% - არაწარმოებული აქტივების (მიწის) რეალიზაციიდან.

2023 წელთან შედარებით, არაფინანსური აქტივების კლებით შემოსულობა 13.6 მლნ ლარით (14.3%-ით) გაზრდილია, ერთი მხრივ, ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობების 20.5 მლნ ლარით ზრდისა და მეორე მხრივ, მიწის, აგრეთვე, მატერიალური მარაგების რეალიზაციიდან შემოსულობების, შესაბამისად, 6.5 მლნ ლარით და 0.3 მლნ ლარით შემცირების გავლენით.

დიაგრამა 40. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები, 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)



## გადასახდელები

2024 წელს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებმა 1,923.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (1,722.2 მლნ ლარი) 201.5 მლნ ლარით (11.7%-ით) აღემატება. გადასახდელების სტრუქტურაში, ძირითადი წილი, 78.3% (1,505.9 მლნ ლარის ოდენობით), ხარჯებს უკავია, აგრეთვე, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელებს (20.3%, 389.7 მლნ ლარის ოდენობით). ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები შედარებით მცირეა და 28.1 მლნ ლარს შეადგენს (ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების სახით თანხები არ გაცემულა).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით, 2015-2024 წლებში.

დიაგრამა 41. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით, 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).




## ხარჯები

2024 წელს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებმა 1,505.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (1,351.3 მლნ ლარი) 154.6 მლნ ლარით (11.4%-ით) აღემატება.

2024 წელს გაწეული ხარჯების სტრუქტურაში, ძირითადი წილი, 44.6% (671.2 მლნ ლარის ოდენობით), სუბსიდიებზე მოდის, სხვა ხარჯებსა (325.3 მლნ ლარი) და საქონლისა და მომსახურების ხარჯებს (232.1 მლნ ლარი), ასევე, მნიშვნელოვანი წილი უკავია (შესაბამისად, 21.6% და 15.4%). სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები მთლიანი ხარჯების 10.6%-ს შეადგენს (160.4 მლნ ლარი), ხოლო შრომის ანაზღაურების ხარჯები (103.8 მლნ ლარი) - 6.9%-ს, პროცენტისა და გრანტების მუხლებით გაწეული ხარჯები კი მცირეა და შესაბამისად, 12.1 მლნ ლარს და 1.1 მლნ ლარს უტოლდება.

დიაგრამა 42. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).



## არაფინანსური აქტივების ზრდა

2024 წელს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელებმა 389.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 47.6 მლნ ლარით (13.9%-ით) აღემატება.

2021 წლიდან არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები ზრდის ტენდენციით გამოირჩევა, თუმცა მისი წილობრივი მაჩვენებელი მთლიან გადასახდელებში, 2020-2022 წლებში, შემცირებულია (22.1%-დან 18.4%-მდე), 2023 წლიდან კი ისევ იმატებს და 2024 წელს 20.3%-ს აღწევს.

დიაგრამა 43. არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები და მისი წილი მთლიან გადასახდელებში, 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).




## ვალდებულებების კლება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, 2024 წელს, ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელებმა 28.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს მცირედით, 0.7 მლნ ლარით ჩამორჩება.

აღნიშნული გადასახდელები სრულად წარმოადგენს საშინაო სესხების დაფარვაზე გაწეულ სახსრებს.

დიაგრამა 44. ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები, 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).




## გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

2024 წელს, თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებმა, ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 1,895.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 202.2 მლნ ლარით აღემატება. ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, თბილისის მუნიციპალიტეტის ასიგნებების ყველაზე მსხვილი მიმართულებებია: ეკონომიკური საქმიანობა (638.5 მლნ ლარი), საბინაო-კომუნალური მეურნეობა (320.5 მლნ ლარი) და გარემოს დაცვა (281.0 მლნ ლარი). აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მიმართულებები 2022-2023 წლებშიც ყველაზე მსხვილ სამეულშია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით გადასახდელები, ფუნქციონალურ ჭრილში.

დიაგრამა 45. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები, ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 2018-2024 წლებში (მლნ ლარი).




## ნაშთის ცვლილება

2024 წელს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებმა 1,989.3 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო გადასახდელებმა - 1,923.7 მლნ ლარი, შესაბამისად ნაშთის ცვლილება (დაგროვება) 65.6 მლნ ლარს გაუტოლდა.

მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება, 2020-2024 წლებში.

დიაგრამა 46. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება, 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).



## 2.2 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მოიცავს 6 მუნიციპალიტეტს[3]: ქალაქ ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის, ხულოს მუნიციპალიტეტები.

2024 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების:

- შემოსულობებმა ჯამურად 649.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (521.2 მლნ ლარი) 128.2 მლნ ლარით, 24.6%-ით, აღემატება;
- გადასახდელებმა ჯამურად 617.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (515.5 მლნ ლარი) 101.5 მლნ ლარით, 19.7%-ით, აღემატება;
- მიღებული შემოსულობებისა და გაწეული გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის ცვლილება (დაგროვება) 32.3 მლნ ლარს შეადგენს.

### შემოსულობები

2024 წელს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობები 649.4 მლნ ლარს შეადგენს, რომლის დიდი წილი, 68.8%, 446.9 მლნ ლარის ოდენობით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტზე მოდის, ხოლო ყველაზე მცირე (3.6%, 23.3 მლნ ლარის ოდენობით) - შუახევის მუნიციპალიტეტზე.

მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობების სტრუქტურაში, ძირითადი წილი, 98.6%, 640.5 მლნ ლარის ოდენობით, შემოსავლებს უკავია, ხოლო დანარჩენ ნაწილს (8.9 მლნ ლარის ოდენობით) არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული შემოსულობები წარმოადგენს (შემოსულობები ფინანსური აქტივების კლებისა და ვალდებულებების ზრდის კომპონენტებს არ მოიცავს).

დიაგრამა 47. 2024 წელს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობები (მლნ ლარი).




დიაგრამა 48. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობები კომპონენტების მიხედვით, 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).




[3] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების შემოსულობებში, გადასახდელებში და ნაშთში გაერთიანებულია შესაბამისი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების მაჩვენებლები.

## შემოსავლები

2024 წელს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსავლებმა 640.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 129.8 მლნ ლარით აღემატება. აღნიშნული მატება დაკავშირებულია შემოსავლების სამივე კომპონენტის ზრდასთან. კერძოდ, გრანტები გაზრდილია 61.8 მლნ ლარით, გადასახადები - 26.9 მლნ ლარით და სხვა შემოსავლები - 41.1 მლნ ლარით

დიაგრამა 49. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსავლები კომპონენტების მიხედვით, 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).




აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლებმა (რომელსაც შემოსავლებში 33.4%-ანი წილი აქვს), 2024 წელს, 213.8 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 67.4% (144.0 მლნ ლარის ოდენობით) დღგ-დან მიღებულ შემოსავალზე მოდის, ხოლო დანარჩენს (69.8 მლნ ლარის ოდენობით) - ქონების გადასახადი შეადგენს. 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელი, 2023 წლის ანალოგიურ მონაცემს, 26.9 მლნ ლარით აღემატება, რაც დაკავშირებულია დღგ-დან 22.1 მლნ ლარით და ქონების გადასახადიდან 4.8 მლნ ლარით მეტი შემოსავლის მიღებასთან.

დიაგრამა 50. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლები, 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).




2024 წელს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების დამატებული ღირებულების გადასახადის ჯამური მოცულობის (144.0 მლნ ლარი) ძირითადი ნაწილი, 44.2%, (63.7 მლნ ლარის ოდენობით), ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტშია მიღებული, დღგ-ის მობილიზების შედარებით მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება ქობულეთის (29.8 მლნ ლარი), აგრეთვე, ხელვაჩაურისა (20.4 მლნ ლარი) და ქედის (16.7 მლნ ლარი) მუნიციპალიტეტებში, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში მიღებული დღგ შედარებით მცირეა (6.9 და 6.6 მლნ ლარი) და მთლიანი დღგ-ის, შესაბამისად, 4.8%-ს და 4.6%-ს შეადგენს.

დიაგრამა 51. 2024 წელს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში დღგ-დან მიღებული შემოსავალი (მლნ ლარი).



2024 წელს, გრანტების სახით შემოსულია 277.4 მლნ ლარი, საიდანაც 276.8 მლნ ლარი სახელმწიფო ერთეულებიდან არის მიღებული ხოლო 0.6 მლნ ლარი - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.
სახელმწიფო გრანტების ძირითად ნაწილს (99.7%-ს) კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერები წარმოადგენს, შესაბამისად, 147.1 მლნ ლარის და 129.0 მლნ ლარის ოდენობით, მიზნობრივი ტრანსფერი 0.2 მლნ ლარს შეადგენს, სხვა დანარჩენი გრანტები კი 0.5 მლნ ლარს უტოლდება.

დიაგრამა 52. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები, 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).




2024 წელს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში, სხვა შემოსავლებმა 149.3 მლნ ლარი შეადგინა. აქედან, 55.8% (83.3 მლნ ლარის ოდენობით), საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან შემოსავალზე მოდის, ასევე, მნიშვნელოვანი წილი, 21.9% (32.8 მლნ ლარის ოდენობით), არაკლასიფიცირებულ ტრანსფერებს ეკუთვნის. ჯარიმებიდან (სანქციებიდან, საურავებიდან) 17.4 მლნ ლარია მიღებული, საკუთრებიდან შემოსვლები კი 15.9 მლნ ლარს უტოლდება, მ.შ. პროცენტისა და რენტის სახით, შესაბამისად, 12.1 მლნ ლარი და 3.9 მლნ ლარია შემოსული. წინა წელთან შედარებით, სხვა შემოსავლები 41.1 მლნ ლარით გაზრდილია, ძირითადად, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან და არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან შემოსავლების მატების გავლენით (შესაბამისად, 11.3 მლნ ლარით და 28.8 მლნ ლარით).

დიაგრამა 53. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების სხვა შემოსავლები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




## არაფინანსური აქტივების კლება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში, 2024 წელს, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობა 8.9 მლნ ლარს შეადგენს, რაც 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 1.6 მლნ ლარით ნაკლებია. 2024 წელს, აღნიშნული შემოსულობებიდან, ძირითადი თანხები, 8.4 მლნ ლარის ოდენობით, არაწარმოებული აქტივების (მიწის) რეალიზაციიდანაა შემოსული, ხოლო ძირითადი აქტივებისა და მატერიალური მარაგების რეალიზაციიდან მიღებული შემოსულობა მცირეა და შესაბამისად, 0.4 მლნ ლარს და 0.02 მლნ ლარს უტოლდება.

დიაგრამა 54. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები, 2020-2024 წლებში, (მლნ ლარი).



## გადასახდელები

2024 წელს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელებმა 617.0 მლნ ლარი შეადგინა. გადასახდელების დიდი წილი, 66.9%, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტზე მოდის და 412.6 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო ყველაზე პატარა წილი, 3.7%, (22.6 მლნ ლარის ოდენობით) - შუახევის მუნიციპალიტეტზე.

გადასახდელების სტრუქტურაში, ძირითადი წილი, 57.6% და 36.4%, ხარჯებს და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელებს უკავია (შესაბამისად, 355.1 მლნ ლარის და 224.8 მლნ ლარის ოდენობით), დანარჩენ 6%-ს (37.1 მლნ ლარის ოდენობით) ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები შეადგენს (რაც შეეხება ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტს, აღნიშნული მუხლით გადასახდელების სახით 2024 წელს თანხები არ გაცემულა).

დიაგრამა 55. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები 2024 წელს (მლნ ლარი).




დიაგრამა 56. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები კომპონენტების მიხედვით, 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).




## ხარჯები

2024 წელს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯებმა 355.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მონაცემს 55.6 მლნ ლარით (18.6%-ით) აღემატება (ძირითადად, სხვა ხარჯების 49.0%-იანი ზრდის გავლენით). 2024 წელს, ხარჯების ძირითადი ნაწილი (65.2%), 231.6 მლნ ლარის ოდენობით, ბათუმის მუნიციპალიტეტშია გაწეული, ხოლო ყველაზე მცირე წილი (3.7%) - შუახევის მუნიციპალიტეტზე მოდის, რაც 13.2 მლნ ლარს შეადგენს.

დიაგრამა 57. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯები, 2024 წელს (მლნ ლარი).



რაც შეეხება 2024 წელს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯების სტრუქტურას კომპონენტების მიხედვით, მთლიანი ხარჯების დიდი წილი, 28.3%, საქონლისა და მომსახურების ხარჯებზე მოდის (100.6 მლნ ლარი), ასევე, სხვა ხარჯებსა (25.0%) და შრომის ანაზღაურებაზე (23.5%) (შესაბამისად, 88.9 მლნ ლარი და 83.6 მლნ ლარი). მთლიანი ხარჯების 12.8%-ს შეადგენს სუბსიდიები (45.5 მლნ ლარი), ხოლო 8.8%-ს - სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები (31.2 მლნ ლარი), პროცენტისა და გრანტების მუხლებით გაწეული ხარჯები კი მცირეა და შესაბამისად, 5.0 მლნ ლარს და 0.3 მლნ ლარს უტოლდება.

დიაგრამა 58. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის ხარჯები მუხლების მიხედვით, 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).




## არაფინანსური აქტივების ზრდა

2024 წელს, <u>არაფინანსური აქტივების ზრდის</u> მუხლით გადასახდელებმა 224.8 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნული გადასახდელები, 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 35.4 მლნ ლარით (18.7%-ით) გაზრდილია, თუმცა მისი წილობრივი მაჩვენებელი მთლიან გადასახდელებში მცირედით, 36.8%-დან 36.4%-მდე შემცირებულია. რაც შეეხება არაფინანსური აქტივების ზრდით გადასახდელების სტრუქტურას, ცალკეული მუნიციპალიტეტის მიხედვით, დიდი წილი, 64.3% (144.6 მლნ ლარის ოდენობით), ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტზე მოდის, ხოლო ყველაზე მცირე წილი, 3.7% - ქედის მუნიციპალიტეტზე (8.4 მლნ ლარი).

დიაგრამა 59. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები, 2024 წელს (მლნ ლარი).




## ვალდებულებების კლება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში, 2024 წელს, <u>ვალდებულებების კლების</u> მუხლით გადასახდელებმა 37.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 10.5 მლნ ლარით აღემატება.

აღნიშნული გადასახდელები სრულად წარმოადგენს საშინაო სესხების დაფარვაზე გაწეულ სახსრებს.

დიაგრამა 60. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები, 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).

## გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

2024 წელს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელებმა, ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 580.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 91.0 მლნ ლარით აღემატება.

2024 წელს, ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ასიგნებებიდან, გამოიყოფა 3 ყველაზე მსხვილი მიმართულება: საბინაო-კომუნალური მეურნეობა (142.1 მლნ ლარი), ეკონომიკური საქმიანობა (137.6 მლნ ლარი) და განათლება (74.7 მლნ ლარი). აღსანიშნავია, რომ 2018-2023 წლებშიც, აღნიშნული მიმართულებები ყველაზე მსხვილ სამეულშია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების, 2018-2024 წლების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით გადასახდელები, ფუნქციონალურ ჭრილში.

დიაგრამა 61. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 2018-2024 წლებში (მლნ ლარი).




## ნაშთის ცვლილება

2024 წელს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობებმა 649.4 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო გადასახდელებმა - 617.0 მლნ ლარი, შესაბამისად ნაშთის ცვლილება (დაგროვება) 32.3 მლნ ლარს გაუტოლდა.

მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ნაშთის ცვლილება, 2020-2024 წლებში.

დიაგრამა 62. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ნაშთის ცვლილება, 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).



## 2.3 კახეთის მხარე

კახეთის მხარე მოიცავს 8 მუნიციპალიტეტს[4]: ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის მუნიციპალიტეტები.

2024 წელს, კახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების:

- შემოსულობებმა ჯამურად 352.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (284.2 მლნ ლარი) 68.3 მლნ ლარით, 24.0%-ით, აღემატება;
- გადასახდელებმა ჯამურად 371.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (306.7 მლნ ლარი) 64.9 მლნ ლარით, 21.2%-ით, აღემატება;
- მიღებული შემოსულობებისა და გაწეული გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის ცვლილება (გამოყენება) -19.1 მლნ ლარს შეადგენს.

### შემოსულობები

2024 წელს, კახეთის მხარის მუნიციპალიტეტების შემოსულობებმა 352.4 მლნ ლარი შეადგინა. შემოსულობების დიდი წილი (16.1%) მოდის თელავის მუნიციპალიტეტზე და შეადგენს 56.7 მლნ ლარს, ხოლო ყველაზე პატარა წილი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტზე (6.6%) და შეადგენს 23.1 მლნ ლარს.

2024 წელს მიღებული შემოსულობის (352.4 მლნ ლარი) დიდი წილი (96.4%) შემოსავლებზე მოდის - 339.7 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა 11.7 მლნ ლარი შეადგინა, ფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებულ იქნა 1.0 მლნ ლარი. 2024 წელს არ მომხდარა ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების მიღება.

დიაგრამა 63. 2024 წელს კახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობები (მლნ ლარი).




დიაგრამა 64. კახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).




[4] კახეთის მხარის შემოსულობებში, გადასახდელებში და ნაშთში გაერთიანებულია შესაბამისი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების მაჩვენებლები.

## შემოსავლები

2024 წელს კახეთის მხარის მუნიციპალიტეტების შემოსავლებმა 339.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც 69.7 მლნ ლარით აღემატება 2023 წლის მაჩვენებელს. აღნიშნული მატება დაკავშირებულია გრანტების 43.2 მლნ ლარით, გადასახადებისა და სხვა შემოსავლების შესაბამისად 24.3 მლნ ლარით და 2.1 მლნ ლარით ზრდასთან.

დიაგრამა 65. კახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსავლები კომპონენტების მიხედვით 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




კახეთის მხარის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებმა, 2024 წელს, 188.3 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 143.8 მლნ ლარი დღგ-დან მიღებულ შემოსავალზე მოდის, ხოლო 44.5 მლნ ლარი - ქონების გადასახადზე. 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელი 24.3 მლნ ლარით აღემატება 2023 წლის ანალოგიურ მონაცემს, რაც დაკავშირებულია დღგ-დან 22.2 მლნ ლარით, ხოლო ქონების გადასახადიდან 2.1 მლნ ლარით მეტი შემოსავლის მიღებასთან.

დიაგრამა 66. კახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




2024 წელს კახეთის მხარის მუნიციპალიტეტებმა ბიუჯეტში, დამატებული ღირებულების გადასახადის სახით, ჯამურად 143.8 მლნ ლარი მიიღეს. კახეთის მხარეში მთლიანად მიღებული დღგ-ის 17.5% მოდის თელავის მუნიციპალიტეტზე, სადაც აღნიშნულმა ნომინალში 25.2 მლნ ლარი შეადგინა. გარდა თელავისა, დღგ-ის მობილიზების მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, ასევე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში - 25.0 მლნ ლარი. ყველაზე მცირე ოდენობით, დღგ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა მიიღო - 6.6 მლნ ლარის ოდენობით, რაც კახეთის მხარეში მთლიანად მიღებული დღგ-ის 4.6%-ს წარმოადგენს.

დიაგრამა 67. კახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში დღგ-დან მიღებული შემოსავალი 2024 წელს (მლნ ლარი)



2024 წელს გრანტების სახით მიღებულმა შემოსავლებმა 128.9 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 127.9 მლნ ლარი წარმოადგენს სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებულ გრანტებს, 0.9 მლნ ლარი მიღებულია საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, ხოლო 7.5 ათასი ლარი - უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან.

სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტებიდან (127.9 მლნ ლარი) კაპიტალური ტრანსფერის სახით ჩაირიცხა 87.8 მლნ ლარი, სპეციალურმა ტრანსფერმა 27.6 მლნ ლარი შეადგინა, მიზნობრივი ტრანსფერი 5.7 მლნ ლარით განისაზღვრა, ხოლო სხვა დანარჩენმა გრანტებმა 6.9 მლნ ლარი შეადგინა.

2024 წელს კახეთის მხარის სხვა შემოსავლებმა 22.5 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც პროცენტებიდან მიღებულ შემოსავალზე 6.7 მლნ ლარი მოდის, ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მიღებულია 5.0 მლნ ლარი, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან - 5.0 მლნ ლარი, რენტიდან შემოსავალმა 4.0 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო არაკლასიფიცირებული ტრანსფერები 1.7 მლნ ლარით განისაზღვრა.

სხვა შემოსავლების 2024 წლის მაჩვენებელი 2.1 მლნ ლარით აღემატება 2023 წლის ანალოგიურ მონაცემს, რაც ძირითადად დაკავშირებულია საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის სახით 1.7 მლნ ლარით მეტი შემოსავლის მიღებასთან.

## არაფინანსური აქტივების კლება

კახეთის მხარის არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობა, 2024 წელს, 11.7 მლნ ლარს შეადგენს, რაც 2.4 მლნ ლარით ნაკლებია 2023 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელზე. 2024 წელს არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობა ძირითადად მოდის არაწარმოებული აქტივებისა (მიწის) და ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსულობაზე შესაბამისად 11.3 მლნ ლარის და 0.4 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო მატერიალური მარაგების რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსულობამ 780 ლარი შეადგინა.

დიაგრამა 68. კახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




დიაგრამა 69. კახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების სხვა შემოსავლები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




დიაგრამა 70. კახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)



## გადასახდელები

2024 წელს კახეთის მხარის მუნიციპალიტეტების გადასახდელებმა 371.6 მლნ ლარი შეადგინა. კახეთის მხარის მუნიციპალიტეტების 2024 წლის გადასახდელების დიდი წილი (17.9%) მოდის თელავის მუნიციპალიტეტზე და შეადგენს 66.6 მლნ ლარს, ხოლო ყველაზე პატარა წილი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტზე (6.0%) და შეადგენს 22.2 მლნ ლარს. მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია კახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები 2024 წელს.

2024 წელს გაწეული გადასახდელების (371.6 მლნ ლარი) 53.9% მოდის ხარჯებზე - 200.5 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გაწეულმა გადასახდელებმა 169.7 მლნ ლარი შეადგინა, 2024 წელს არ მომხდარა ფინანსური აქტივების ზრდის მუხლის ფარგლებში სახსრების ათვისება, ხოლო ვალდებულებების კლების შესრულება 1.4 მლნ ლარით განისაზღვრა.

დიაგრამა 71. 2024 წელს კახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები (მლნ ლარი).




დიაგრამა 72. კახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).




## ხარჯები

2024 წელს კახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯებმა 200.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც 39.6 მლნ ლარით (24.6%-ით) აღემატება 2023 წლის მონაცემს. 2024 წელს ხარჯების ყველაზე დიდი წილი მოდის თელავის მუნიციპალიტეტზე (ხარჯების 20.8%) და შეადგენს 41.7 მლნ ლარს, ხოლო ყველაზე მცირე - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტზე (ხარჯების 6.5%) და შეადგენს 13.0 მლნ ლარს.

დიაგრამა 73. 2024 წელს კახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯები (მლნ ლარი).



რაც შეეხება 2024 წელს კახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ხარჯების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, (48.4%) მოდის სუბსიდიების მუხლზე, რომლის შესრულებამ 97.0 მლნ ლარი შეადგინა, შრომის ანაზღაურების მუხლზე, 2024 წელს, მიიმართა 28.9 მლნ ლარი (ხარჯების 14.4%), ხარჯების 14.7% მოდის საქონლისა და მომსახურების მუხლზე (29.5 მლნ ლარი), სხვა ხარჯების შესრულებამ 32.4 მლნ ლარი (ხარჯების 16.1%) შეადგინა, ხოლო სოციალური უზრუნველყოფის მუხლის შესრულებამ - 11.0 მლნ ლარი (ხარჯების 5.5%). რაც შეეხება პროცენტისა და გრანტების მუხლებს, აღნიშნული მუხლების ფაქტობრივი მაჩვენებლები შესრულების დაბალი დონით გამოირჩევა და შესაბამისად შეადგენს 0.5 მლნ ლარს და 1.3 მლნ ლარს.

დიაგრამა 74. კახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯები მუხლების მიხედვით 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).




## არაფინანსური აქტივების ზრდა

2024 წელს <u>არაფინანსური აქტივების ზრდამ</u> 169.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 25.2 მლნ ლარით (17.4%-ით) აღემატება, თუმცა მისი წილი მთლიან გადასახდელებში შემცირებულია 47.1%-დან 45.7%-მდე.

რაც შეეხება არაფინანსური აქტივების ზრდის შესრულებას მუნიციპალიტეტების მიხედვით, დიდი წილი მოდის საგარეჯოს მუნიციპალიტეტზე - 32.1 მლნ ლარი (არაფინანსური აქტივების ზრდის 18.9%), ხოლო მცირე წილი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტზე, 9.2 მლნ ლარი (არაფინანსური აქტივების ზრდის 5.4%).

დიაგრამა 75. კახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების არაფინანსური აქტივების ზრდა 2024 წელს (მლნ ლარი).




## ვალდებულებების კლება

კახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში, 2024 წელს, <u>ვალდებულებების კლების</u> მუხლით, გადასახდელებმა 1.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 34.6 ათასი ლარით აღემატება. 2024 წლის შესრულება სრულად მოდის საშინაო სესხების დაფარვაზე.

მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია კახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ვალდებულებების კლება კომპონენტების მიხედვით 2020-2024 წლებში.

დიაგრამა 76. კახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ვალდებულებების კლება 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).



## გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

2024 წელს კახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელებმა, ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 370.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 64.8 მლნ ლარით აღემატება.

2024 წელს, ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, კახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ასიგნებები მიიმართა შემდეგ 3 ყველაზე მსხვილ მიმართულებაზე: ეკონომიკური საქმიანობა, საბინაო-კომუნალური მეურნეობა და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება. ამასთან აღსანიშნავია, რომ 2023 წელს განათლება იკავებდა სიდიდის მიხედვით მესამე ადგილს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია კახეთის მხარის მუნიციპალიტეტების 2018-2024 წლების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ჭრილში.

დიაგრამა 77. კახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 2018-2024 წლებში (მლნ ლარი).




## ნაშთის ცვლილება

2024 წელს, კახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის შემოსულობებმა 352.4 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო გადასახდელებმა - 371.6 მლნ ლარი, შესაბამისად ნაშთის ცვლილება (გამოყენება) -19.1 მლნ ლარს შეადგენს.

მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია კახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ნაშთის ცვლილება 2020-2024 წლებში.

დიაგრამა 78. კახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ნაშთის ცვლილება 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).



## 2.4 იმერეთის მხარე

იმერეთის მხარე მოიცავს 12 მუნიციპალიტეტს[5]: ქალაქ ქუთაისის, ჭიათურის, ტყიბულის, წყალტუბოს, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტები.

2024 წელს იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების:

- შემოსულობებმა ჯამურად 558.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (457.1 მლნ ლარი) 101.2 მლნ ლარით, 22.1%-ით, აღემატება;
- გადასახდელებმა ჯამურად 567.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (471.4 მლნ ლარი) 95.8 მლნ ლარით, 20.3%-ით, აღემატება;
- მიღებული შემოსულობებისა და გაწეული გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის ცვლილება (გამოყენება) -8.8 მლნ ლარს შეადგენს.

### შემოსულობები

2024 წელს იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობებმა 558.4 მლნ ლარი შეადგინა. იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების 2024 წლის შემოსულობების დიდი წილი (24.4%) მოდის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტზე და შეადგენს 136.1 მლნ ლარს, ხოლო ყველაზე პატარა წილი - ხონის მუნიციპალიტეტზე (3.7%) და 20.9 მლნ ლარს შეადგენს.

2024 წელს მიღებული შემოსულობების (558.4 მლნ ლარი) სტრუქტურაში დიდი წილი (94.3%) მოდის შემოსავლებზე - 526.7 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა 31.6 მლნ ლარი შეადგინა, 2024 წელს არ მომხდარა ფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობების მიღება, ხოლო ვალდებულებების ზრდის მუხლით მიღებულია 64.4 ათასი ლარი.

დიაგრამა 79. 2024 წელს იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობები (მლნ ლარი).




დიაგრამა 80. იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).

[5] იმერეთის მხარის შემოსულობებში, გადასახდელებში და ნაშთში გაერთიანებულია შესაბამისი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების მაჩვენებლები.

## შემოსავლები

2024 წელს იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების შემოსავლებმა 526.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც 85.7 მლნ ლარით აღემატება 2023 წლის მაჩვენებელს. აღნიშნული მატება ძირითადად დაკავშირებულია გრანტების 43.6 მლნ ლარით მატებასთან, ასევე, გადასახადებისა და სხვა შემოსავლების შესაბამისად 32.5 მლნ ლარით და 9.7 მლნ ლარით ზრდასთან.

დიაგრამა 81. იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსავლები კომპონენტების მიხედვით 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების საგადასახადო შემოსავლებმა, 2024 წელს, 277.1 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 234.0 მლნ ლარი დღგ-დან მიღებულ შემოსავალზე მოდის, ხოლო 43.1 მლნ ლარი - ქონების გადასახადზე. 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელი 32.5 მლნ ლარით აღემატება 2023 წლის ანალოგიურ მონაცემს, რაც დღგ-დან 25.6 მლნ ლარით, ხოლო ქონების გადასახადიდან 6.9 მლნ ლარით მეტი შემოსავლის მიღებასთან არის დაკავშირებული.

დიაგრამა 82. იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




2024 წელს, იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტებში დამატებული ღირებულების გადასახადის სახით ჯამურად 234.0 მლნ ლარი მიიღეს. იმერეთის მხარეში მთლიანად მიღებული დღგ-ის 26.4% ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტზე მოდის, სადაც აღნიშნულმა ნომინალში 61.7 მლნ ლარი შეადგინა. გარდა ქუთაისისა, დღგ-ის მობილიზების მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, ასევე, წყალტუბოსა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტებში - 23.8 მლნ ლარი. ყველაზე მცირე ოდენობით, დღგ, ტყიბულის მუნიციპალიტეტმა მიიღო - 9.2 მლნ ლარის ოდენობით, რაც იმერეთის მხარეში მთლიანად მიღებული დღგ-ის 3.9%-ს წარმოადგენს.

დიაგრამა 83. იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში დღგ-დან მიღებული შემოსავალი 2024 წელს (მლნ ლარი)



2024 წელს გრანტების სახით მიღებულმა შემოსავლებმა 202.0 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 197.0 მლნ ლარი წარმოადგენს სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებულ გრანტებს, 4.9 მლნ ლარი მიღებულია საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, ხოლო უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან - 0.1 მლნ ლარი.

სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტებიდან (197.0 მლნ ლარი) კაპიტალური ტრანსფერის სახით ჩაირიცხა 129.0 მლნ ლარი, სპეციალურმა ტრანსფერმა 45.0 მლნ ლარი შეადგინა, მიზნობრივი ტრანსფერი 13.3 მლნ ლარით განისაზღვრა, ხოლო სხვა დანარჩენმა გრანტებმა 9.7 მლნ ლარი შეადგინა.

დიაგრამა 84. იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




2024 წელს იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების სხვა შემოსავლებმა 47.6 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან შემოსავლებმა - 17.2 მლნ ლარი შეადგინა, ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მიღებულია 14.5 მლნ ლარი, რენტიდან - 8.5 მლნ ლარი, პროცენტებიდან მიღებულ შემოსავალზე 4.8 მლნ ლარი მოდის, ხოლო არაკლასიფიცირებული ტრანსფერები 2.7 მლნ ლარით განისაზღვრა. სხვა შემოსავლების 2024 წლის მაჩვენებელი 9.7 მლნ ლარით აღემატება 2023 წლის ანალოგიურ მონაცემს, რაც ძირითადად დაკავშირებულია რენტისა და ჯარიმები, სანქციები და საურავების სახით შესაბამისად 3.6 მლნ 3.1 მლნ ლარით მეტი შემოსავლის მიღებასთან.

დიაგრამა 85. იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების სხვა შემოსავლები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




## არაფინანსური აქტივების კლება

იმერეთის მხარის არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობა, 2024 წელს, 31.6 მლნ ლარს შეადგენს, რაც 15.4 მლნ ლარით მეტია 2023 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელზე. 2024 წელს არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობა ძირითადად მოდის არაწარმოებული აქტივებისა (მიწის) და ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსულობაზე, შესაბამისად 22.0 მლნ ლარის და 8.8 მლნ ლარის ოდენობით. მატერიალური მარაგების რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსულობამ 1.3 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო ფასეულობებიდან 0.8 მლნ ლარი იქნა მიღებული.

დიაგრამა 86. იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)



## გადასახდელები

2024 წელს იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელებმა 567.2 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნული გადასახდელების დიდი წილი (24.7%) მოდის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტზე და შეადგენს 140.2 მლნ ლარს, ხოლო ყველაზე პატარა წილი - ხონის მუნიციპალიტეტზე (3.9%) და 22.2 მლნ ლარს შეადგენს.

2024 წელს გაწეული გადასახდელების (567.2 მლნ ლარი) 59.6% მოდის ხარჯებზე - 338.2 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გაწეულმა გადასახდელებმა 224.0 მლნ ლარი შეადგინა. 2024 წელს არ მომხდარა ფინანსური აქტივების ზრდის მუხლის ფარგლებში სახსრების ათვისება, ხოლო ვალდებულებების კლების შესრულებამ 4.9 მლნ ლარი შეადგინა.

დიაგრამა 87. 2024 წელს იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები (მლნ ლარი).




დიაგრამა 88. იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).




## ხარჯები

2024 წელს იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯებმა 338.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც 43.5 მლნ ლარით აღემატება 2023 წლის მონაცემს. 2024 წელს ხარჯების ყველაზე დიდი წილი მოდის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტზე (ხარჯების 29.5%) და შეადგენს 99.7 მლნ ლარს, ხოლო ყველაზე მცირე - ხონის მუნიციპალიტეტზე (ხარჯების 4.0%) და შეადგენს 13.6 მლნ ლარს.

დიაგრამა 89. 2024 წელს იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯები (მლნ ლარი).



რაც შეეხება 2024 წელს იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების ხარჯების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, მთლიანი ხარჯების (38.5%) მოდის სუბსიდიების მუხლზე, რომლის შესრულებამ 130.3 მლნ ლარი შეადგინა, შრომის ანაზღაურების მუხლზე, 2024 წელს, მიიმართა 84.3 მლნ ლარი (ხარჯების 24.9%), ხარჯების 17.7% მოდის საქონლისა და მომსახურების მუხლზე (60.0 მლნ ლარი), სხვა ხარჯების შესრულებამ 34.5 მლნ ლარი (ხარჯების 10.2%) შეადგინა, ხოლო სოციალური უზრუნველყოფის მუხლის შესრულებამ - 25.9 მლნ ლარი (ხარჯების 7.7%). რაც შეეხება პროცენტისა და გრანტების მუხლებს, აღნიშნული მუხლების ფაქტობრივი მაჩვენებლები შესრულების დაბალი დონით გამოირჩევა და შესაბამისად შეადგენს 2.3 მლნ ლარს და 1.0 მლნ ლარს.

დიაგრამა 90. იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯები მუხლების მიხედვით 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).




## არაფინანსური აქტივების ზრდა

2024 წელს <u>არაფინანსური აქტივების ზრდამ</u> 224.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 52.1 მლნ ლარით (30.3%-ით) აღემატება. მისი წილი კი მთლიან გადასახდელებში გაზრდილია 36.5%-დან 39.5%-მდე.

რაც შეეხება არაფინანსური აქტივების ზრდის შესრულებას მუნიციპალიტეტების მიხედვით, დიდი წილი მოდის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტზე - 36.6 მლნ ლარი (არაფინანსური აქტივების ზრდის 16.3%), ხოლო მცირე წილი - ხონის მუნიციპალიტეტზე, 8.6 მლნ ლარი (არაფინანსური აქტივების ზრდის 3.8%).

დიაგრამა 91. იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების არაფინანსური აქტივების ზრდა 2024 წელს (მლნ ლარი).




## ვალდებულებების კლება

2024 წელს, იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში <u>ვალდებულებების კლების</u> მუხლით გადასახდელებმა, 4.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 0.2 მლნ ლარით აღემატება. 2024 წლის შესრულება სრულად მოდის საშინაო სესხების დაფარვაზე.

მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ვალდებულებების კლება კომპონენტების მიხედვით 2020-2024 წლებში.

დიაგრამა 92. იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ვალდებულებების კლება 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).



## გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

2024 წელს იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელებმა, ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 562.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 95.6 მლნ ლარით აღემატება.

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით 2024 წელს იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების ასიგნებები მიიმართა შემდეგ 3 ყველაზე მსხვილ მიმართულებაზე: ეკონომიკური საქმიანობა, განათლება და დასვენება, კულტურა და რელიგია. ამასთან აღსანიშნავია, რომ 2023 წელსაც აღნიშნული მიმართულებები წარმოადგენდა უმსხვილეს მიმართულებებს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების 2018-2024 წლების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ჭრილში.

დიაგრამა 93. იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 2018-2024 წლებში (მლნ ლარი).




## ნაშთის ცვლილება

2024 წელს იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობებმა 558.4 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო გადასახდელებმა - 567.2 მლნ ლარი, შესაბამისად ნაშთის ცვლილება (გამოყენება) -8.8 მლნ ლარს შეადგენს.

მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ნაშთის ცვლილება 2020-2024 წლებში.

დიაგრამა 94. იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ნაშთის ცვლილება 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).



## 2.5 სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარე

სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარე მოიცავს 9 მუნიციპალიტეტს[6]: ქალაქ ფოთის, ზუგდიდის, აბაშის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის და ხობის მუნიციპალიტეტები.

2024 წელს სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების:

- შემოსულობებმა ჯამურად 379.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (327.1 მლნ ლარი) 52.1 მლნ ლარით, 15.9%-ით, აღემატება;
- გადასახდელებმა ჯამურად 390.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (324.7 მლნ ლარი) 65.8 მლნ ლარით, 20.3%-ით, აღემატება;
- მიღებული შემოსულობებისა და გაწეული გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის ცვლილება (გამოყენება) -11.3 მლნ ლარს შეადგენს.

### შემოსულობები

2024 წელს სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების შემოსულობებმა 379.2 მლნ ლარი შეადგინა. სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების 2024 წლის შემოსულობების დიდი წილი (26.2%) მოდის ზუგდიდის მუნიციპალიტეტზე და შეადგენს 99.4 მლნ ლარს, ხოლო ყველაზე პატარა წილი - აბაშის მუნიციპალიტეტზე (5.9%) და შეადგენს 22.4 მლნ ლარს. მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობები 2024 წელს.

2024 წელს მიღებული შემოსულობის (379.2 მლნ ლარი) დიდი წილი (97.6%) მოდის შემოსავლებზე - 370.2 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა 9.0 მლნ ლარი შეადგინა, 2024 წელს არ მომხდარა ფინანსური აქტივების კლებისა და ვალდებულებების ზრდის მუხლებით შემოსულობების მიღება.

დიაგრამა 95. 2024 წელს სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობები (მლნ ლარი).




დიაგრამა 96. სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).




[6] სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის შემოსულობებში, გადასახდელებში და ნაშთში გაერთიანებულია შესაბამისი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების მაჩვენებლები.

## შემოსავლები

2024 წელს სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსავლებმა 370.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც 51.1 მლნ ლარით აღემატება 2023 წლის მაჩვენებელს. აღნიშნული მატება დაკავშირებულია ერთი მხრივ გრანტებისა და გადასახადების ზრდასთან, შესაბამისად 42.3 მლნ ლარით და 12.3 მლნ ლარით, მეორე მხრივ სხვა შემოსავლების 3.5 მლნ ლარით შემცირებასთან.

დიაგრამა 97. სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსავლები კომპონენტების მიხედვით 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში საგადასახადო შემოსავლებმა, 2024 წელს, 179.8 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 135.6 მლნ ლარი დღგ-დან მიღებულ შემოსავალზე მოდის, ხოლო 44.2 მლნ ლარი - ქონების გადასახადზე. 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელი 12.3 მლნ ლარით აღემატება 2023 წლის ანალოგიურ მონაცემს, რაც დაკავშირებულია დღგ-დან 17.6 მლნ ლარით მეტი, ხოლო ქონების გადასახადიდან 5.3 მლნ ლარით ნაკლები შემოსავლის მიღებასთან.

დიაგრამა 98. სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




2024 წელს სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტებმა დამატებული ღირებულების გადასახადის სახით ჯამურად 135.6 მლნ ლარი მიიღეს. სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარეში მთლიანად მიღებული დღგ-ის 31.6% მოდის ზუგდიდის მუნიციპალიტეტზე, სადაც აღნიშნულმა ნომინალში 42.9 მლნ ლარი შეადგინა. გარდა ზუგდიდისა, დღგ-ის მობილიზების მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, ასევე, სენაკის მუნიციპალიტეტში - 16.3 მლნ ლარი. ყველაზე მცირე ოდენობით, დღგ, აბაშის მუნიციპალიტეტმა მიიღო - 9.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარეში მთლიანად მიღებული დღგ-ის 6.7%-ს წარმოადგენს.

დიაგრამა 99. სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში დღგ-დან მიღებული შემოსავალი 2024 წელს (მლნ ლარი)



2024 წელს გრანტების სახით მიღებულმა შემოსავლებმა 165.1 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 164.6 მლნ ლარი წარმოადგენს სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებულ გრანტებს, 0.5 მლნ ლარი მიღებულია საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, ხოლო უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული თანხა უმნიშვნელოა (51 ლარი).

სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტებიდან (164.6 მლნ ლარი) კაპიტალური ტრანსფერის სახით ჩაირიცხა 89.2 მლნ ლარი, სპეციალურმა ტრანსფერმა 43.5 მლნ ლარი შეადგინა, მიზნობრივი ტრანსფერი 11.9 მლნ ლარით განისაზღვრა, ხოლო სხვა დანარჩენმა გრანტებმა 20.0 მლნ ლარი შეადგინა.

დიაგრამა 100. სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები 2020-2024წლებში (მლნ ლარი)




2024 წელს სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის სხვა შემოსავლებმა 25.3 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც არაკლასიფიცირებული ტრანსფერები 1.2 მლნ ლარით განისაზღვრა, ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მიღებულია 6.8 მლნ ლარი, რენტიდან შემოსავალმა 6.6 მლნ ლარი შეადგინა, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან შემოსავლებმა - 7.9 მლნ ლარი, ხოლო პროცენტებიდან მიღებულია 2.8 მლნ ლარი. სხვა შემოსავლების 2024 წლის მაჩვენებელი 3.5 მლნ ლარით ჩამორჩება 2023 წლის ანალოგიურ მონაცემს, რაც ძირითადად დაკავშირებულია არაკლასიფიცირებული ტრანსფერების სახით 9.6 მლნ ლარით ნაკლები შემოსავლის მიღებასთან.

დიაგრამა 101. სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების სხვა შემოსავლები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




## არაფინანსური აქტივების კლება

სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობა, 2024 წელს, 9.0 მლნ ლარს შეადგენს, რაც 1.0 მლნ ლარით მეტია 2023 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელზე. 2024 წელს არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობა სრულად მოდის არაწარმოებული აქტივებისა (მიწის) და ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსულობაზე შესაბამისად 7.6 მლნ ლარის და 1.4 მლნ ლარის ოდენობით.

დიაგრამა 102. სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)



## გადასახდელები

2024 წელს სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელებმა 390.5 მლნ ლარი შეადგინა. სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების 2024 წლის გადასახდელების დიდი წილი (25.3%) მოდის ზუგდიდის მუნიციპალიტეტზე და შეადგენს 98.9 მლნ ლარს, ხოლო ყველაზე პატარა წილი - აბაშის მუნიციპალიტეტზე (5.9%) და შეადგენს 23.1 მლნ ლარს. მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები 2024 წელს.

2024 წელს გაწეული გადასახდელების (390.5 მლნ ლარი) 56.1% მოდის ხარჯებზე - 219.1 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გაწეულმა გადასახდელებმა 167.5 მლნ ლარი შეადგინა. 2024 წელს არ მომხდარა ფინანსური აქტივების ზრდის მუხლის ფარგლებში სახსრების ათვისება, ხოლო ვალდებულებების კლების შესრულება 4.0 მლნ ლარით განისაზღვრა.

დიაგრამა 103. 2024 წელს სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები (მლნ ლარი).




დიაგრამა 104. სამეგრელო - ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).




## ხარჯები

2024 წელს სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯებმა 219.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც 22.7 მლნ ლარით აღემატება 2023 წლის მონაცემს. 2024 წელს ხარჯების ყველაზე დიდი წილი მოდის ზუგდიდის მუნიციპალიტეტზე (ხარჯების 27.5%) და შეადგენს 60.3 მლნ ლარს, ხოლო ყველაზე მცირე - აბაშის მუნიციპალიტეტზე (ხარჯების 6.3%) და შეადგენს 13.9 მლნ ლარს.

დიაგრამა 105. 2024 წელს სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯები (მლნ ლარი).



რაც შეეხება 2024 წელს სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ხარჯების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, მთლიანი ხარჯების (50.9%) მოდის სუბსიდიების მუხლზე, რომლის შესრულებამ 111.6 მლნ ლარი შეადგინა, შრომის ანაზღაურების მუხლზე, 2024 წელს, მიიმართა 38.7 მლნ ლარი (ხარჯების 17.6%), ხარჯების 17.9% მოდის საქონლისა და მომსახურების მუხლზე (39.1 მლნ ლარი), სხვა ხარჯების შესრულებამ 14.1 მლნ ლარი (ხარჯების 6.5%) შეადგინა, ხოლო სოციალური უზრუნველყოფის მუხლის შესრულებამ - 12.9 მლნ ლარი (ხარჯების 5.9%). რაც შეეხება პროცენტისა და გრანტების მუხლებს, აღნიშნული მუხლების ფაქტობრივი მაჩვენებლები შესრულების დაბალი დონით გამოირჩევა და შესაბამისად შეადგენს 1.8 მლნ ლარს და 0.8 მლნ ლარს.

## არაფინანსური აქტივების ზრდა

2024 წელს არაფინანსური აქტივების ზრდამ 167.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 43.0 მლნ ლარით (34.6%-ით) აღემატება. მისი წილი კი მთლიან გადასახდელებში გაზრდილია 38.3%-დან 42.9%-მდე.

არაფინანსური აქტივების ზრდის შესრულებას მუნიციპალიტეტების მიხედვით, დიდი წილი მოდის ზუგდიდის მუნიციპალიტეტზე - 36.2 მლნ ლარი (არაფინანსური აქტივების ზრდის 21.6%), ხოლო მცირე წილი - აბაშის მუნიციპალიტეტზე, 9.2 მლნ ლარი (არაფინანსური აქტივების ზრდის 5.5%).

## ვალდებულებების კლება

სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში, 2024 წელს, ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელებმა, 4.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 29.8 ათასი ლარით აღემატება. 2024 წლის შესრულება სრულად მოდის საშინაო სესხების დაფარვაზე.
მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ვალდებულებების კლება კომპონენტების მიხედვით 2020-2024 წლებში.

დიაგრამა 106. სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯები მუხლების მიხედვით 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).




დიაგრამა 107. სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების არაფინანსური აქტივების ზრდა 2024 წელს (მლნ ლარი).




დიაგრამა 108. სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ვალდებულებების კლება 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).



## გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

2024 წელს სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელებმა, ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 386.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 65.8 მლნ ლარით აღემატება.

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით 2024 წელს სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ასიგნებები მიიმართა შემდეგ 3 ყველაზე მსხვილ მიმართულებაზე: ეკონომიკური საქმიანობა, საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება და განათლება. ამასთან აღსანიშნავია, რომ 2020-2023 წლებშიც აღნიშნული მიმართულებები წარმოადგენდა 3 ყველაზე მსხვილ მიმართულებას.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების 2018-2024 წლების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ჭრილში.

დიაგრამა 109. სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 2018-2024 წლებში (მლნ ლარი).




## ნაშთის ცვლილება

2024 წელს სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების შემოსულობებმა 379.2 მლნ ლარის შეადგინა, ხოლო გადასახდელებმა - 390.5 მლნ ლარი, შესაბამისად ნაშთის ცვლილება (გამოყენება) -11.3 მლნ ლარს შეადგენს.

მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ნაშთის ცვლილება 2020-2024 წლებში.

დიაგრამა 110. სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ნაშთის ცვლილება 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).



## 2.6 შიდა ქართლის მხარე

შიდა ქართლის მხარე მოიცავს 7 მუნიციპალიტეტს[7]: გორის, ერედვის, ქურთის, ქარელის, კასპის, თიღვისა და ხაშურის მუნიციპალიტეტები.

2024 წელს შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების:

- შემოსულობებმა ჯამურად 239.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (205.9 მლნ ლარი) 33.6 მლნ ლარით, 16.3%-ით, აღემატება;
- გადასახდელებმა ჯამურად 239.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (210.5 მლნ ლარი) 29.4 მლნ ლარით, 14.0%-ით, აღემატება;
- მიღებული შემოსულობებისა და გაწეული გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის ცვლილება (გამოყენება) -0.5 მლნ ლარს შეადგენს.

### შემოსულობები

2024 წელს შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების შემოსულობებმა 239.5 მლნ ლარი შეადგინა. შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების 2024 წლის შემოსულობების დიდი წილი (43.6%) მოდის გორის მუნიციპალიტეტზე და შეადგენს 104.4 მლნ ლარს, ხოლო ყველაზე პატარა წილი - თიღვის მუნიციპალიტეტზე (1.0%) და შეადგენს 2.4 მლნ ლარს.

2024 წელს მიღებული შემოსულობის (239.5 მლნ ლარი) დიდი წილი (98.4%) მოდის შემოსავლებზე - 235.7 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა 3.7 მლნ ლარი შეადგინა, 2024 წელს არ მომხდარა ფინანსური აქტივების კლებისა და ვალდებულებების ზრდის მუხლებით შემოსულობების მიღება.

დიაგრამა 111. 2024 წელს შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობები (მლნ ლარი).




დიაგრამა 112. შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).

[7] შიდა ქართლის მხარის შემოსულობებში, გადასახდელებში და ნაშთში გაერთიანებულია შესაბამისი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების მაჩვენებლები.

## შემოსავლები

2024 წელს შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების შემოსავლებმა 235.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც 36.5 მლნ ლარით აღემატება 2023 წლის მაჩვენებელს. აღნიშნული მატება დაკავშირებულია შემოსავლების სამივე კომპონენტის ზრდასთან. კერძოდ, გადასახადები გაზრდილია 16.1 მლნ ლარით, გრანტები - 19.9 მლნ ლარით და სხვა შემოსავლები - 0.5 მლნ ლარით.

დიაგრამა 113. შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსავლები კომპონენტების მიხედვით 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლებმა, 2024 წელს, 141.6 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 121.6 მლნ ლარი დღგ-დან მიღებულ შემოსავალზე მოდის, ხოლო 20.0 მლნ ლარი - ქონების გადასახადზე. 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელი 16.1 მლნ ლარით აღემატება 2023 წლის ანალოგიურ მონაცემს, რაც დაკავშირებულია დღგ-დან 14.9 მლნ ლარით, ხოლო ქონების გადასახადიდან 1.3 მლნ ლარით მეტი შემოსავლის მიღებასთან.

დიაგრამა 114. შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




2024 წელს შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტებმა დამატებული ღირებულების გადასახადის სახით ჯამურად 121.6 მლნ ლარი მიიღეს. შიდა ქართლის მხარეში მთლიანად მიღებული დღგ-ის 50.3% მოდის გორის მუნიციპალიტეტზე, სადაც აღნიშნულმა ნომინალში 61.2 მლნ ლარი შეადგინა. დღგ-დან მიღებული შემოსავლები არ ფიქსირდება ერედვის, ქურთისა და თიღვის მუნიციპალიტეტებში, ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობით დღგ მიღებული აქვს კასპის მუნიციპალიტეტს - 18.4 მლნ ლარის ოდენობით, რაც შიდა ქართლის მხარეში მთლიანად მიღებული დღგ-ის 15.2%-ს წარმოადგენს.

დიაგრამა 115. შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში დღგ-დან მიღებული შემოსავალი 2024 წელს (მლნ ლარი)



2024 წელს გრანტების სახით მიღებულმა შემოსავლებმა 72.2 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 72.2 მლნ ლარი წარმოადგენს სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებულ გრანტებს, უმნიშვნელო 15.1 ათასი ლარი მიღებულია საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან - 15.2 ათასი ლარი.

სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტებიდან (72.2 მლნ ლარი) კაპიტალური ტრანსფერის სახით ჩაირიცხა 50.7 მლნ ლარი, სპეციალურმა ტრანსფერმა 11.6 მლნ ლარი შეადგინა, მიზნობრივი ტრანსფერი 5.8 მლნ ლარით განისაზღვრა, ხოლო სხვა დანარჩენმა გრანტებმა 4.0 მლნ ლარი შეადგინა.

დიაგრამა 116. შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




2024 წელს შიდა ქართლის მხარის სხვა შემოსავლებმა 21.9 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მიღებულია 13.5 მლნ ლარი, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან შემოსავლებმა 2.8 მლნ ლარი შეადგინა, არაკლასიფიცირებული ტრანსფერები 0.8 მლნ ლარით განისაზღვრა, რენტიდან შემოსავალმა 2.5 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო პროცენტებიდან მიღებულია 2.3 მლნ ლარი. სხვა შემოსავლების 2024 წლის მაჩვენებელი 0.5 მლნ ლარით აღემატება 2023 წლის ანალოგიურ მონაცემს, რაც ძირითადად დაკავშირებულია რენტიდან 0.8 მლნ ლარით მეტი შემოსავლის მიღებასთან.

დიაგრამა 117. შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების სხვა შემოსავლები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




## არაფინანსური აქტივების კლება

შიდა ქართლის მხარის არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობა, 2024 წელს, 3.7 მლნ ლარს შეადგენს, რაც 2.9 მლნ ლარით ნაკლებია 2023 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელზე. 2024 წელს არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობა სრულად მოდის არაწარმოებული აქტივებისა (მიწის) და ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსულობაზე შესაბამისად 2.5 მლნ ლარის და 1.2 მლნ ლარის ოდენობით.

დიაგრამა 118. შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)



## გადასახდელები

2024 წელს შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელებმა 239.9 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნული გადასახდელების დიდი წილი (43.7%) მოდის გორის მუნიციპალიტეტზე და შეადგენს 104.9 მლნ ლარს, ხოლო ყველაზე პატარა წილი - თიღვის მუნიციპალიტეტზე (1.0%) და შეადგენს 2.4 მლნ ლარს. მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები 2024 წელს.

2024 წელს გაწეული გადასახდელების (239.9 მლნ ლარი) 56.2% მოდის ხარჯებზე - 134.9 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გაწეულმა გადასახდელებმა 101.9 მლნ ლარი შეადგინა. 2024 წელს არ მომხდარა ფინანსური აქტივების ზრდის მუხლის ფარგლებში სახსრების ათვისება, ხოლო ვალდებულებების კლების შესრულებამ 3.2 მლნ ლარი შეადგინა.

დიაგრამა 119. 2024 წელს შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები (მლნ ლარი).




დიაგრამა 120. შიდა ქართლის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).




## ხარჯები

2024 წელს შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯებმა 134.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც 20.5 მლნ ლარით აღემატება 2023 წლის მონაცემს. 2024 წელს ხარჯების ყველაზე დიდი წილი მოდის გორის მუნიციპალიტეტზე (ხარჯების 50.8%) და შეადგენს 68.5 მლნ ლარს, ხოლო ყველაზე მცირე - თიღვის მუნიციპალიტეტზე (ხარჯების 1.6%) და შეადგენს 2.2 მლნ ლარს.

დიაგრამა 121. 2024 წელს შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯები (მლნ ლარი).



რაც შეეხება 2024 წელს შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, მთლიანი ხარჯების (55.7%) მოდის სუბსიდიების მუხლზე, რომლის შესრულებამ 75.1 მლნ ლარი შეადგინა, შრომის ანაზღაურების მუხლზე, 2024 წელს, მიიმართა 20.1 მლნ ლარი (ხარჯების 14.9%), ხარჯების 13.5% მოდის საქონლისა და მომსახურების მუხლზე (18.2 მლნ ლარი), სხვა ხარჯების შესრულებამ 11.5 მლნ ლარი (ხარჯების 8.5%) შეადგინა, ხოლო სოციალური უზრუნველყოფის მუხლის შესრულებამ - 7.7 მლნ ლარი (ხარჯების 5.7%). რაც შეეხება პროცენტისა და გრანტების მუხლებს, აღნიშნული მუხლების ფაქტობრივი მაჩვენებლები შესრულების დაბალი დონით გამოირჩევა და შესაბამისად შეადგენს 1.5 მლნ ლარს და 0.8 მლნ ლარს.

დიაგრამა 122. შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯები მუხლების მიხედვით 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).




## არაფინანსური აქტივების ზრდა

2024 წელს <u>არაფინანსური აქტივების ზრდამ</u> 101.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 8.8 მლნ ლარით (9.5%-ით) აღემატება, თუმცა მისი წილი მთლიან გადასახდელებში შემცირებულია 44.2%-დან 42.5%-მდე.

არაფინანსური აქტივების ზრდის შესრულებას მუნიციპალიტეტების მიხედვით, დიდი წილი მოდის გორის მუნიციპალიტეტზე - 34.1 მლნ ლარი (არაფინანსური აქტივების ზრდის 33.5%), ხოლო მცირე წილი - ქურთის მუნიციპალიტეტზე, 16.4 ათასი ლარი.

დიაგრამა 123. შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების არაფინანსური აქტივების ზრდა 2024 წელს (მლნ ლარი).




## ვალდებულებების კლება

შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში, 2024 წელს, <u>ვალდებულებების კლების</u> მუხლით გადასახდელებმა, 3.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 0.1 მლნ ლარით აღემატება. 2024 წლის შესრულება სრულად მოდის საშინაო სესხების დაფარვაზე.

მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ვალდებულებების კლება კომპონენტების მიხედვით 2020-2024 წლებში.

დიაგრამა 124. შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ვალდებულებების კლება 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).



## გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

2024 წელს შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელებმა, ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 236.8 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 29.3 მლნ ლარით აღემატება.

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით 2024 წელს შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ასიგნებები მიიმართა შემდეგ 3 ყველაზე მსხვილ მიმართულებაზე: ეკონომიკური საქმიანობა, საბინაო-კომუნალური მეურნეობა და განათლება. ამასთან აღსანიშნავია, რომ 2023 წელს საბინაო-კომუნალური მეურნეობის ნაცვლად სიდიდით მესამე მიმართულებას დასვენება, კულტურა და რელიგია წარმოადგენდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების 2018-2024 წლების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ჭრილში.

დიაგრამა 125. შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 2018-2024 წლებში (მლნ ლარი).




## ნაშთის ცვლილება

2024 წელს შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობებმა 239.5 მლნ ლარის შეადგინა, ხოლო გადასახდელებმა - 239.9 მლნ ლარი, შესაბამისად ნაშთის ცვლილება (გამოყენება) -0.5 მლნ ლარს შეადგენს.

მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ნაშთის ცვლილება 2020-2024 წლებში.

დიაგრამა 126. შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ნაშთის ცვლილება 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).



## 2.7 ქვემო ქართლის მხარე

ქვემო ქართლის მხარე მოიცავს 7 მუნიციპალიტეტს[8]: ქალაქ რუსთავის, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულისა და წალკის მუნიციპალიტეტები.

2024 წელს ქვემო ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების:

- შემოსულობებმა ჯამურად 403.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (339.5 მლნ ლარი) 63.6 მლნ ლარით, 18.7%-ით, აღემატება;
- გადასახდელებმა ჯამურად 424.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (341.7 მლნ ლარი) 82.6 მლნ ლარით, 24.2%-ით, აღემატება;
- მიღებული შემოსულობებისა და გაწეული გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის ცვლილება (გამოყენება) -21.3 მლნ ლარს უტოლდება.

### შემოსულობები

2024 წელს ქვემო ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობებმა 403.0 მლნ ლარი შეადგინა. ქვემო ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების 2024 წლის შემოსულობების დიდი წილი (30.3%) მოდის ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტზე და შეადგენს 121.9 მლნ ლარს, ხოლო ყველაზე პატარა წილი - წალკის მუნიციპალიტეტზე (6.4%) და შეადგენს 25.6 მლნ ლარს.

2024 წელს მიღებული შემოსულობის (403.0 მლნ ლარი) დიდი წილი (91.2%) მოდის შემოსავლებზე - 367.6 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა 29.3 მლნ ლარი შეადგინა, ფინანსური აქტივების კლებისა და ვალდებულებების ზრდის მუხლებით მიღებულ იქნა შესაბამისად 0.2 მლნ და 6.0 მლნ ლარი.

დიაგრამა 127. 2024 წელს ქვემო ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობები (მლნ ლარი).




დიაგრამა 128. ქვემო ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).




[8] ქვემო ქართლის მხარის შემოსულობებში, გადასახდელებში და ნაშთში გაერთიანებულია შესაბამისი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების მაჩვენებლები.

## შემოსავლები

2024 წელს ქვემო ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსავლებმა 367.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც 52.3 მლნ ლარით აღემატება 2023 წლის მაჩვენებელს. აღნიშნული მატება დაკავშირებულია საგადასახადო შემოსავლებისა და გრანტების შესაბამისად 24.7 მლნ ლარით და 21.1 მლნ ლარით ზრდასთან, ასევე, სხვა შემოსავლების 6.5 მლნ ლარით მატებასთან.

დიაგრამა 129. ქვემო ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსავლები კომპონენტების მიხედვით 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




ქვემო ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლებმა, 2024 წელს, 210.1 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 139.7 მლნ ლარი დღგ-დან მიღებულ შემოსავალზე მოდის, ხოლო 70.4 მლნ ლარი - ქონების გადასახადზე. 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელი 24.7 მლნ ლარით აღემატება 2023 წლის ანალოგიურ მონაცემს, რაც დაკავშირებულია დღგ-დან 22.9 მლნ ლარით, ხოლო ქონების გადასახადიდან 1.8 მლნ ლარით მეტი შემოსავლის მიღებასთან.

დიაგრამა 130. ქვემო ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




2024 წელს ქვემო ქართლის მხარის მუნიციპალიტეტებმა დამატებული ღირებულების გადასახადის სახით ჯამურად 139.7 მლნ ლარი მიიღეს. ქვემო ქართლის მხარეში მთლიანად მიღებული დღგ-ის 37.8% მოდის ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტზე, სადაც აღნიშნულმა ნომინალში 52.8 მლნ ლარი შეადგინა. გარდა ქალაქ რუსთავისა, დღგ-ის მობილიზების მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, ასევე, მარნეულის მუნიციპალიტეტში - 37.2 მლნ ლარი, ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობით დღგ მიღებული აქვს ბოლნისის, გარდაბნისა და წალკის მუნიციპალიტეტებს - 6.6-6.6 მლნ ლარის ოდენობით, რაც ქვემო ქართლის მხარეში მთლიანად მიღებული დღგ-ის 4.7%-4.7%-ს წარმოადგენს.

დიაგრამა 131. ქვემო ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში დღგ-დან მიღებული შემოსავალი 2024 წელს (მლნ ლარი)



2024 წელს გრანტების სახით მიღებულმა შემოსავლებმა 99.0 მლნ ლარი შეადგინა, რომელიც თითქმის სრულად წარმოადგენს სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებულ გრანტებს, 0.1 მლნ ლარი მიღებულია საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, ხოლო უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან 14.7 ათასი ლარი.

სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტებიდან (99.0 მლნ ლარი) კაპიტალური ტრანსფერის სახით ჩაირიცხა 74.8 მლნ ლარი, სპეციალურმა ტრანსფერმა 14.1 მლნ ლარი შეადგინა, მიზნობრივი ტრანსფერი 7.0 მლნ ლარით განისაზღვრა, ხოლო სხვა დანარჩენმა გრანტებმა 3.1 მლნ ლარი შეადგინა.

2024 წელს ქვემო ქართლის მხარის სხვა შემოსავლებმა 58.5 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მიღებულია 13.8 მლნ ლარი, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან შემოსავლებმა 11.0 მლნ ლარი შეადგინა, არაკლასიფიცირებული ტრანსფერები 3.8 მლნ ლარით განისაზღვრა, რენტიდან შემოსავალმა 23.8 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო პროცენტებიდან მიღებულია 6.0 მლნ ლარი. სხვა შემოსავლების 2024 წლის მაჩვენებელი 6.5 მლნ ლარით აღემატება 2023 წლის ანალოგიურ მონაცემს, რაც ძირითადად დაკავშირებულია რენტის სახით 6.2 მლნ ლარით მეტი შემოსავლის მიღებასთან.

## არაფინანსური აქტივების კლება

ქვემო ქართლის მხარის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებული შემოსულობა, 2024 წელს, 29.3 მლნ ლარს შეადგენს, რაც 5.2 მლნ ლარით მეტია 2023 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელზე. 2024 წელს არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობა ძირითადად მოდის არაწარმოებული აქტივებისა (მიწის) და ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსულობაზე შესაბამისად 22.9 მლნ ლარის და 6.4 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო მატერიალური მარაგების რეალიზაციიდან მიღებულია 945 ლარი.

დიაგრამა 132. ქვემო ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები 2020-2024წლებში (მლნ ლარი)




დიაგრამა 133. ქვემო ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების სხვა შემოსავლები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




დიაგრამა 134. ქვემო ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)



## გადასახდელები

2024 წელს ქვემო ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელებმა 424.3 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნული გადასახდელების დიდი წილი (31.8%) მოდის ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტზე და შეადგენს 134.8 მლნ ლარს, ხოლო ყველაზე პატარა წილი - წალკის მუნიციპალიტეტზე (5.8%) და შეადგენს 24.7 მლნ ლარს.

2024 წელს გაწეული გადასახდელების (424.3 მლნ ლარი) 66.3% მოდის ხარჯებზე - 281.4 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გაწეულმა გადასახდელებმა 139.2 მლნ ლარი შეადგინა, 2024 წელს არ მომხდარა ფინანსური აქტივების ზრდის მუხლის ფარგლებში სახსრების ათვისება, ხოლო ვალდებულებების კლების შესრულებამ 3.7 მლნ ლარი შეადგინა.

დიაგრამა 135. 2024 წელს ქვემო ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები (მლნ ლარი).




დიაგრამა 136. ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).




## ხარჯები

2024 წელს ქვემო ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯებმა 281.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც 46.1 მლნ ლარით აღემატება 2023 წლის მონაცემს. 2024 წელს ხარჯების ყველაზე დიდი წილი მოდის ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტზე (ხარჯების 34.8%) და შეადგენს 97.9 მლნ ლარს, ხოლო ყველაზე მცირე - წალკის მუნიციპალიტეტზე (ხარჯების 3.4%) და შეადგენს 9.5 მლნ ლარს.

დიაგრამა 137. 2024 წელს ქვემო ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯები (მლნ ლარი).



რაც შეეხება 2024 წელს ქვემო ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, მთლიანი ხარჯების (35.8%) მოდის სუბსიდიების მუხლზე, რომლის შესრულებამ 100.6 მლნ ლარი შეადგინა, შრომის ანაზღაურების მუხლზე, 2024 წელს, მიიმართა 63.2 მლნ ლარი (ხარჯების 22.5%), ხარჯების 21.4% მოდის საქონლისა და მომსახურების მუხლზე (60.3 მლნ ლარი), სხვა ხარჯების შესრულებამ 26.8 მლნ ლარი (ხარჯების 9.5%) შეადგინა, ხოლო სოციალური უზრუნველყოფის მუხლის შესრულებამ - 26.5 მლნ ლარი (ხარჯების 9.4%). რაც შეეხება პროცენტისა და გრანტების მუხლებს, აღნიშნული მუხლების ფაქტობრივი მაჩვენებლები შესრულების დაბალი დონით გამოირჩევა და შესაბამისად შეადგენს 1.9 მლნ ლარს და 2.0 მლნ ლარს.

დიაგრამა 138. ქვემო ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).




## არაფინანსური აქტივების ზრდა

2024 წელს <u>არაფინანსური აქტივების ზრდამ</u> 139.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 36.7 მლნ ლარით (35.8%-ით) აღემატება. მისი წილი კი მთლიან გადასახდელებში გაზრდილია 30.0%-დან 32.8%-მდე.

რაც შეეხება არაფინანსური აქტივების ზრდის შესრულებას მუნიციპალიტეტების მიხედვით, დიდი წილი მოდის ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტზე - 33.7 მლნ ლარი (არაფინანსური აქტივების ზრდის 24.2%), ხოლო მცირე წილი - დმანისის მუნიციპალიტეტზე, 13.1 მლნ ლარი (არაფინანსური აქტივების ზრდის 9.4%).

დიაგრამა 139. ქვემო ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების არაფინანსური აქტივების ზრდა 2024 წელს (მლნ ლარი).




## ვალდებულებების კლება

ქვემო ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში, 2024 წელს, <u>ვალდებულებების კლების</u> მუხლით გადასახდელებმა, 3.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 0.2 მლნ ლარით ჩამორჩება. 2024 წლის შესრულება სრულად მოდის საშინაო სესხების დაფარვაზე.

მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ქვემო ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ვალდებულებების კლება კომპონენტების მიხედვით 2020-2024 წლებში.

დიაგრამა 140. ქვემო ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ვალდებულებების კლება 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).



## გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

2024 წელს ქვემო ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელებმა, ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 420.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 82.8 მლნ ლარით აღემატება.

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 2024 წელს ქვემო ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ასიგნებები მიიმართა შემდეგ 3 ყველაზე მსხვილ მიმართულებაზე: ეკონომიკური საქმიანობა, საბინაო-კომუნალური მეურნეობა და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება. ამასთან აღსანიშნავია, რომ 2021-2023 წლებშიც აღნიშნული 3 მიმართულება წარმოდგენდა ყველაზე მსხვილ მიმართულებებს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ქვემო ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების 2018-2024 წლების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ჭრილში.

დიაგრამა 141. ქვემო ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 2018-2024 წლებში (მლნ ლარი).




## ნაშთის ცვლილება

2024 წელს ქვემო ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობებმა 403.0 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო გადასახდელებმა - 424.3 მლნ ლარი, შესაბამისად ნაშთის ცვლილება (გამოყენება) -21.3 მლნ ლარს შეადგენს.

მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ქვემო ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ნაშთის ცვლილება 2020-2024 წლებში.

დიაგრამა 142. ქვემო ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ნაშთის ცვლილება 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).



## 2.8 გურიის მხარე

გურიის მხარე მოიცავს 3 მუნიციპალიტეტს[9]: ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები.

2024 წელს გურიის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების:

- შემოსულობებმა ჯამურად 148.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (129.5 მლნ ლარი) 19.0 მლნ ლარით, 14.6%-ით, აღემატება;
- გადასახდელებმა ჯამურად 155.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (136.4 მლნ ლარი) 19.2 მლნ ლარით, 14.1%-ით, აღემატება;
- მიღებული შემოსულობებისა და გაწეული გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის ცვლილება (გამოყენება) -7.2 მლნ ლარს უტოლდება.

### შემოსულობები

2024 წელს, გურიის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობებმა 148.5 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნული შემოსულობების დიდი წილი (48.3%) ოზურგეთის მუნიციპალიტეტზე მოდის და 71.7 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო ყველაზე პატარა წილი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტზე (24.4%) და 36.2 მლნ ლარს შეადგენს.

გურიის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობების სტრუქტურაში, ძირითადი წილი (99.0%), 147.0 მლნ ლარის ოდენობით, შემოსავლებს უკავია, ხოლო დანარჩენ ნაწილს (1.5 მლნ ლარის ოდენობით) არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობები შეადგენს (შემოსულობები ფინანსური აქტივების კლებისა და ვალდებულებების ზრდის კომპონენტებს არ მოიცავს).

დიაგრამა 143. გურიის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობები (მლნ ლარი).




დიაგრამა 144. გურიის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).




[9] გურიის მხარის შემოსულობებში, გადასახდელებში და ნაშთში გაერთიანებულია შესაბამისი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების მაჩვენებლები.

## შემოსავლები

2024 წელს, გურიის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსავლებმა 147.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 18.7 მლნ ლარით აღემატება. აღნიშნული მატება დაკავშირებულია შემოსავლების სამივე კომპონენტის ზრდასთან. კერძოდ, გადასახადები გაზრდილია 6.6 მლნ ლარით, გრანტები - 12.1 მლნ ლარით და სხვა შემოსავლები - 0.03 მლნ ლარით.

დიაგრამა 145. გურიის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსავლები კომპონენტების მიხედვით 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




გურიის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლებმა, 2024 წელს, 61.3 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 48.2 მლნ ლარი დღგ-დან მიღებულ შემოსავალზე მოდის, ხოლო 13.1 მლნ ლარი - ქონების გადასახადზე. 2024 წლის საგადასახადო შემოსავლები, 2023 წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით, 6.6 მლნ ლარით გაზრდილია, რაც დღგ-დან 5.8 მლნ ლარით და ქონების გადასახადიდან 0.8 მლნ ლარით მეტი შემოსავლის მიღებასთან არის დაკავშირებული.

დიაგრამა 146. გურიის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




2024 წელს, გურიის მხარის მუნიციპალიტეტებში, დამატებული ღირებულების გადასახადის სახით, ჯამურად მიღებული თანხის (48.2 მლნ ლარი) ძირითადი ნაწილი, 53.3%, 25.7 მლნ ლარის ოდენობით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტშია მიღებული, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 13.1 მლნ ლარია შემოსული, ხოლო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში - 9.4 მლნ ლარი, რაც გურიის მხარეში მთლიანად, ბიუჯეტში მიღებული დღგ-ის, შესაბამისად, 27.2%-ს და 19.5%-ს წარმოადგენს.

დიაგრამა 147. გურიის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში დღგ-დან მიღებული შემოსავალი 2024 წელს (მლნ ლარი)



2024 წელს, გრანტების სახით მიღებულმა შემოსავლებმა 74.4 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 72.9 მლნ ლარი სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებულ გრანტებს წარმოადგენს, 1.5 მლნ ლარი კი უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდანაა მიღებული.

სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტებიდან (72.9 მლნ ლარი), კაპიტალური ტრანსფერის სახით 32.8 მლნ ლარი ჩაირიცხა, სპეციალურმა ტრანსფერმა 30.6 მლნ ლარი შეადგინა, მიზნობრივი ტრანსფერმა - 5.5 მლნ ლარი, ხოლო სხვა დანარჩენმა გრანტებმა - 4.0 მლნ ლარი.

2024 წელს, გურიის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების სხვა შემოსავლებმა 11.3 მლნ ლარი შეადგინა. მ.შ. ჯარიმებიდან (სანქციებიდან, საურავებიდან) მიღებულია 6.0 მლნ ლარი, არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან - 0.6 მლნ ლარი, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან - 1.1 მლნ ლარი, ხოლო, რენტისა და პროცენტის სახით შემოსავლიდან - შესაბამისად, 3.1 მლნ ლარი და 0.5 მლნ ლარი. სხვა შემოსავლები, 2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით, მცირედით (0.03 მლნ ლარით) გაზრდილია, ერთი მხრივ, ჯარიმების (0.25 მლნ ლარით) შემცირებისა და მეორე მხრივ, დანარჩენი შემოსავლების (0.28 მლნ ლარით) მატების გავლენით.

## არაფინანსური აქტივების კლება

გურიის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების არაფინანსური აქტივების კლების მუხლით (პრივატიზაციიდან) შემოსულობა, 2024 წელს, 1.5 მლნ ლარს შეადგენს, რაც 2023 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელს 0.2 მლნ ლარით აღემატება. აღნიშნული შემოსულობიდან, 2024 წელს, არაწარმოებული აქტივების (მიწის) რეალიზაციიდან 1.0 მლნ ლარია მიღებული, ხოლო ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან - 0.5 მლნ ლარი.

დიაგრამა 148. გურიის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები 2020-2024წლებში (მლნ ლარი)




დიაგრამა 149. გურიის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების სხვა შემოსავლები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




დიაგრამა 150. გურიის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)



## გადასახდელები

2024 წელს, გურიის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელებმა 155.7 მლნ ლარი შეადგინა. გადასახდელების დიდი წილი (47.4%) ოზურგეთის მუნიციპალიტეტზე მოდის, 73.9 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო ყველაზე მცირე წილი (24.4%) - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტზე, რაც 37.9 მლნ ლარს შეადგენს.

გადასახდელების სტრუქტურაში, ძირითადი წილი ხარჯებს უკავია (53.0%, 82.5 მლნ ლარის ოდენობით), აგრეთვე, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელებს (46.9%, 73.0 მლნ ლარის ოდენობით). რაც შეეხება დანარჩენ კომპონენტებს, ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები 0.2 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების სახით თანხები არ გაცემულა.

დიაგრამა 151. 2024 წელს გურიის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები (მლნ ლარი).




დიაგრამა 152. გურიის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).




## ხარჯები

2024 წელს, გურიის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯებმა 82.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მონაცემს 7.0 მლნ ლარით აღემატება. გურიის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯებიდან, ყველაზე დიდი წილი (52.2%) ოზურგეთის მუნიციპალიტეტზე მოდის და 43.1 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო ყველაზე მცირე - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტზე (ხარჯების 23.1%) და 19.1 მლნ ლარს შეადგენს.

დიაგრამა 153. 2024 წელს გურიის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯები (მლნ ლარი).



რაც შეეხება გურიის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯებს კომპონენტების მიხედვით, მთლიანი ხარჯების მნიშვნელოვანი წილი, 28.8%, სუბსიდიებზე მოდის (23.7 მლნ ლარი), ასევე, შრომის ანაზღაურებასა (26.8%) და საქონელსა და მომსახურებაზე (26.3%) (შესაბამისად, 22.1 მლნ ლარი და 21.7 მლნ ლარი). მთლიანი ხარჯების 4.5%-ს შეადგენს სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები (3.7 მლნ ლარი), ხოლო სხვა ხარჯები - 13.3%-ს (11.0 მლნ ლარი), პროცენტისა და გრანტების მუხლებით გაწეული ხარჯები კი მცირეა და შესაბამისად, 0.04 მლნ ლარს და 0.2 მლნ ლარს უტოლდება.

დიაგრამა 154. გურიის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯები მუხლების მიხედვით 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).




## არაფინანსური აქტივების ზრდა

2024 წელს, გურიის მხარეში, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების <u>არაფინანსური აქტივების ზრდის</u> მუხლით გადასახდელები 73.0 მლნ ლარს შეადგენს. წინა წელთან შედარებით, აღნიშნული გადასახდელები 12.2 მლნ ლარით (20.1%-ით) გაზრდილია და მთლიან გადასახდელებში მისი პროცენტული წილიც 44.5%-დან 46.9%-მდე მომატებულია. რაც შეეხება არაფინანსური აქტივების ზრდით გადასახდელების სტრუქტურას მუნიციპალიტეტების მიხედვით, დიდი წილი (42.0%), 30.7 მლნ ლარის ოდენობით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტზე მოდის, ხოლო შედარებით მცირე წილი (25.8%), 18.9 მლნ ლარის ოდენობით - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტზე.

დიაგრამა 155. გურიის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების არაფინანსური აქტივების ზრდა 2024 წელს (მლნ ლარი).




## ვალდებულებების კლება

გურიის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში, 2024 წელს, <u>ვალდებულებების კლების</u> მუხლით გადასახდელებმა, 0.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 41.5 ათასი ლარით ნაკლებია. აღნიშნული გადასახდელები სრულად წარმოადგენს საშინაო სესხების დაფარვაზე გაწეულ სახსრებს.

დიაგრამა 156. გურიის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ვალდებულებების კლება 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).



## გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

2024 წელს, გურიის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელებმა, ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 155.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 19.3 მლნ ლარით აღემატება.

2024 წელს, ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, გურიის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ასიგნებები შემდეგ 3 ყველაზე მსხვილ მიმართულებაზე მიიმართა: ეკონომიკური საქმიანობა (67.6 მლნ ლარი), საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება (21.1 მლნ ლარი) და განათლება (20.3 მლნ ლარი). ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2023 წელს, ნაცვლად საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებისა, მე-3 მსხვილ მიმართულებას საბინაო-კომუნალური მეურნეობა წარმოადგენდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2018-2024 წლების, გურიის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით გადასახდელები, ფუნქციონალურ ჭრილში.

დიაგრამა 157. გურიის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 2018-2024 წლებში (მლნ ლარი).




## ნაშთის ცვლილება

2024 წელს, გურიის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობებმა 148.5 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო გადასახდელებმა - 155.7 მლნ ლარი, შესაბამისად, ნაშთის ცვლილება (გამოყენება) -7.2 მლნ ლარს გაუტოლდა.

დიაგრამა 158. გურიის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ნაშთის ცვლილება 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).



## 2.9 სამცხე - ჯავახეთის მხარე

სამცხე - ჯავახეთის მხარე მოიცავს 6 მუნიციპალიტეტს[10]: ბორჯომის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები.

2024 წელს სამცხე - ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების:

- შემოსულობებმა ჯამურად 195.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (178.2 მლნ ლარი) 17.6 მლნ ლარით, 9.9%-ით, აღემატება;
- გადასახდელებმა ჯამურად 206.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (166.4 მლნ ლარი) 40.2 მლნ ლარით, 24.1%-ით, აღემატება;
- მიღებული შემოსულობებისა და გაწეული გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის ცვლილება (გამოყენება) -10.7 მლნ ლარს შეადგენს.

### შემოსულობები

2024 წელს, სამცხე - ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობებმა 195.9 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნული შემოსულობების დიდი წილი (24.8%) ბორჯომის მუნიციპალიტეტზე მოდის და 48.7 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო ყველაზე მცირე წილი - ასპინძის მუნიციპალიტეტზე (9.6%) და 18.8 მლნ ლარს შეადგენს.

სამცხე - ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობების სტრუქტურაში, ძირითადი წილი (98.4%), 192.7 მლნ ლარის ოდენობით, შემოსავლებს უკავია, ხოლო დანარჩენ ნაწილს (3.2 მლნ ლარის ოდენობით) არაფინანსური აქტივების რელიზაციიდან მიღებული შემოსულობები შეადგენს (2024 წელს, მთლიანი შემოსულობები ფინანსური აქტივების კლებისა და ვალდებულებების ზრდის კომპონენტებს არ მოიცავს).

დიაგრამა 159. 2024 წელს სამცხე-ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობები (მლნ ლარი).




დიაგრამა 160. სამცხე - ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).




[10] სამცხე - ჯავახეთის მხარის შემოსულობებში, გადასახდელებში და ნაშთში გაერთიანებულია შესაბამისი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების მაჩვენებლები.

## შემოსავლები

2024 წელს, სამცხე - ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსავლებმა 192.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 17.5 მლნ ლარით (10.0%-ით) აღემატება. აღნიშნული მატება დაკავშირებულია შემოსავლების სამივე კომპონენტის ზრდასთან. კერძოდ, გადასახადები გაზრდილია 13.2 მლნ ლარით, გრანტები - 1.1 მლნ ლარით და სხვა შემოსავლები - 3.3 მლნ ლარით.

დიაგრამა 161. სამცხე - ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსავლები კომპონენტების მიხედვით 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




სამცხე - ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლებმა, 2024 წელს, 104.0 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 66.3 მლნ ლარი დღგ-დან მიღებულ შემოსავალზე მოდის, ხოლო 37.7 მლნ ლარი - ქონების გადასახადზე. 2023 წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით, გადასახადები 13.2 მლნ ლარით (14.5%-ით) გაზრდილია, რაც დღგ-დან 11.7 მლნ ლარით და ქონების გადასახადიდან 1.5 მლნ ლარით მეტი შემოსავლის მიღებასთან არის დაკავშირებული.

დიაგრამა 162. სამცხე-ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




2024 წელს, სამცხე - ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში დამატებული ღირებულების გადასახადის სახით, ჯამურად მიღებული თანხის (66.3 მლნ ლარი) ძირითადი ნაწილი, 35.8%, 23.8 მლნ ლარის ოდენობით, ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტშია მიღებული. დღგ-ის მობილიზების შედარებით მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ადიგენისა და აგრეთვე, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში (შესაბამისად, 13.8 მლნ ლარის და 9.0 მლნ ლარის ოდენობით). ბორჯომის, ასპინძისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში 6.6 - 6.6 მლნ ლარია შემოსული, რაც სამცხე - ჯავახეთის მხარეში, მთლიანად მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში მიღებული დღგ-ის 9.9%-9.9%-ს შეადგენს.

დიაგრამა 163. სამცხე - ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში დღგ-დან მიღებული შემოსავალი 2024 წელს (მლნ ლარი)



2024 წელს, გრანტების სახით მიღებულმა შემოსავალმა 59.15 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 59.12 მლნ ლარი სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებულ გრანტებს წარმოადგენს, ხოლო 0.03 მლნ ლარი უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდანაა მიღებული. სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტებიდან (59.1 მლნ ლარი), კაპიტალური ტრანსფერის სახით 50.4 მლნ ლარი ჩაირიცხა, სპეციალურმა ტრანსფერმა 3.1 მლნ ლარი შეადგინა, მიზნობრივი ტრანსფერმა - 2.9 მლნ ლარი, ხოლო სხვა დანარჩენი გრანტები 2.7 მლნ ლარს გაუტოლდა.

დიაგრამა 164. სამცხე - ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები 2020-2024წლებში (მლნ ლარი)




2024 წელს, სამცხე-ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში, სხვა შემოსავლების სახით, 29.5 მლნ ლარია მიღებული. მ.შ. ძირითადი წილი (61.3%), 18.1 მლნ ლარის ოდენობით, საკუთრებიდან შემოსავლებზე მოდის, საიდანაც რენტის სახით 13.5 მლნ ლარია შემოსული, პროცენტიდან - 4.6 მლნ ლარი. გარდა ამისა, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან - 5.9 მლნ ლარი, ხოლო ჯარიმებიდან (სანქციები, საურავები) 5.0 მლნ ლარია მიღებული, არაკლასიფიცირებული ტრანსფერები კი 0.6 მლნ ლარს უტოლდება. 2023 წლის მონაცემთან შედარებით, სხვა შემოსავლები 3.3 მლნ ლარით გაზრდილია, რაც ძირითადად, დაკავშირებულია საკუთრებიდან და საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან, შესაბამისად, 1.2 მლნ ლარით და 1.7 მლნ ლარით მეტი შემოსავლის მიღებასთან.

დიაგრამა 165. სამცხე - ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების სხვა შემოსავლები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




## არაფინანსური აქტივების კლება

სამცხე - ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობა, 2024 წელს, 3.2 მლნ ლარს შეადგენს, რაც თითქმის უტოლდება, 0.2 მლნ ლარით აღემატება 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. აღნიშნული შემოსულობებიდან, 2024 წელს, 1.4 მლნ ლარი - არაწარმოებული აქტივების (მიწის) რეალიზაციიდან, ხოლო 1.7 მლნ ლარი ძირითადი აქტივების რეალიზაციიდანაა მიღებული, მატერიალური მარაგების რეალიზაციიდან შემოსულობა კი 0.01 მლნ ლარს აღწევს.

დიაგრამა 166. სამცხე-ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)



## გადასახდელები

2024 წელს, სამცხე-ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელებმა 206.6 მლნ ლარი შეადგინა, გადასახდელების ყველაზე დიდი წილი, 25.9%, 53.4 მლნ ლარის ოდენობით, ბორჯომის მუნიციპალიტეტზე მოდის, ხოლო ყველაზე მცირე (8.7%) - ასპინძის მუნიციპალიტეტზე, რაც 17.9 მლნ ლარს შეადგენს.

სამცხე-ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელების სტრუქტურაში, ძირითადი წილი ხარჯებსა (50.3%, 104.0 მლნ ლარის ოდენობით) და აგრეთვე, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელებს (49.5%, 102.2 მლნ ლარის ოდენობით) უკავია. რაც შეეხება დანარჩენ კომპონენტებს, ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები 0.4 მლნ ლარს შეადგენს, ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების სახით თანხები არ გაცემულა.

დიაგრამა 167. 2024 წელს სამცხე - ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები (მლნ ლარი).




დიაგრამა 168. სამცხე - ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).




## ხარჯები

2024 წელს, სამცხე - ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯებმა 104.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მონაცემს 13.7 მლნ ლარით (15.2%-ით) აღემატება (ძირითადად, სუბსიდიების მუხლით ხარჯების 22.2%-იანი ზრდის გავლენით). 2024 წელს, ხარჯების ძირითადი ნაწილი (31.8%), 33.0 მლნ ლარის ოდენობით, ბორჯომის მუნიციპალიტეტშია გაწეული, ხოლო ხარჯების ყველაზე მცირე წილი (8.2%), ასპინძის მუნიციპალიტეტზე მოდის, რაც 8.5 მლნ ლარს შეადგენს.

დიაგრამა 169. 2024 წელს სამცხე - ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯები (მლნ ლარი).



რაც შეეხება სამცხე - ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯების სტრუქტურას, კომპონენტების მიხედვით, მთლიანი ხარჯების მნიშვნელოვანი წილი, 41.7% (49.0 მლნ ლარის ოდენობით), სუბსიდიებზე მოდის, ასევე, შრომის ანაზღაურებასა (17.1%) და საქონელსა და მომსახურებაზე (16.9%) (შესაბამისად, 17.8 მლნ ლარის და 17.5 მლნ ლარის ოდენობით). სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები (10.3 მლნ ლარი) მთლიანი ხარჯების 9.9%-ს შეადგენს), ხოლო სხვა ხარჯები - 7.6%-ს (7.9 მლნ ლარი), პროცენტისა და გრანტების მუხლებით გაწეული ხარჯები კი მცირეა და შესაბამისად, 0.1 მლნ ლარს და 1.3 მლნ ლარს უტოლდება.

დიაგრამა 170. სამცხე-ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯები მუხლების მიხედვით 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).




## არაფინანსური აქტივების ზრდა

2024 წელს, სამცხე - ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელებმა 102.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 26.4 მლნ ლარით (34.9%-ით) აღემატება. გაიზარდა, ასევე, მისი წილიც მთლიან გადასახდელებში - 45.5%-დან 49.5%-მდე. რაც შეეხება არაფინანსური აქტივების ზრდით გადასახდელებს მუნიციპალიტეტების მიხედვით, აღნიშნული გადასახდელების დიდი წილი (22.6%), 23.1 მლნ ლარის ოდენობით, ახალციხის მუნიციპალიტეტზე მოდის, ხოლო მცირე წილი (9.2%), 9.4 მლნ ლარის ოდენობით - ასპინძის მუნიციპალიტეტზე.

დიაგრამა 171. სამცხე - ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების არაფინანსური აქტივების ზრდა 2024 წელს (მლნ ლარი).




## ვალდებულებების კლება

სამცხე - ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში, 2024 წელს, ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელებმა 0.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც თითქმის უტოლდება 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (მცირედით, 0.01 მლნ ლარით, აღემატება). აღნიშნული გადასახდელები სრულად წარმოადგენს საშინაო სესხების დაფარვაზე გაწეულ სახსრებს.

დიაგრამა 172. სამცხე - ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ვალდებულებების კლება 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).



## გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

2024 წელს, სამცხე - ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელებმა, ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 206.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 40.1 მლნ ლარით აღემატება.

2024 წელს, ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, სამცხე - ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ასიგნებები მიიმართა შემდეგ 3 ყველაზე მსხვილ მიმართულებაზე: ეკონომიკური საქმიანობა (79.4 მლნ ლარი), საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება (34.2 მლნ ლარი) და საბინაო-კომუნალური მეურნეობა (25.8 მლნ ლარი). აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მიმართულებები 2019-2023 წლებშიც ყველაზე მსხვილ სამეულშია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სამცხე - ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით გადასახდელები, ფუნქციონალურ ჭრილში.

დიაგრამა 173. სამცხე - ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 2018-2024 წლებში (მლნ ლარი).




## ნაშთის ცვლილება

2024 წელს, სამცხე - ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობებმა 195.9 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო გადასახდელებმა - 206.6 მლნ ლარი, შესაბამისად ნაშთის ცვლილება (გამოყენება) -10.7 მლნ ლარს გაუტოლდა.

დიაგრამა 174. სამცხე - ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ნაშთის ცვლილება 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).



## 2.10 მცხეთა - მთიანეთის მხარე

მცხეთა - მთიანეთის მხარე მოიცავს 5 მუნიციპალიტეტს[11]: ახალგორის, დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტები.

2024 წელს მცხეთა - მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების:

- შემოსულობებმა ჯამურად 169.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (138.7 მლნ ლარი) 31.1 მლნ ლარით, 22.4%-ით, აღემატება;
- გადასახდელებმა ჯამურად 160.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (134.3 მლნ ლარი) 25.9 მლნ ლარით, 19.3%-ით, აღემატება;
- მიღებული შემოსულობებისა და გაწეული გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის ცვლილება (დაგროვება) 9.4 მლნ ლარს შეადგენს.

### შემოსულობები

2024 წელს, მცხეთა-მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობებმა 169.7 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნული შემოსულობების დიდი წილი, 48.4%, 82.2 მლნ ლარის ოდენობით, მცხეთის მუნიციპალიტეტზე მოდის, ხოლო ყველაზე მცირე, 2.5% - ახალგორის მუნიციპალიტეტზე, რაც 4.2 მლნ ლარს შეადგენს.

მცხეთა-მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობების სტრუქტურაში, ძირითადი წილი (85.5%), 145.1 მლნ ლარის ოდენობით, შემოსავლებს უკავია, ხოლო 14.5% (24.6 მლნ ლარის ოდენობით) - არაფინანსური აქტივების კლებით შემოსულობებს (ვალდებულებების ზრდის მუხლით მიღებულია უმნიშვნელო თანხა, 50 ლარი, ხოლო ფინანსური აქტივების კლების კომპონენტს აღნიშნული მხარის შემოსულობები არ მოიცავს).

დიაგრამა 175. 2024 წელს მცხეთა - მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობები (მლნ ლარი).




დიაგრამა 176. მცხეთა - მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).




[11] მცხეთა - მთიანეთის მხარის შემოსულობებში, გადასახდელებში და ნაშთში გაერთიანებულია შესაბამისი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების მაჩვენებლები.

## შემოსავლები

2024 წელს, მცხეთა - მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსავლებმა 145.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 19.4 მლნ ლარით (15.4%-ით) აღემატება. აღნიშნული მატება დაკავშირებულია შემოსავლების სამივე კომპონენტის, ძირითადად, გრანტების ზრდასთან. კერძოდ, გრანტები გაზრდილია 11.7 მლნ ლარით, გადასახადები - 6.6 მლნ ლარით და სხვა შემოსავლები - 1.1 მლნ ლარით.

დიაგრამა 177. მცხეთა - მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსავლები კომპონენტების მიხედვით 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




მცხეთა - მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლებმა, 2024 წელს, 72.9 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 44.5 მლნ ლარი დღგ-დან მიღებულ შემოსავალზე მოდის, ხოლო 28.4 მლნ ლარი - ქონების გადასახადზე. 2024 წლის საგადასახადო შემოსავლები, 2023 წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით, 6.6 მლნ ლარით გაზრდილია, ერთი მხრივ, დღგ-ის 8.2 მლნ ლარით მატებისა და მეორე მხრივ, ქონების გადასახადის 1.6 მლნ ლარით შემცირების გავლენით.

დიაგრამა 178. მცხეთა - მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




2024 წელს, მცხეთა - მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში, დამატებული ღირებულების გადასახადის სახით, ჯამურად მიღებულია 44.5 მლნ ლარი. აღნიშნული თანხის ძირითადი ნაწილი, 34.3%, 15.2 მლნ ლარის ოდენობით, დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტშია მიღებული. დღგ-ის მობილიზების შედარებით მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა მცხეთისა და აგრეთვე, თიანეთის მუნიციპალიტეტებში (შესაბამისად, 13.1 მლნ ლარის და 10.1 მლნ ლარის ოდენობით). ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებში 6.0 მლნ ლარია შემოსული, რაც მხარეში, მთლიანად ბიუჯეტში მიღებული დღგ-ის 13.5%-ს შეადგენს (ახალგორის მუნიციპალიტეტში თანხები აღრიცხული არ არის, არ ფიქსირდება).

დიაგრამა 179. მცხეთა - მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში დღგ-დან მიღებული შემოსავალი 2024 წელს (მლნ ლარი)

2024 წელს, გრანტების სახით მიღებულმა შემოსავლებმა 53.08 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 53.05 მლნ ლარი სახელმწიფო ერთეულებიდან, ხოლო 0.03 მლნ ლარი - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებულ გრანტებს წარმოადგენს.
სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტებიდან (53.1 მლნ ლარი), 38.1 მლნ ლარი კაპიტალური ტრანსფერის სახით ჩაირიცხა, სპეციალურმა ტრანსფერმა 9.7 მლნ ლარი შეადგინა, მიზნობრივი ტრანსფერმა - 4.3 მლნ ლარი, ხოლო სხვა დანარჩენი გრანტები 0.9 მლნ ლარს გაუტოლდა.

დიაგრამა 180. მცხეთა - მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




2024 წელს, მცხეთა - მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების სხვა შემოსავლებმა 19.1 მლნ ლარი შეადგინა, მ.შ. თითქმის ნახევარი, 49.8%, 9.5 მლნ ლარი, საკუთრებიდან შემოსავლებზე მოდის, საიდანაც რენტის სახით 4.0 მლნ ლარია შემოსული, პროცენტიდან - 5.5 მლნ ლარი. გარდა ამისა, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულია 3.5 მლნ ლარი, ხოლო ჯარიმებიდან (სანქციები, საურავები) - 5.7 მლნ ლარი, არაკლასიფიცირებული ტრანსფერები კი 0.4 მლნ ლარს უტოლდება. 2023 წელთან შედარებით, სხვა შემოსავლები 1.1 მლნ ლარით გაზრდილია, ერთი მხრივ, საკუთრებიდან და ჯარიმებიდან შემოსავლების (2.5 მლნ ლარით) ზრდისა და მეორე მხრივ, დანარჩენი შემოსავლების (1.4 მლნ ლარით) კლების გავლენით.

დიაგრამა 181. მცხეთა - მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების სხვა შემოსავლები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




## არაფინანსური აქტივების კლება

მცხეთა - მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობა, 2024 წელს, 24.6 მლნ ლარს შეადგენს, საიდანაც 19.7 მლნ ლარი არაწარმოებული აქტივების (მიწის) რეალიზაციიდანაა მიღებული, ხოლო 4.8 მლნ ლარი - ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან, მატერიალური მარაგების რეალიზაციიდან შემოსულობა კი 0.2 მლნ ლარს აღწევს. 2023 წელთან შედარებით, აღნიშნული შემოსულობები 11.7 მლნ ლარით გაზრდილია, რაც ძირითადად, მიწის რეალიზაციიდან შემოსულობების 62.4%-იან (7.6 მლნ ლარით) ზრდას უკავშირდება.

დიაგრამა 182. მცხეთა - მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)



## გადასახდელები

2024 წელს, მცხეთა - მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელებმა 160.3 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც ყველაზე დიდი წილი (44.0%), მცხეთის მუნიციპალიტეტზე მოდის, 70.5 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო ყველაზე მცირე (2.6%) - ახალგორის მუნიციპალიტეტზე, რაც 4.2 მლნ ლარს შეადგენს.

მცხეთა-მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელების სტრუქტურაში, ძირითადი წილი ხარჯებს უკავია (53.4%, 85.6 მლნ ლარის ოდენობით), აგრეთვე, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელებს (46.4%, 74.4 მლნ ლარის ოდენობით). რაც შეეხება დანარჩენ კომპონენტებს, ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები 0.3 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო ფინანსური აქტივების კლების კომპონენტს აღნიშნული მხარის გადასახდელები არ მოიცავს.

დიაგრამა 183. 2024 წელს მცხეთა - მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები (მლნ ლარი).




დიაგრამა 184. მცხეთა - მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).




## ხარჯები

2024 წელს, მცხეთა - მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯებმა 85.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მონაცემს 14.0 მლნ ლარით აღემატება (ძირითადად, სუბსიდიების მუხლით ხარჯების 20.9%-იანი მატების გავლენით). 2024 წელს, ხარჯების ძირითადი ნაწილი (44.6%), 38.1 მლნ ლარის ოდენობით, მცხეთის მუნიციპალიტეტშია გაწეული, ხოლო ხარჯების ყველაზე მცირე წილი (4.9%), ახალგორის მუნიციპალიტეტზე მოდის, რაც 4.2 მლნ ლარს შეადგენს.

დიაგრამა 185. 2024 წელს მცხეთა - მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯები (მლნ ლარი).



რაც შეეხება, 2024 წელს, მცხეთა - მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯებს, კომპონენტების მიხედვით, მთლიანი ხარჯების ნახევარს, 50.3%-ს, სუბსიდიები შეადგენს (43.1 მლნ ლარი), შრომის ანაზღაურებისა (15.1 მლნ ლარი) და საქონლისა და მომსახურების ხარჯებს (17.4 მლნ ლარი), ასევე, მნიშვნელოვანი წილი უკავია (შესაბამისად, 17.6% და 20.3%), სოციალურ უზრუნველყოფასა (4.0 მლნ ლარი) და სხვა ხარჯებზე (5.3 მლნ ლარი), შესაბამისად, 4.6% და 6.2% მოდის, ხოლო პროცენტისა და გრანტების მუხლებით გაწეული ხარჯები მცირეა და შესაბამისად, 0.1 მლნ ლარს და 0.7 მლნ ლარს უტოლდება.

დიაგრამა 186. მცხეთა - მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯები მუხლების მიხედვით 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).




## არაფინანსური აქტივების ზრდა

2024 წელს, მცხეთა - მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელებმა 74.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 12.0 მლნ ლარით (19.2%-ით) აღემატება (თუმცა მისი წილი მთლიან გადასახდელებში, მცირედით, 46.5%-დან 46.4%-მდე შემცირებულია). რაც შეეხება არაფინანსური აქტივების ზრდით გადასახდელებს მუნიციპალიტეტების მიხედვით, აღნიშნული გადასახდელების დიდი წილი (43.3%), 32.3 მლნ ლარის ოდენობით, მცხეთის მუნიციპალიტეტზე მოდის, ხოლო მცირე წილი (0.05%), 0.04 მლნ ლარის ოდენობით - ახალგორის მუნიციპალიტეტზე.

დიაგრამა 187. მცხეთა-მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების არაფინანსური აქტივების ზრდა 2024 წელს (მლნ ლარი).




## ვალდებულებების კლება

მცხეთა - მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელებმა, 2024 წელს, 0.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც თითქმის უტოლდება (530 ლარით ჩამორჩება) 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

აღნიშნული გადასახდელები სრულად წარმოადგენს საშინაო სესხების დაფარვაზე გაწეულ სახსრებს.

დიაგრამა 188. მცხეთა - მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ვალდებულებების კლება 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).



## გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

2024 წელს, მცხეთა - მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელებმა, ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 160.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 25.9 მლნ ლარით აღემატება.

2024 წელს, ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, მცხეთა - მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ასიგნებები მიიმართა შემდეგ 3 ყველაზე მსხვილ მიმართულებაზე: ეკონომიკური საქმიანობა (52.9 მლნ ლარი), საბინაო-კომუნალური მეურნეობა (29.4 მლნ ლარი) და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება (23.5 მლნ ლარი). აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მიმართულებები 2022-2023 წლებშიც ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მცხეთა - მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით გადასახდელები, ფუნქციონალურ ჭრილში.

დიაგრამა 189. მცხეთა - მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 2018-2024 წლებში (მლნ ლარი).




## ნაშთის ცვლილება

2024 წელს, მცხეთა - მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობებმა 169.7 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო გადასახდელებმა - 160.3 მლნ ლარი, შესაბამისად ნაშთის ცვლილება (დაგროვება) 9.4 მლნ ლარს გაუტოლდა.

დიაგრამა 190. მცხეთა - მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ნაშთის ცვლილება 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).



## 2.11 რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე

რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე მოიცავს 4 მუნიციპალიტეტს[12]: ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტები.

2024 წელს, რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების:

- შემოსულობებმა ჯამურად 95.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (78.2 მლნ ლარი) 17.0 მლნ ლარით, 21.8%-ით, აღემატება;
- გადასახდელებმა ჯამურად 101.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (80.5 მლნ ლარი) 20.7 მლნ ლარით, 25.8%-ით, აღემატება;
- მიღებული შემოსულობებისა და გაწეული გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის ცვლილება (გამოყენება) -5.9 მლნ ლარს შეადგენს.

### შემოსულობები

2024 წელს, რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობებმა 95.2 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნული შემოსულობების დიდი წილი, 31.0%, 29.5 მლნ ლარის ოდენობით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტზე მოდის, ხოლო ყველაზე მცირე 19.7% - ლენტეხის მუნიციპალიტეტზე, რაც 18.8 მლნ ლარს შეადგენს.

რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობების სტრუქტურაში, ძირითადი წილი (97.2%), 92.6 მლნ ლარის ოდენობით, შემოსავლებს უკავია, ხოლო 2.8 % (2.6 მლნ ლარის ოდენობით) - არაფინანსური აქტივების კლებით შემოსულობებს (ვალდებულებების ზრდისა და ფინანსური აქტივების კლების კომპონენტებს აღნიშნული მხარის ბიუჯეტის შემოსულობები არ მოიცავს).

დიაგრამა 191. 2024 წელს რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობები (მლნ ლარი).




დიაგრამა 192. რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).




[12] რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის შემოსულობებში, გადასახდელებში და ნაშთში გაერთიანებულია შესაბამისი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების მაჩვენებლები.

## შემოსავლები

2024 წელს, რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსავლებმა 92.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც 15.3 მლნ ლარით აღემატება 2023 წლის მაჩვენებელს. აღნიშნული მატება დაკავშირებულია, ძირითადად, გრანტების 11.5 მლნ ლარით, აგრეთვე, გადასახადების 4.2 მლნ ლარით ზრდასთან (სხვა შემოსავლები მცირედით, 0.4 მლნ ლარით შემცირებულია).

დიაგრამა 193. რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსავლები კომპონენტების მიხედვით 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლებმა, 2024 წელს, 40.1 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 36.7 მლნ ლარი დღგ-დან მიღებულ შემოსავალზე მოდის, ხოლო 3.4 მლნ ლარი - ქონების გადასახადზე. საგადასახადო შემოსავლები, წინა წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით, 4.2 მლნ ლარით გაზრდილია, ძირითადად, დღგ-ის 3.7 მლნ ლარით მატების გავლენით (ქონების გადასახადი მცირედით, 0.4 მლნ ლარით არის გაზრდილი).

დიაგრამა 194. რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




2024 წელს, რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტებში, დამატებული ღირებულების გადასახადის სახით, ჯამურად, 36.7 მლნ ლარია მიღებული. აღნიშნული თანხის 31.4%, 11.5 მლნ ლარის ოდენობით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტშია მიღებული. დღგ-ის მობილიზების მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, ასევე, ცაგერისა და ონის მუნიციპალიტეტებში (შესაბამისად, 10.3 მლნ ლარის და 8.0 მლნ ლარის ოდენობით), ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 6.9 მლნ ლარია შემოსული, რაც მხარეში, მთლიანად მიღებული დღგ-ის 18.8%-ს შეადგენს.

დიაგრამა 195. რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში დღგ-დან მიღებული შემოსავალი 2024 წელს (მლნ ლარი)



2024 წელს, გრანტების სახით მიღებულმა შემოსავლებმა 50.4 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 49.4 მლნ ლარი წარმოადგენს სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებულ გრანტებს, ხოლო უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან შემოსულია, შესაბამისად, 0.1 მლნ ლარი  და 0.9 მლნ ლარი. სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტებიდან (49.4 მლნ ლარი), 32.7 მლნ ლარი კაპიტალური ტრანსფერის სახით ჩაირიცხა, სპეციალურმა ტრანსფერმა 10.7 მლნ ლარი შეადგინა, მიზნობრივი ტრანსფერმა - 2.3 მლნ ლარი, ხოლო სხვა დანარჩენი გრანტები 3.7 მლნ ლარს გაუტოლდა.

დიაგრამა 196. რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები 2020-2024წლებში (მლნ ლარი)




2024 წელს, რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების სხვა შემოსავლებმა 2.1 მლნ ლარი შეადგინა, მ.შ. ძირითადი წილი (53.8%), 1.1 მლნ ლარის ოდენობით, საკუთრებიდან შემოსავლებზე მოდის, საიდანაც რენტის სახით 0.9 მლნ ლარია შემოსული, პროცენტიდან - 0.3 მლნ ლარი. გარდა ამისა, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულია 0.4 მლნ ლარი, ხოლო ჯარიმებიდან (სანქციები, საურავები) – 0.2 მლნ ლარი, არაკლასიფიცირებული ტრანსფერები კი 0.4 მლნ ლარს უტოლდება. 2023 წლის მონაცემთან შედარებით, სხვა შემოსავლები 0.4 მლნ ლარით შემცირებულია, არაკლასიფიცირებული ტრანსფერების (0.6 მლნ ლარით) კლების გავლენით.

დიაგრამა 197. რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების სხვა შემოსავლები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




## არაფინანსური აქტივების კლება

რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობა, 2024 წელს, 2.6 მლნ ლარს შეადგენს, საიდანაც 1.8 მლნ ლარი არაწარმოებული აქტივების (მიწის) რეალიზაციიდანაა მიღებული, ხოლო 0.8 მლნ ლარი - ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან. 2023 წლის მონაცემთან შედარებით, აღნიშნული შემოსულობები 1.7 მლნ ლარით გაზრდილია, რაც ძირითადად, მიწის რეალიზაციიდან შემოსულობების 2.5-ჯერ (1.1 მლნ ლარით) ზრდას უკავშირდება.

დიაგრამა 198. რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)



## გადასახდელები

2024 წელს, რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელებმა 101.2 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც ყველაზე დიდი წილი, 30.5% (30.9 მლნ ლარის ოდენობით), ამბროლაურის მუნიციპალიტეტზე მოდის, ხოლო ყველაზე მცირე, 18.9% - ლენტეხის მუნიციპალიტეტზე (19.2 მლნ ლარის ოდენობით).

გადასახდელების სტრუქტურაში, ძირითადი წილი, 54.2%, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელებს უკავია (54.9 მლნ ლარის ოდენობით), აგრეთვე, ხარჯებს (45.6%, 46.1 მლნ ლარის ოდენობით), რაც შეეხება დანარჩენ კომპონენტებს, ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები 0.2 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო ფინანსური აქტივების კლების კომპონენტს აღნიშნული მხარის გადასახდელები არ მოიცავს.

დიაგრამა 199. 2024 წელს რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები (მლნ ლარი).

დიაგრამა 200. რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).




## ხარჯები

2024 წელს, რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯებმა 46.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მონაცემს 7.8 მლნ ლარით აღემატება (ძირითადად, სუბსიდიების მუხლით ხარჯების 20.4%-იანი მატების გავლენით). 2024 წელს, ხარჯების ძირითადი ნაწილი (32.5%), 15.0 მლნ ლარის ოდენობით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტშია გაწეული, ხოლო ყველაზე მცირე (19.8%) - ლენტეხის მუნიციპალიტეტში რაც 9.1 მლნ ლარს შეადგენს.

დიაგრამა 201. 2024 წელს რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯები (მლნ ლარი).



რაც შეეხება, 2024 წელს, რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯებს, კომპონენტების მიხედვით, მთლიანი ხარჯების ძირითად ნაწილს, 40.7%-ს, სუბსიდიები შეადგენს (18.8 მლნ ლარი), შრომის ანაზღაურებისა (12.1 მლნ ლარი) და საქონლისა და მომსახურების ხარჯებს (10.7 მლნ ლარი), ასევე, მნიშვნელოვანი წილი უკავია (შესაბამისად, 26.3% და 23.2%), სოციალურ უზრუნველყოფასა (2.2 მლნ ლარი) და სხვა ხარჯებზე (2.1 მლნ ლარი), შესაბამისად, 4.7% და 4.6% მოდის, ხოლო პროცენტისა და გრანტების მუხლებით გაწეული ხარჯები მცირეა და შესაბამისად, 0.04 მლნ ლარს და 0.2 მლნ ლარს უტოლდება.

დიაგრამა 202. რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯები მუხლების მიხედვით 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).




## არაფინანსური აქტივების ზრდა

2024 წელს, რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების <u>არაფინანსური აქტივების ზრდის</u> მუხლით გადასახდელებმა 54.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 13.0 მლნ ლარით (31.0%-ით) აღემატება (შესაბამისად, მისი წილიც მთლიან გადასახდელებში, 52.1%-დან 54.2%-მდე მომატებულია). რაც შეეხება არაფინანსური აქტივების ზრდით გადასახდელებს მუნიციპალიტეტების მიხედვით, აღნიშნული გადასახდელების დიდი წილი (33.8%), 18.6 მლნ ლარის ოდენობით, ონის მუნიციპალიტეტზე მოდის, ხოლო მცირე წილი (18.3%), 10.0 მლნ ლარის ოდენობით - ლენტეხის მუნიციპალიტეტზე.

დიაგრამა 203. რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების არაფინანსური აქტივების ზრდა 2024 წელს (მლნ ლარი).




## ვალდებულებების კლება

რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების <u>ვალდებულებების კლების</u> მუხლით გადასახდელებმა, 2024 წელს, 0.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც უტოლდება 2020-2023 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს.
აღნიშნული გადასახდელები სრულად წარმოადგენს საშინაო სესხების დაფარვაზე გაწეულ სახსრებს.

დიაგრამა 204. რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ვალდებულებების კლება 2020-2024წლებში (მლნ ლარი).



## გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

2024 წელს, რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელებმა, ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 101.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 20.7 მლნ ლარით აღემატება.

2024 წელს, ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ასიგნებები მიიმართა შემდეგ 3 ყველაზე მსხვილ მიმართულებაზე: ეკონომიკური საქმიანობა (36.3 მლნ ლარი), საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება (20.0 მლნ ლარი) და საბინაო-კომუნალური მეურნეობა (18.5 მლნ ლარი). აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მიმართულებები 2019-2023 წლებშიც ძირითად მიმართულებებს წარმოადგენდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების, 2018-2024 წლების, ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით გადასახდელები, ფუნქციონალურ ჭრილში.

დიაგრამა 205. რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 2018-2024 წლებში (მლნ ლარი).




## ნაშთის ცვლილება

2024 წელს, რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობებმა 95.2 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო გადასახდელებმა - 101.2 მლნ ლარი, შესაბამისად ნაშთის ცვლილება (გამოყენება) -5.9 მლნ ლარს გაუტოლდა.

მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ნაშთის ცვლილება, 2020-2024 წლებში.

დიაგრამა 206. რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ნაშთის ცვლილება 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).



## 2.12 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტი[13] - აჟარის მუნიციპალიტეტი

აჟარის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის:

- შემოსულობებმა 1,507.0 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (1,402.5 ათასი ლარი) 104.5 ათასი ლარით, 7.5%-ით, აღემატება;
- გადასახდელებმა 1,439.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (1,366.5 ათასი ლარი) 73.2 ათასი ლარით, 5.4%-ით, აღემატება;
- მიღებული შემოსულობებისა და გაწეული გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის ცვლილება (დაგროვება) 67.3 ათას ლარს შეადგენს.

### შემოსულობები

2024 წელს აჟარის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა 1,507.0 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (1,402.5 ათასი ლარი) 104.5 ათასი ლარით (7.5%-ით) აღემატება.

2024 წელს აჟარის მუნიციპალიტეტის შემოსულობების მაჩვენებელი აღემატება 2015-2023 წლების ანალოგიურ მონაცემს. 2024 წელს აჟარის მუნიციპალიტეტის ჯამური შემოსულობა 2015 წლის მონაცემს 478.5 ათასი ლარით აღემატება. რაც შეეხება აჟარის მუნიციპალიტეტის შემოსულობებს კომპონენტების მიხედვით, 2024 წელს მიღებული შემოსულობიდან (1,507.0 ათასი ლარი) შემოსავლების კომპონენტზე 1,505.7 ათასი ლარი (შემოსულობების 99.9%) მოდის, ხოლო არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტზე - 1.3 ათასი ლარი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია აჟარის მუნიციპალიტეტის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში.

დიაგრამა 207. აჟარის მუნიციპალიტეტის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში (ათასი ლარი).

როგორც დიაგრამაზეა გამოსახული, 2016-2021 წლებში, აჟარის მუნიციპალიტეტის შემოსულობები ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, თუმცა 2022 წლიდან, წინა წელთან შედარებით, მკვეთრად გაიზარდა შემოსულობების მაჩვენებელი და 2024 წლისთვის გასული პერიოდის მაქსიმუმს მიაღწია.

[13] წარმოდგენილი ქვეთავი მოიცავს მხოლოდ აჟარის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მიმოხილვას.

## შემოსავლები

2024 წელს აჟარის მუნიციპალიტეტის შემოსავლებმა 1,505.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც 161.8 ათასი ლარით მეტია 2023 წლის მაჩვენებელზე. 2023 წელთან შედარებით, 2024 წელს აჟარის მუნიციპალიტეტის შემოსავლების მატება მოდის გრანტებისა და სხვა შემოსავლების კომპონენტებზე, ხოლო საგადასახადო შემოსავლების მუხლით კლება დაფიქსირდა.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ აჟარის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები მოიცავს მხოლოდ ქონების გადასახადიდან მიღებულ შემოსავალს 0.1 ათასი ლარის ოდენობით.

2024 წელს აჟარის მუნიციპალიტეტის გრანტების სახით მიღებული შემოსავალი (1,430.0 ათასი ლარი) სრულად წარმოადგენს სახელმწიფო ერთეულებიდან, კერძოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ მიმდინარე დანიშნულების გრანტებს, რომელიც სრულად მოდის სპეციალურ ტრანსფერზე.

2024 წელს აჟარის მუნიციპალიტეტის სხვა შემოსავლებმა 75.6 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მონაცემს (2.6 ათასი ლარი) 73.0 ათასი ლარით აღემატება. 2024 წელს აღნიშნული სახით მიღებული შემოსავალი მოდის არაკლასიფიცირებულ ტრანსფერებზე (0.4 ათასი ლარი) და რენტაზე (75.2 ათასი ლარი).

დიაგრამა 208. აჟარის მუნიციპალიტეტის შემოსავლები კომპონენტების მიხედვით 2020-2024 წლებში (ათასი ლარი)




დიაგრამა 209. აჟარის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები 2020-2024 წლებში (ათასი ლარი)




## არაფინანსური აქტივების კლება

აჟარის მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობა, 2024 წელს, 1.3 ათას ლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ 2016-2022 წლებში აჟარის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ზემოდასახელებული კომპონენტის ფარგლებში არ მომხდარა სახსრების მობილიზება. 2024 წელს არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობა სრულად მოდის ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსულობაზე.

## გადასახდელები

2024 წელს აჟარის მუნიციპალიტეტის გადასახდელებმა 1,439.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (1,366.5 ათასი ლარი) 73.2 ათასი ლარით (5.4%-ით) აღემატება. გადასახდელების ძირითადი წილი (99.7%) მოდის ხარჯებზე - 1,436.0 ათასი ლარის ოდენობით, არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულებამ 3.7 ათასი ლარი შეადგინა (გადასახდელების 0.3%). რაც შეეხება ფინანსური აქტივების ზრდისა და ვალდებულებების კლების კომპონენტებს, აღნიშნული კომპონენტების ფარგლებში არ მომხდარა სახსრების ათვისება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია აჟარის მუნიციპალიტეტის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში.

დიაგრამა 210. აჟარის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში (ათასი ლარი)




## ხარჯები

2024 წელს აჟარის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებმა 1,436.0 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (1,363.9 ათასი ლარი) 72.1 ათასი ლარით (5.3%-ით) აღემატება. 2024 წელს გაწეული მთლიანი ხარჯების 52.8% მოდის შრომის ანაზღაურების მუხლზე, რომლის შესრულებამ 758.6 ათასი ლარი შეადგინა. 2024 წელს სოციალური უზრუნველყოფის მუხლზე 251.4 ათასი ლარი (ხარჯების 17.5%) მიიმართა. სხვა ხარჯების შესრულებამ 129.9 ათასი ლარი (ხარჯების 9.0%) შეადგინა, საქონლისა და მომსახურების მუხლის შესრულებამ - 163.6 ათასი ლარი (ხარჯების 11.4%), ხოლო სუბსიდიების შესრულებამ - 132.6 ათასი ლარი (ხარჯების 9.2%). რაც შეეხება პროცენტისა და გრანტების მუხლებს, აღნიშნული მუხლების ფარგლებში არ მომხდარა სახსრების ათვისება.

დიაგრამა 211. აჟარის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები მუხლების მიხედვით 2020-2024 წლებში (ათასი ლარი)



## გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

2024 წელს აჟარის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებმა ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 1,439.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 73.2 ათასი ლარით აღემატება.

2024 წელს ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით აჟარის მუნიციპალიტეტის მიერ მიმართული ასიგნებების დიდი წილი (89.8%) მოდის 2 მიმართულებაზე: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 925.1 ათასი ლარი და სოციალური დაცვა 367.3 ათასი ლარი. მსგავსი სურათია გასულ წლებშიც, კერძოდ, 2018-2023 წლებში ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით აჟარის მუნიციპალიტეტის მიერ მიმართული ასიგნებების 86.9%-დან 89.3%-მდე მოდის ზემოაღნიშნულ 2 მიმართულებაზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია აჟარის მუნიციპალიტეტის 2018-2024 წლების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ჭრილში.

დიაგრამა 212. აჟარის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 2018-2024 წლებში (ათასი ლარი).




## ნაშთის ცვლილება

2024 წელს აჟარის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა 1,507.0 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო გადასახდელებმა - 1,439.7 ათასი ლარი, შესაბამისად ნაშთის ცვლილება (დაგროვება) 67.3 ათას ლარს შეადგენს.

მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია აჟარის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება 2020-2024 წლებში.

დიაგრამა 213. აჟარის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება 2020-2024 წლებში (ათასი ლარი).



# 3. ავტონომიური რესპუბლიკების 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტების შესრულების მიმოხილვა

წინამდებარე თავში წარმოდგენილია აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტების შესრულების მიმოხილვა, რომელიც მოიცავს აღნიშნული ბიუჯეტების შესრულების ძირითად ტენდენციებს, ბიუჯეტების როგორც შემოსულობების, ასევე, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების მაჩვენებლებს.

წინამდებარე თავში განხილულია არა მხოლოდ 2024 წლის მონაცემები, ასევე, ძირითად მაჩვენებლებთან დაკავშირებით წარმოდგენილია გასული წლების ინფორმაციაც.

## 3.1 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის:

- შემოსულობებმა 650.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელზე (542.6 მლნ ლარი) 108.0 მლნ ლარით (19.9%-ით) მეტია;
- გადასახდელებმა 663.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (532.3 მლნ ლარი) 131.1 მლნ ლარით (24.6%-ით) აღემატება;
- მიღებული შემოსულობებისა და გაწეული გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის ცვლილება (გამოყენება) -12.8 მლნ ლარს შეადგენს.

### შემოსულობები

2024 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებმა 650.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელზე (542.6 მლნ ლარი) 108.0 მლნ ლარით (19.9%-ით) მეტია. შემოსულობების ძირითადი წილი (96.5%) მოდის შემოსავლებზე 627.8 მლნ ლარის ოდენობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულია მთლიანი შემოსულობების 3.5% - 22.8 მლნ ლარი. რაც შეეხება ფინანსური აქტივების კლებას და ვალდებულებების ზრდას, 2024 წელს აღნიშნული კომპონენტების ფარგლებში არ მომხდარა სახსრების მობილიზება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში.

დიაგრამა 214. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).




როგორც დიაგრამაზეა გამოსახული, 2016-2019 წლებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები ყოველწლიური ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, ხოლო 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, შემოსულობები შემცირებულია. 2021 წლიდან შემოსულობების ზრდის ტენდენცია გაგრძელდა და 2024 წლისთვის გასული პერიოდის მაქსიმუმს მიაღწია.

## შემოსავლები

2024 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლებმა 627.8 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (505.4 მლნ ლარი) 122.4 მლნ ლარით (24.2%-ით) აღემატება. 2024 წელს მიღებული შემოსავლებიდან 609.4 მლნ ლარი მოდის საგადასახადო შემოსავლებზე (შემოსავლების 97.1%), ხოლო 18.4 მლნ ლარი - სხვა შემოსავლებზე (2.9%). 2024 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლებში გრანტების მუხლით შემოსავლის მიღება არ მომხდარა.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები მოიცავს მხოლოდ საშემოსავლო გადასახადიდან მიღებულ შემოსავალს.

2024 წელს სხვა შემოსავლებმა 18.4 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც პროცენტებიდან მიღებულ შემოსავალზე 10.8 მლნ ლარი მოდის, არაკლასიფიცირებული ტრანსფერები 4.1 მლნ ლარით განისაზღვრა, რენტიდან მიღებულია - 1.8 მლნ ლარი, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან შემოსავლებმა 1.6 მლნ ლარი შეადგინა, ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მიღებულია 8.9 ათასი ლარი. სხვა შემოსავლების 2024 წლის მაჩვენებელი 3.8 მლნ ლარით ჩამორჩება 2023 წლის ანალოგიურ მონაცემს, რაც ძირითადად დაკავშირებულია არაკლისიფიცირებული ტრანსფერების სახით 2.2 მლნ ლარით ნაკლები შემოსავლის მიღებასთან.

## არაფინანსური აქტივების კლება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობა, 2024 წელს, 22.8 მლნ ლარს შეადგენს, რაც 14.4 მლნ ლარით ნაკლებია 2023 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელზე. 2024 წელს არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობა მოდის არაწარმოებული აქტივებისა (მიწის) და ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსულობაზე შესაბამისად 22.0 მლნ ლარის და 0.8 მლნ ლარის ოდენობით.

დიაგრამა 215. შემოსავლები კომპონენტების მიხედვით 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




დიაგრამა 216. სხვა შემოსავლები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




დიაგრამა 217. არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)



## გადასახდელები

2024 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელებმა 663.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (532.3 მლნ ლარი) 131.1 მლნ ლარით (24.6%-ით) აღემატება. გადასახდელების ძირითადი წილი (84.0%) მოდის ხარჯებზე - 556.9 მლნ ლარის ოდენობით, არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულებამ 87.4 მლნ ლარი შეადგინა (გადასახდელების 13.2%), ხოლო ვალდებულებების კლების კომპონენტის შესრულებამ - 19.1 მლნ ლარი. რაც შეეხება გადასახდელების მეოთხე კომპონენტს, ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის ფარგლებში არ მომხდარა სახსრების ათვისება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში.

დიაგრამა 218. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).




## ხარჯები

2024 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებმა 556.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (422.9 მლნ ლარი) 134.0 მლნ ლარით (31.7%-ით) აღემატება. 2024 წელს გაწეული მთლიანი ხარჯების 49.8% მოდის გრანტების მუხლზე (277.4 მლნ ლარი), საქონლისა და მომსახურების მუხლის შესრულებამ შეადგინა 74.6 მლნ ლარი (ხარჯების 13.4%), შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 61.1 მლნ ლარი (ხარჯების 11.0%), სოციალურ უზრუნველყოფაზე - 58.3 მლნ ლარი (10.5%), სხვა ხარჯების შესრულებამ კი 66.6 მლნ ლარი (ხარჯების 12.0%) შეადგინა. რაც შეეხება სუბსიდიებისა და პროცენტის მუხლებს, აღნიშნული მუხლების ფაქტობრივი მაჩვენებლები შესრულების შედარებით დაბალი დონით ხასიათდება და შესაბამისად შეადგენს 17.0 მლნ ლარს და 1.8 მლნ ლარს.

დიაგრამა 219. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).



2024 წელს გრანტების მუხლით გაცემული სახსრები (277.4 მლნ ლარი) ძირითადად მიიმართა სახელმწიფო ერთეულებზე გადასაცემ გრანტებზე. კერძოდ, თვითმმართველი ერთეულისთვის გადასაცემ კაპიტალურ ტრანსფერზე მიიმართა 147.1 მლნ ლარი, ხოლო მიმდინარე გრანტის სახით სპეციალურ ტრანსფერზე - 122.6 მლნ ლარი. ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებს/ა(ა)იპ-ებს გადაეცათ 7.5 მლნ ლარის ოდენობით გრანტი, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის სსიპ(ებ)-ს/ა(ა)იპ(ბ)-ებს გადაეცათ 0.2 მლნ ლარის ოდენობით გრანტი.

დიაგრამა 220. სახელმწიფო ერთეულებზე გაცემული გრანტები 2020- 2024 წლებში (მლნ ლარი).




## არაფინანსური აქტივების ზრდა

2024 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდამ 87.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (101.2 მლნ ლარი) 13.9 მლნ ლარით (13.7%-ით) ნაკლებია.

2020 წლიდან, არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტს ზრდის ტენდენცია აქვს, თუმცა, მისი წილი გადასახდელებში მცირდება. კერძოდ, 2024 წელს, 2020 წელთან შედარებით, არაფინანსური აქტივების ზრდის წილი გადასახდელებში 25.9%-დან 13.2%-მდე არის შემცირებული.

დიაგრამა 221. არაფინანსური აქტივების ზრდა და მისი წილი გადასახდელებში 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).




## ვალდებულებების კლება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ვალდებულებების კლებამ, 2024 წელს, 19.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 10.9 მლნ ლარით აღემატება. 2024 წლის შესრულება სრულად მოდის საშინაო სესხების დაფარვაზე.

მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ვალდებულებების კლება კომპონენტების მიხედვით 2020-2024 წლებში.

დიაგრამა 222. ვალდებულებების კლება 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).



## გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

2024 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელებმა, ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 644.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 120.1 მლნ ლარით აღემატება.

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით 2024 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებები მიიმართა შემდეგ 3 ყველაზე მსხვილ მიმართულებაზე: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, ეკონომიკური საქმიანობა და განათლება. ამასთან აღსანიშნავია, რომ 2021 წლიდან აღნიშნული მიმართულებები წარმოადგენდნენ 3 ყველაზე მსხვილ მიმართულებას.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის 2018-2024 წლების ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ჭრილში.

დიაგრამა 223. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 2018-2024 წლებში (მლნ ლარი).




## ნაშთის ცვლილება

2024 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებმა 650.6 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო გადასახდელებმა -663.3 მლნ ლარი, შესაბამისად ნაშთის ცვლილება (გამოყენება) -12.8 მლნ ლარს შეადგენს.

მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება 2020-2024 წლებში.

დიაგრამა 224. ნაშთის ცვლილება 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).



## 3.2 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის:

- შემოსულობებმა 31.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (28.7 მლნ ლარი) 2.4 მლნ ლარით (8.3%-ით) აღემატება;
- გადასახდელებმა 31.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (28.3 მლნ ლარი) 2.7 მლნ ლარით (9.5%-ით) აღემატება;
- მიღებული შემოსულობებისა და გაწეული გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის ცვლილება (დაგროვება) 0.1 მლნ ლარს შეადგენს.

### შემოსულობები

2024 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებმა 31.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (28.7 მლნ ლარი) 2.4 მლნ ლარით (8.3%-ით) აღემატება. შემოსულობები ძირითადად მოდის შემოსავლებზე 31.1 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულმა შემოსულობებმა 21.3 ათასი ლარი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში.

დიაგრამა 225. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).




როგორც დიაგრამაზეა გამოსახული, 2015-2024 წლებში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები ზრდის ტენდენციით ხასიათდება (გარდა 2018 წლისა) და 2024 წელს გასული პერიოდის მაქსიმუმს მიაღწია.

## შემოსავლები

2024 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლებმა 31.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (28.7 მლნ ლარი) 2.4 მლნ ლარით (8.3%-ით) აღემატება. 2024 წელს მიღებული შემოსავლებიდან 13.4 მლნ ლარი მოდის საგადასახადო შემოსავლებზე (შემოსავლების 43.0%), ხოლო 17.0 მლნ ლარი - გრანტებზე (54.7%). 2024 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლებში სხვა შემოსავლების წილი მცირეა - 0.7 მლნ ლარი.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები მოიცავს მხოლოდ საშემოსავლო გადასახადიდან მიღებულ შემოსავალს.

2024 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გრანტის სახით მიღებულმა შემოსავლებმა 17.0 მლნ ლარი შეადგინა, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ სპეციალურ ტრანსფერს (უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებულია გრანტი 30.8 ათასი ლარის ოდენობით). აღნიშნული მაჩვენებელი 2.6 მლნ ლარით მეტია 2023 წლის ფაქტობრივ მონაცემთან შედარებით. მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გრანტის სახით მიღებული შემოსავალი 2020-2024 წლებში.

რაც შეეხება სხვა შემოსავლებს, 2024 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სხვა შემოსავლებმა 706.0 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც დიდი წილი (654.5 ათასი ლარი) მოდის პროცენტებზე. სხვა შემოსავლების 2024 წლის მაჩვენებელი 52.3 ათასი ლარით აღემატება 2023 წლის ანალოგიურ მონაცემს, რაც დაკავშირებულია არაკლასიფიცირებული ტრანსფერების სახით 36.2 ათასი ლარით მეტი შემოსავლის მიღებასთან. მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სხვა შემოსავლები კომპონენტების მიხედვით 2020-2024 წლებში.

დიაგრამა 226. შემოსავლები კომპონენტების მიხედვით 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




დიაგრამა 227. გრანტის სახით მიღებული შემოსავლები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი)




დიაგრამა 228. სხვა შემოსავლები 2020-2024 წლებში (ათასი ლარი)



## გადასახდელები

2024 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელებმა 31.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (28.3 მლნ ლარი) 2.7 მლნ ლარით (9.5%-ით) აღემატება. გადასახდელების ძირითადი წილი (98.8%) მოდის ხარჯებზე 30.6 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულებამ 0.4 მლნ ლარი შეადგინა (გადასახდელების 1.2%). რაც შეეხება ფინანსური აქტივების ზრდასა და ვალდებულებების კლებას, აღნიშნული კომპონენტების ფარგლებში არ მომხდარა სახსრების ათვისება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში.

დიაგრამა 229. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).




## ხარჯები

2024 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებმა 30.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს (27.9 მლნ ლარი) 2.7 მლნ ლარით (9.6%-ით) აღემატება. 2024 წელს გაწეული მთლიანი ხარჯების 39.7% მოდის შრომის ანაზღაურების მუხლზე (12.2 მლნ ლარი), სუბსიდიებზე მიიმართა 9.1 მლნ ლარი (ხარჯების 29.7%), საქონლისა და მომსახურების მუხლის შესრულებამ შეადგინა 4.6 მლნ ლარი (ხარჯების 15.1%), სოციალური უზრუნველყოფის მუხლის შესრულებამ - 3.1 მლნ ლარი (ხარჯების 10.2%), სხვა ხარჯების მუხლზე მიიმართა 1.6 მლნ ლარი (ხარჯების 5.2%). რაც შეეხება გრანტების მუხლს, გრანტების ფაქტობრივი მაჩვენებლები შესრულების დაბალი დონით გამოირჩევა და 16.0 ათას ლარს შეადგენს, ხოლო პროცენტის მუხლის ფარგლებში, 2024 წელს, არ მომხდარა სახსრების ათვისება.

დიაგრამა 230. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები 2020- 2024 წლებში (მლნ ლარი).



## არაფინანსური აქტივების ზრდა

2024 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდამ 0.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს მხოლოდ 5.9 ათასი ლარით აღემატება, თუმცა, 2024 წელს, 2023 წელთან შედარებით, შემცირებულია არაფინანსური აქტივების ზრდის წილი გადასახდელებში 1.3%-დან 1.2%-მდე.

დიაგრამა 231. არაფინანსური აქტივების ზრდა და მისი წილი გადასახდელებში 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).




## გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

2024 წელს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელებმა, ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 31.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 2.7 მლნ ლარით აღემატება.

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით 2024 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებები მიიმართა შემდეგ 3 ყველაზე მსხვილ მიმართულებაზე: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, დასვენება, კულტურა და რელიგია და ჯანმრთელობის დაცვა.

დიაგრამა 232. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 2018-2024 წლებში (მლნ ლარი).




## ნაშთის ცვლილება

2024 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებმა 31.1 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო გადასახდელებმა - 31.0 მლნ ლარი, შესაბამისად ნაშთის ცვლილება (დაგროვება) 0.1 მლნ ლარს შეადგენს.

მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება 2020-2024 წლებში.

დიაგრამა 233. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).



## დანართი: საქართველოს მუნიციპალიტეტების 2024 წლის ბიუჯეტებისა და ავტონომიური რესპუბლიკების 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტების შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

| დასახელება | ჯამური მონაცემები | სულ მუნიციპალიტეტები | თბილისი | აჭარის მხარე | ბათუმი | ქობულეთი | ხელვაჩაური | ქედა | შუახევი | ხულო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსულობები** | **5,863.7** | **5,182.0** | **1,989.3** | **649.4** | **446.9** | **68.5** | **53.5** | **26.0** | **23.3** | **31.0** |
| **შემოსავლები** | **5,598.6** | **4,939.8** | **1,880.5** | **640.5** | **438.9** | **67.7** | **53.5** | **26.0** | **23.3** | **31.0** |
| გადასახადები | 3,093.5 | 2,470.7 | 981.8 | 213.8 | 114.2 | 35.7 | 25.3 | 17.1 | 10.5 | 10.9 |
| საშემოსავლო გადასახადი | 622.8 | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| ქონების გადასახადი | 697.7 | 697.7 | 323.2 | 69.8 | 50.6 | 5.9 | 4.9 | 0.5 | 4.0 | 3.9 |
| დღგ | 1,773.1 | 1,773.1 | 658.5 | 144.0 | 63.7 | 29.8 | 20.4 | 16.7 | 6.6 | 6.9 |
| გრანტები | 1,718.6 | 1,701.5 | 518.5 | 277.4 | 186.0 | 27.4 | 23.9 | 8.4 | 12.3 | 19.5 |
| სხვა შემოსავლები | 786.6 | 767.5 | 380.2 | 149.3 | 138.7 | 4.6 | 4.4 | 0.5 | 0.5 | 0.7 |
| **არაფინანსური აქტივების კლება** | **257.9** | **235.0** | **108.8** | **8.9** | **8.1** | **0.8** | **-** | **0.02** | **0.01** | **-** |
| **ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)** | **1.2** | **1.2** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** |
| **ვალდებულებების ზრდა** | **6.0** | **6.0** | **0.01** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** |
| საშინაო | 6.0 | 6.0 | 0.01 | - | - | - | - | - | - | - |
| საგარეო | 0.0005 | 0.0005 | 0.0002 | - | - | - | - | - | - | - |
| | | | | | | | | | | |
| **გადასახდელები** | **5,853.7** | **5,159.4** | **1,923.7** | **617.0** | **412.6** | **70.2** | **54.3** | **26.3** | **22.6** | **31.0** |
| **ხარჯები** | **3,942.0** | **3,354.5** | **1,505.9** | **355.1** | **231.6** | **45.1** | **28.6** | **17.9** | **13.2** | **18.7** |
| შრომის ანაზღაურება | 563.6 | 490.3 | 103.8 | 83.6 | 43.2 | 16.5 | 3.1 | 6.9 | 6.9 | 7.1 |
| საქონელი და მომსახურება | 686.6 | 607.3 | 232.1 | 100.6 | 71.7 | 12.3 | 2.8 | 3.8 | 3.2 | 6.8 |
| პროცენტი | 27.1 | 25.4 | 12.1 | 5.0 | 4.8 | 0.2 | - | 0.01 | - | - |
| სუბსიდიები | 1,392.0 | 1,366.0 | 671.2 | 45.5 | 22.1 | 3.3 | 16.9 | 3.1 | - | 0.2 |
| გრანტები | 287.1 | 9.7 | 1.1 | 0.3 | 0.003 | - | - | 0.002 | 0.01 | 0.3 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 357.4 | 296.0 | 160.4 | 31.2 | 20.0 | 3.7 | 2.6 | 1.8 | 1.3 | 1.7 |
| სხვა ხარჯები | 628.2 | 559.9 | 325.3 | 88.9 | 69.8 | 9.2 | 3.2 | 2.2 | 1.9 | 2.7 |
| **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **1,809.1** | **1,721.4** | **389.7** | **224.8** | **144.6** | **24.4** | **25.7** | **8.4** | **9.4** | **12.3** |
| **ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** |
| **ვალდებულებების კლება** | **102.6** | **83.5** | **28.1** | **37.1** | **36.4** | **0.7** | **-** | **0.03** | **-** | **-** |
| საშინაო | 102.6 | 83.5 | 28.1 | 37.1 | 36.4 | 0.7 | - | 0.03 | - | - |
| საგარეო | - | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| | | | | | | | | | | |
| **ნაშთის ცვლილება** (+ დაგროვება / - გამოყენება) | **9.9** | **22.6** | **65.6** | **32.3** | **34.3** | **-1.7** | **-0.8** | **-0.3** | **0.7** | **0.1** |

| დასახელება | კახეთის მხარე | ახმეტა | გურჯაანი | დედოფლისწყარო | თელავი | ლაგოდეხი | საგარეჯო | სიღნაღი | ყვარელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსულობები** | **352.4** | **39.2** | **54.2** | **23.1** | **56.7** | **43.6** | **53.1** | **46.3** | **36.2** |
| **შემოსავლები** | **339.7** | **37.1** | **54.0** | **22.7** | **55.9** | **40.9** | **51.9** | **41.3** | **36.0** |
| გადასახადები | 188.3 | 21.9 | 30.4 | 10.9 | 35.1 | 20.8 | 31.5 | 17.2 | 20.5 |
| ქონების გადასახადი | 44.5 | 2.4 | 6.5 | 4.4 | 9.9 | 2.4 | 6.5 | 5.1 | 7.3 |
| დღგ | 143.8 | 19.5 | 23.9 | 6.6 | 25.2 | 18.4 | 25.0 | 12.1 | 13.1 |
| გრანტები | 128.9 | 14.0 | 19.5 | 10.2 | 14.3 | 17.6 | 16.1 | 22.8 | 14.5 |
| სხვა შემოსავლები | 22.5 | 1.3 | 4.1 | 1.5 | 6.5 | 2.5 | 4.2 | 1.4 | 1.0 |
| **არაფინანსური აქტივების კლება** | **11.7** | **1.0** | **0.2** | **0.4** | **0.8** | **2.7** | **1.3** | **4.9** | **0.3** |
| **ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)** | **1.0** | **1.0** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** |
| **ვალდებულებების ზრდა** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** |
| საშინაო | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| საგარეო | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| | | | | | | | | | |
| **გადასახდელები** | **371.6** | **39.0** | **56.8** | **22.2** | **66.6** | **47.8** | **62.1** | **39.3** | **37.7** |
| **ხარჯები** | **200.5** | **20.3** | **33.7** | **13.0** | **41.7** | **21.0** | **29.9** | **17.3** | **23.5** |
| შრომის ანაზღაურება | 28.9 | 3.7 | 4.3 | 2.8 | 4.7 | 3.0 | 4.2 | 3.2 | 3.0 |
| საქონელი და მომსახურება | 29.5 | 2.2 | 3.9 | 1.5 | 7.8 | 3.0 | 5.9 | 2.6 | 2.6 |
| პროცენტი | 0.5 | 0.1 | 0.01 | 0.01 | 0.3 | 0.01 | 0.01 | 0.03 | 0.01 |
| სუბსიდიები | 97.0 | 11.5 | 19.8 | 7.1 | 16.1 | 9.0 | 13.2 | 8.5 | 11.8 |
| გრანტები | 1.3 | 0.1 | 0.1 | 0.1 | 0.2 | 0.1 | 0.3 | 0.3 | 0.1 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 11.0 | 1.0 | 2.0 | 0.4 | 2.5 | 0.9 | 1.9 | 0.8 | 1.3 |
| სხვა ხარჯები | 32.4 | 1.7 | 3.4 | 1.1 | 10.1 | 5.0 | 4.4 | 1.8 | 4.7 |
| **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **169.7** | **18.5** | **23.1** | **9.2** | **24.2** | **26.7** | **32.1** | **21.7** | **14.1** |
| **ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** |
| **ვალდებულებების კლება** | **1.4** | **0.2** | **0.1** | **0.1** | **0.6** | **0.1** | **0.1** | **0.3** | **0.1** |
| საშინაო | 1.4 | 0.2 | 0.1 | 0.1 | 0.6 | 0.1 | 0.1 | 0.3 | 0.1 |
| საგარეო | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| | | | | | | | | | |
| **ნაშთის ცვლილება** (+ დაგროვება / - გამოყენება) | **-19.1** | **0.2** | **-2.6** | **0.9** | **-9.9** | **-4.2** | **-9.0** | **6.9** | **-1.4** |

| დასახელება | იმერეთის მხარე | ქუთაისი | ჭიათურა | ტყიბული | წყალტუბო | ბაღდათი | ვანი | ზესტაფონი | თერჯოლა | სამტრედია | საჩხერე | ხარაგაული | ხონი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსულობები** | **558.4** | **136.1** | **51.6** | **28.1** | **55.3** | **30.0** | **26.3** | **51.7** | **33.0** | **43.1** | **49.3** | **32.9** | **20.9** |
| **შემოსავლები** | **526.7** | **117.3** | **51.4** | **24.3** | **52.3** | **29.7** | **25.9** | **50.6** | **32.5** | **40.1** | **49.1** | **32.9** | **20.7** |
| გადასახადები | 277.1 | 75.9 | 23.8 | 10.0 | 27.7 | 11.0 | 11.0 | 28.9 | 17.2 | 22.9 | 22.3 | 15.9 | 10.5 |
| ქონების გადასახადი | 43.1 | 14.2 | 3.3 | 0.8 | 3.9 | 1.1 | 0.7 | 5.1 | 2.8 | 3.3 | 1.0 | 6.3 | 0.6 |
| დღგ | 234.0 | 61.7 | 20.6 | 9.2 | 23.8 | 9.9 | 10.3 | 23.8 | 14.4 | 19.7 | 21.3 | 9.6 | 9.9 |
| გრანტები | 202.0 | 26.0 | 22.3 | 13.6 | 15.3 | 17.1 | 14.5 | 17.2 | 13.4 | 15.2 | 23.7 | 13.9 | 9.6 |
| სხვა შემოსავლები | 47.6 | 15.4 | 5.3 | 0.6 | 9.4 | 1.6 | 0.3 | 4.5 | 1.9 | 1.9 | 3.1 | 3.0 | 0.6 |
| **არაფინანსური აქტივების კლება** | **31.6** | **18.9** | **0.2** | **3.8** | **3.0** | **0.4** | **0.4** | **1.1** | **0.5** | **2.9** | **0.2** | **0.03** | **0.2** |
| **ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** |
| **ვალდებულებების ზრდა** | **0.06** | **0.0003** | **-** | **0.1** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **0.0001** | **-** | **-** |
| საშინაო | 0.06 | - | - | 0.1 | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| საგარეო | 0.0003 | 0.0003 | - | - | - | - | - | - | - | - | 0.0001 | - | - |
| | | | | | | | | | | | | | |
| **გადასახდელები** | **567.2** | **140.2** | **53.3** | **29.6** | **53.6** | **31.0** | **26.4** | **52.1** | **35.6** | **41.4** | **51.8** | **29.9** | **22.2** |
| **ხარჯები** | **338.2** | **99.7** | **34.0** | **17.0** | **30.0** | **16.9** | **14.5** | **27.8** | **23.3** | **23.6** | **20.6** | **17.2** | **13.6** |
| შრომის ანაზღაურება | 84.3 | 45.7 | 3.9 | 2.5 | 4.7 | 3.5 | 3.5 | 3.5 | 3.5 | 3.9 | 3.8 | 3.0 | 2.6 |
| საქონელი და მომსახურება | 60.0 | 22.1 | 3.2 | 3.1 | 5.8 | 2.4 | 2.0 | 4.1 | 4.2 | 3.2 | 3.6 | 3.4 | 2.8 |
| პროცენტი | 2.3 | 2.0 | 0.02 | 0.01 | 0.01 | 0.07 | 0.01 | 0.1 | 0.01 | 0.01 | 0.01 | 0.01 | 0.01 |
| სუბსიდიები | 130.3 | 11.9 | 21.5 | 6.8 | 14.4 | 6.9 | 6.7 | 12.4 | 12.5 | 11.9 | 11.1 | 7.8 | 6.2 |
| გრანტები | 1.0 | 0.1 | 0.1 | 0.01 | 0.3 | 0.02 | 0.01 | 0.1 | 0.02 | 0.1 | 0.1 | 0.04 | 0.02 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 25.9 | 7.7 | 2.2 | 1.3 | 2.1 | 0.9 | 1.1 | 2.5 | 1.5 | 2.3 | 1.2 | 1.9 | 1.0 |
| სხვა ხარჯები | 34.5 | 10.0 | 3.0 | 3.2 | 2.6 | 3.1 | 1.1 | 5.1 | 1.5 | 2.1 | 0.8 | 1.0 | 0.9 |
| **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **224.0** | **36.6** | **19.2** | **12.6** | **23.6** | **14.0** | **11.8** | **24.0** | **12.3** | **17.7** | **31.0** | **12.7** | **8.6** |
| **ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** |
| **ვალდებულებების კლება** | **4.9** | **3.9** | **0.1** | **0.1** | **0.1** | **0.2** | **0.1** | **0.3** | **0.1** | **0.1** | **0.1** | **0.1** | **0.1** |
| საშინაო | 4.9 | 3.9 | 0.1 | 0.1 | 0.1 | 0.2 | 0.1 | 0.3 | 0.1 | 0.1 | 0.1 | 0.1 | 0.1 |
| საგარეო | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| | | | | | | | | | | | | | |
| **ნაშთის ცვლილება** (+ დაგროვება / - გამოყენება) | **-8.8** | **-4.0** | **-1.7** | **-1.6** | **1.7** | **-1.0** | **-0.1** | **-0.4** | **-2.6** | **1.7** | **-2.5** | **2.9** | **-1.3** |

| დასახელება | სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე | ფოთი | ზუგდიდი | აბაშა | მარტვილი | მესტია | სენაკი | ჩხოროწყუ | წალენჯიხა | ხობი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსულობები** | **379.2** | **59.7** | **99.4** | **22.4** | **31.8** | **37.8** | **36.8** | **32.8** | **28.5** | **30.1** |
| **შემოსავლები** | **370.2** | **54.9** | **97.7** | **21.9** | **31.6** | **37.8** | **36.5** | **32.5** | **28.4** | **29.0** |
| გადასახადები | 179.8 | 27.4 | 52.6 | 10.3 | 15.1 | 10.3 | 18.3 | 13.4 | 14.9 | 17.6 |
| ქონების გადასახადი | 44.2 | 16.4 | 9.7 | 1.2 | 0.7 | -0.4 | 2.0 | 3.6 | 3.7 | 7.2 |
| დღგ | 135.6 | 11.0 | 42.9 | 9.0 | 14.4 | 10.6 | 16.3 | 9.8 | 11.2 | 10.5 |
| გრანტები | 165.1 | 16.6 | 39.8 | 10.1 | 15.6 | 25.6 | 16.7 | 18.6 | 12.7 | 9.5 |
| სხვა შემოსავლები | 25.3 | 10.9 | 5.3 | 1.5 | 0.9 | 2.0 | 1.5 | 0.5 | 0.8 | 1.9 |
| **არაფინანსური აქტივების კლება** | **9.0** | **4.8** | **1.7** | **0.5** | **0.2** | **-** | **0.4** | **0.3** | **0.1** | **1.1** |
| **ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** |
| **ვალდებულებების ზრდა** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** |
| საშინაო | - | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| საგარეო | - | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| | | | | | | | | | | |
| **გადასახდელები** | **390.5** | **71.6** | **98.9** | **23.1** | **31.4** | **37.4** | **39.2** | **31.5** | **28.9** | **28.5** |
| **ხარჯები** | **219.1** | **41.4** | **60.3** | **13.9** | **15.7** | **19.8** | **19.7** | **15.5** | **17.6** | **15.4** |
| შრომის ანაზღაურება | 38.7 | 4.9 | 9.0 | 3.7 | 4.2 | 2.8 | 3.5 | 3.6 | 3.0 | 4.1 |
| საქონელი და მომსახურება | 39.1 | 9.3 | 7.7 | 2.3 | 2.2 | 6.3 | 2.8 | 2.9 | 2.8 | 2.9 |
| პროცენტი | 1.8 | 0.3 | 1.4 | 0.01 | 0.03 | 0.04 | 0.01 | 0.01 | 0.03 | 0.01 |
| სუბსიდიები | 111.6 | 20.2 | 35.9 | 6.9 | 7.1 | 8.0 | 10.5 | 6.6 | 9.2 | 7.2 |
| გრანტები | 0.8 | 0.6 | 0.1 | 0.03 | 0.0 | 0.01 | 0.05 | 0.01 | - | 0.02 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 12.9 | 2.0 | 3.5 | 0.7 | 1.4 | 0.7 | 1.4 | 1.1 | 1.5 | 0.6 |
| სხვა ხარჯები | 14.1 | 4.1 | 2.7 | 0.2 | 0.7 | 2.0 | 1.5 | 1.3 | 1.1 | 0.6 |
| **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **167.5** | **29.7** | **36.2** | **9.2** | **15.6** | **17.4** | **19.5** | **15.9** | **11.1** | **13.1** |
| **ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** |
| **ვალდებულებების კლება** | **4.0** | **0.6** | **2.4** | **0.1** | **0.2** | **0.3** | **0.1** | **0.1** | **0.2** | **0.1** |
| საშინაო | 4.0 | 0.6 | 2.4 | 0.1 | 0.2 | 0.3 | 0.1 | 0.1 | 0.2 | 0.1 |
| საგარეო | - | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| | | | | | | | | | | |
| **ნაშთის ცვლილება** (+ დაგროვება / - გამოყენება) | **-11.3** | **-11.9** | **0.5** | **-0.7** | **0.3** | **0.4** | **-2.4** | **1.3** | **-0.4** | **1.6** |

| დასახელება | შიდა ქართლის მხარე | გორი | ერედვი | ქურთა | ქარელი | კასპი | თიღვი | ხაშური |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსულობები** | **239.5** | **104.4** | **3.2** | **3.1** | **38.9** | **41.4** | **2.4** | **46.0** |
| **შემოსავლები** | **235.7** | **102.3** | **3.2** | **3.1** | **38.0** | **41.3** | **2.4** | **45.4** |
| გადასახადები | 141.6 | 68.7 | 0.00001 | -0.000001 | 20.5 | 25.0 | - | 27.4 |
| ქონების გადასახადი | 20.0 | 7.5 | 0.00001 | -0.000001 | 1.9 | 6.6 | - | 4.0 |
| დღგ | 121.6 | 61.2 | - | - | 18.6 | 18.4 | - | 23.4 |
| გრანტები | 72.2 | 23.4 | 3.2 | 3.1 | 12.8 | 12.0 | 2.4 | 15.3 |
| სხვა შემოსავლები | 21.9 | 10.3 | 0.03 | 0.0003 | 4.7 | 4.3 | 0.02 | 2.6 |
| **არაფინანსური აქტივების კლება** | **3.7** | **2.1** | **-** | **-** | **0.9** | **0.2** | **0.0** | **0.6** |
| **ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** |
| **ვალდებულებების ზრდა** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** |
| საშინაო | - | - | - | - | - | - | - | - |
| საგარეო | - | - | - | - | - | - | - | - |
| | | | | | | | | |
| **გადასახდელები** | **239.9** | **104.9** | **3.0** | **3.1** | **37.8** | **40.7** | **2.4** | **48.1** |
| **ხარჯები** | **134.9** | **68.5** | **2.6** | **3.0** | **18.1** | **20.8** | **2.2** | **19.6** |
| შრომის ანაზღაურება | 20.1 | 7.5 | 1.3 | 1.4 | 3.0 | 2.8 | 1.0 | 3.1 |
| საქონელი და მომსახურება | 18.2 | 9.2 | 0.5 | 0.2 | 2.2 | 3.2 | 0.3 | 2.7 |
| პროცენტი | 1.5 | 1.2 | - | - | 0.01 | 0.0 | - | 0.3 |
| სუბსიდიები | 75.1 | 41.2 | 0.5 | 0.6 | 10.1 | 12.5 | 0.5 | 9.7 |
| გრანტები | 0.8 | 0.1 | - | - | 0.2 | 0.2 | - | 0.2 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 7.7 | 2.8 | 0.2 | 0.2 | 1.4 | 1.5 | 0.1 | 1.5 |
| სხვა ხარჯები | 11.5 | 6.5 | 0.2 | 0.6 | 1.3 | 0.5 | 0.3 | 2.1 |
| **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **101.9** | **34.1** | **0.4** | **0.02** | **19.7** | **19.6** | **0.142** | **28.0** |
| **ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** |
| **ვალდებულებების კლება** | **3.2** | **2.3** | **-** | **-** | **0.05** | **0.3** | **-** | **0.5** |
| საშინაო | 3.2 | 2.3 | - | - | 0.05 | 0.3 | - | 0.5 |
| საგარეო | - | - | - | - | - | - | - | - |
| | | | | | | | | |
| **ნაშთის ცვლილება** (+ დაგროვება / - გამოყენება) | **-0.5** | **-0.5** | **0.14** | **0.05** | **1.1** | **0.8** | **0.1** | **-2.1** |

| დასახელება | ქვემო ქართლის მხარე | რუსთავი | ბოლნისი | გარდაბანი | დმანისი | თეთრიწყარო | მარნეული | წალკა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსულობები** | **403.0** | **121.9** | **56.2** | **62.3** | **29.9** | **34.6** | **72.4** | **25.6** |
| **შემოსავლები** | **367.6** | **100.4** | **55.0** | **54.8** | **28.9** | **31.9** | **71.1** | **25.5** |
| გადასახადები | 210.1 | 69.9 | 13.4 | 31.7 | 18.0 | 19.2 | 44.9 | 13.0 |
| ქონების გადასახადი | 70.4 | 17.0 | 6.8 | 25.1 | 2.0 | 5.2 | 7.7 | 6.5 |
| დღგ | 139.7 | 52.8 | 6.6 | 6.6 | 16.0 | 14.0 | 37.2 | 6.6 |
| გრანტები | 99.0 | 17.9 | 23.4 | 14.2 | 8.3 | 8.1 | 15.4 | 11.7 |
| სხვა შემოსავლები | 58.5 | 12.6 | 18.3 | 8.9 | 2.6 | 4.6 | 10.7 | 0.8 |
| **არაფინანსური აქტივების კლება** | **29.3** | **15.4** | **1.2** | **7.5** | **1.0** | **2.7** | **1.3** | **0.1** |
| **ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)** | **0.2** | **0.2** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** |
| **ვალდებულებების ზრდა** | **6.0** | **6.0** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** |
| საშინაო | 6.0 | 6.0 | - | - | - | - | - | - |
| საგარეო | - | - | - | - | - | - | - | - |
| | | | | | | | | |
| **გადასახდელები** | **424.3** | **134.8** | **57.5** | **63.4** | **31.5** | **36.0** | **76.3** | **24.7** |
| **ხარჯები** | **281.4** | **97.9** | **43.7** | **42.1** | **18.4** | **22.5** | **47.2** | **9.5** |
| შრომის ანაზღაურება | 63.2 | 30.6 | 6.3 | 7.2 | 3.4 | 4.4 | 8.0 | 3.2 |
| საქონელი და მომსახურება | 60.3 | 27.2 | 5.2 | 7.6 | 3.8 | 3.7 | 11.0 | 1.8 |
| პროცენტი | 1.9 | 1.8 | 0.01 | 0.01 | 0.01 | 0.03 | 0.01 | 0.01 |
| სუბსიდიები | 100.6 | 10.0 | 24.7 | 20.7 | 6.2 | 12.8 | 22.1 | 3.9 |
| გრანტები | 2.0 | 0.004 | 0.05 | 0.1 | 1.8 | 0.03 | 0.1 | 0.03 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 26.5 | 8.4 | 4.5 | 4.5 | 1.9 | 1.0 | 5.6 | 0.5 |
| სხვა ხარჯები | 26.8 | 19.7 | 2.9 | 2.0 | 1.1 | 0.5 | 0.5 | 0.1 |
| **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **139.2** | **33.7** | **13.7** | **21.3** | **13.1** | **13.3** | **29.0** | **15.1** |
| **ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** |
| **ვალდებულებების კლება** | **3.7** | **3.2** | **0.1** | **0.1** | **0.1** | **0.2** | **0.1** | **0.1** |
| საშინაო | 3.7 | 3.2 | 0.1 | 0.1 | 0.1 | 0.2 | 0.1 | 0.1 |
| საგარეო | - | - | - | - | - | - | - | - |
| | | | | | | | | |
| **ნაშთის ცვლილება** (+ დაგროვება / - გამოყენება) | **-21.3** | **-12.9** | **-1.3** | **-1.1** | **-1.6** | **-1.4** | **-3.9** | **0.9** |

| დასახელება | გურიის მხარე | ლანჩხუთი | ოზურგეთი | ჩოხატაური | სამცხე-ჯავახეთის მხარე | ბორჯომი | ადიგენი | ასპინძა | ახალქალაქი | ახალციხე | ნინოწმინდა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსულობები** | **148.5** | **40.6** | **71.7** | **36.2** | **195.9** | **48.7** | **26.7** | **18.8** | **34.1** | **44.7** | **22.9** |
| **შემოსავლები** | **147.0** | **40.3** | **71.2** | **35.5** | **192.7** | **47.8** | **25.8** | **18.0** | **34.0** | **44.2** | **22.8** |
| გადასახადები | 61.3 | 14.8 | 34.5 | 12.0 | 104.0 | 17.5 | 16.3 | 9.9 | 18.2 | 28.4 | 13.7 |
| ქონების გადასახადი | 13.1 | 1.7 | 8.8 | 2.6 | 37.7 | 10.9 | 2.5 | 3.3 | 11.6 | 4.7 | 4.6 |
| დღგ | 48.2 | 13.1 | 25.7 | 9.4 | 66.3 | 6.6 | 13.8 | 6.6 | 6.6 | 23.8 | 9.0 |
| გრანტები | 74.4 | 21.0 | 31.9 | 21.5 | 59.1 | 11.8 | 8.4 | 7.3 | 12.1 | 11.8 | 7.8 |
| სხვა შემოსავლები | 11.3 | 4.5 | 4.8 | 2.0 | 29.5 | 18.6 | 1.0 | 0.8 | 3.8 | 4.1 | 1.3 |
| **არაფინანსური აქტივების კლება** | **1.5** | **0.3** | **0.5** | **0.7** | **3.2** | **0.8** | **0.9** | **0.8** | **0.2** | **0.5** | **0.1** |
| **ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** |
| **ვალდებულებების ზრდა** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** |
| საშინაო | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| საგარეო | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| | | | | | | | | | | | |
| **გადასახდელები** | **155.7** | **43.9** | **73.9** | **37.9** | **206.6** | **53.4** | **26.4** | **17.9** | **36.9** | **49.7** | **22.3** |
| **ხარჯები** | **82.5** | **20.4** | **43.1** | **19.1** | **104.0** | **33.0** | **11.5** | **8.5** | **14.9** | **26.5** | **9.5** |
| შრომის ანაზღაურება | 22.1 | 7.7 | 5.0 | 9.4 | 17.8 | 3.6 | 2.7 | 2.3 | 2.6 | 4.3 | 2.3 |
| საქონელი და მომსახურება | 21.7 | 9.6 | 6.2 | 5.9 | 17.5 | 4.6 | 2.8 | 1.4 | 3.3 | 3.5 | 2.1 |
| პროცენტი | 0.04 | 0.01 | 0.02 | 0.01 | 0.1 | 0.01 | 0.01 | - | 0.02 | 0.02 | 0.1 |
| სუბსიდიები | 23.7 | 1.0 | 21.7 | 1.1 | 49.0 | 18.1 | 3.9 | 3.4 | 6.4 | 13.5 | 3.7 |
| გრანტები | 0.2 | 0.01 | 0.2 | 0.002 | 1.3 | 0.2 | 0.4 | 0.05 | 0.2 | 0.3 | 0.1 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 3.7 | 1.0 | 1.6 | 1.0 | 10.3 | 4.6 | 0.8 | 0.8 | 1.5 | 1.8 | 0.9 |
| სხვა ხარჯები | 11.0 | 1.0 | 8.3 | 1.6 | 7.9 | 2.0 | 0.9 | 0.6 | 1.0 | 3.1 | 0.3 |
| **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **73.0** | **23.4** | **30.7** | **18.9** | **102.2** | **20.3** | **14.8** | **9.4** | **21.8** | **23.1** | **12.7** |
| **ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** |
| **ვალდებულებების კლება** | **0.2** | **0.1** | **0.1** | **0.04** | **0.4** | **0.1** | **0.1** | **-** | **0.1** | **0.1** | **0.1** |
| საშინაო | 0.2 | 0.1 | 0.1 | 0.04 | 0.4 | 0.1 | 0.1 | - | 0.1 | 0.1 | 0.1 |
| საგარეო | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| | | | | | | | | | | | |
| **ნაშთის ცვლილება** (+ დაგროვება / - გამოყენება) | **-7.2** | **-3.2** | **-2.2** | **-1.8** | **-10.7** | **-4.8** | **0.3** | **0.9** | **-2.7** | **-5.0** | **0.6** |

| დასახელება | მცხეთა-მთიანეთის მხარე | ახალგორი | დუშეთი | თიანეთი | მცხეთა | ყაზბეგი | რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე | ამბროლაური | ლენტეხი | ონი | ცაგერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსულობები** | **169.7** | **4.2** | **41.5** | **19.9** | **82.2** | **21.9** | **95.2** | **29.5** | **18.8** | **25.3** | **21.6** |
| **შემოსავლები** | **145.1** | **4.2** | **39.8** | **19.8** | **59.5** | **21.7** | **92.6** | **27.0** | **18.8** | **25.3** | **21.6** |
| გადასახადები | 72.9 | -0.004 | 19.6 | 10.6 | 30.6 | 12.0 | 40.1 | 12.7 | 7.0 | 9.2 | 11.3 |
| ქონების გადასახადი | 28.4 | -0.004 | 4.4 | 0.5 | 17.5 | 6.0 | 3.4 | 1.2 | 0.1 | 1.2 | 1.0 |
| დღგ | 44.5 | - | 15.2 | 10.1 | 13.1 | 6.0 | 36.7 | 11.5 | 6.9 | 8.0 | 10.3 |
| გრანტები | 53.1 | 4.2 | 17.4 | 8.9 | 16.1 | 6.5 | 50.4 | 13.4 | 11.5 | 15.6 | 9.9 |
| სხვა შემოსავლები | 19.1 | 0.0 | 2.8 | 0.3 | 12.8 | 3.2 | 2.1 | 1.0 | 0.3 | 0.5 | 0.4 |
| **არაფინანსური აქტივების კლება** | **24.6** | **0.0** | **1.7** | **0.1** | **22.7** | **0.15** | **2.6** | **2.6** | **0.01** | **0.0** | **0.0** |
| **ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** |
| **ვალდებულებების ზრდა** | **0.0** | **-** | **-** | **-** | **0.0** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** |
| საშინაო | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| საგარეო | 0.0 | - | - | - | 0.0 | - | - | - | - | - | - |
| | | | | | | | | | | | |
| **გადასახდელები** | **160.3** | **4.2** | **44.9** | **20.3** | **70.5** | **20.3** | **101.2** | **30.9** | **19.2** | **28.3** | **22.9** |
| **ხარჯები** | **85.6** | **4.2** | **20.6** | **11.3** | **38.1** | **11.3** | **46.1** | **15.0** | **9.1** | **9.6** | **12.3** |
| შრომის ანაზღაურება | 15.1 | 1.4 | 3.9 | 2.5 | 5.2 | 2.0 | 12.1 | 3.7 | 2.5 | 2.9 | 3.0 |
| საქონელი და მომსახურება | 17.4 | 0.2 | 5.3 | 1.9 | 9.1 | 0.9 | 10.7 | 3.0 | 2.5 | 3.1 | 2.1 |
| პროცენტი | 0.1 | - | 0.01 | 0.01 | 0.02 | 0.01 | 0.04 | 0.02 | - | 0.01 | 0.01 |
| სუბსიდიები | 43.1 | 2.0 | 9.4 | 5.5 | 19.2 | 7.0 | 18.8 | 7.0 | 3.6 | 2.3 | 5.9 |
| გრანტები | 0.7 | - | 0.2 | 0.3 | 0.2 | 0.01 | 0.2 | - | 0.06 | 0.08 | 0.05 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 4.0 | 0.2 | 1.0 | 0.7 | 1.2 | 0.8 | 2.2 | 0.8 | 0.3 | 0.4 | 0.6 |
| სხვა ხარჯები | 5.3 | 0.32 | 0.8 | 0.3 | 3.2 | 0.7 | 2.1 | 0.5 | 0.1 | 0.8 | 0.7 |
| **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **74.4** | **0.04** | **24.2** | **9.0** | **32.3** | **8.9** | **54.9** | **15.7** | **10.0** | **18.6** | **10.5** |
| **ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** |
| **ვალდებულებების კლება** | **0.3** | **-** | **0.1** | **0.0** | **0.1** | **0.0** | **0.2** | **0.1** | **-** | **0.1** | **0.1** |
| საშინაო | 0.3 | - | 0.1 | 0.0 | 0.1 | 0.0 | 0.2 | 0.1 | - | 0.1 | 0.1 |
| საგარეო | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| | | | | | | | | | | | |
| **ნაშთის ცვლილება** (+ დაგროვება / - გამოყენება) | **9.4** | **0.004** | **-3.4** | **-0.41** | **11.7** | **1.6** | **-5.9** | **-1.3** | **-0.4** | **-2.9** | **-1.3** |

| დასახელება | აფხაზეთის მხარე | აჟარა | სულ ავტონომიური რესპუბლიკები | აფხაზეთის ა/რ-ის რესპუბლიკური ბიუჯეტი | აჭარის ა/რ-ის რესპუბლიკური ბიუჯეტი |
|---|---|---|---|---|---|
| **შემოსულობები** | **1.5** | **1.5** | **681.7** | **31.1** | **650.6** |
| **შემოსავლები** | **1.5** | **1.5** | **658.9** | **31.1** | **627.8** |
| გადასახადები | 0.0001 | 0.0001 | 622.8 | 13.4 | 609.4 |
| საშემოსავლო გადასახადი | - | - | 622.8 | 13.4 | 609.4 |
| ქონების გადასახადი | 0.0001 | 0.0001 | - | - | - |
| დღგ | - | - | - | - | - |
| გრანტები | 1.4 | 1.4 | 17.0 | 17.0 | - |
| სხვა შემოსავლები | 0.08 | 0.08 | 19.1 | 0.7 | 18.4 |
| **არაფინანსური აქტივების კლება** | **0.001** | **0.001** | **22.9** | **0.02** | **22.8** |
| **ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** |
| **ვალდებულებების ზრდა** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** |
| საშინაო | - | - | - | - | - |
| საგარეო | - | - | - | - | - |
| | | | | | |
| **გადასახდელები** | **1.4** | **1.4** | **694.3** | **31.0** | **663.3** |
| **ხარჯები** | **1.4** | **1.4** | **587.5** | **30.6** | **556.9** |
| შრომის ანაზღაურება | 0.8 | 0.8 | 73.3 | 12.2 | 61.1 |
| საქონელი და მომსახურება | 0.2 | 0.2 | 79.3 | 4.6 | 74.6 |
| პროცენტი | - | - | 1.8 | - | 1.8 |
| სუბსიდიები | 0.1 | 0.1 | 26.1 | 9.1 | 17.0 |
| გრანტები | - | - | 277.4 | 0.02 | 277.4 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 0.3 | 0.3 | 61.4 | 3.1 | 58.3 |
| სხვა ხარჯები | 0.1 | 0.1 | 68.2 | 1.6 | 66.6 |
| **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **0.004** | **0.004** | **87.7** | **0.4** | **87.4** |
| **ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** |
| **ვალდებულებების კლება** | **-** | **-** | **19.1** | **-** | **19.1** |
| საშინაო | - | - | 19.1 | - | 19.1 |
| საგარეო | - | - | - | - | - |
| | | | | | |
| **ნაშთის ცვლილება** (+ დაგროვება / - გამოყენება) | **0.1** | **0.1** | **-12.6** | **0.1** | **-12.8** |

დოკუმენტი ინტერაქტიულ ფორმატში

შეგიძლიათ იხილოთ

ინტერაქტიული სტატისტიკა (ინფოგრაფიკები)

შეგიძლიათ იხილოთ

საქართველოს პარლამენტი